ვკითხულობ ბევრია, „ვერსიას" ერთია

ვერსია

№44 (800) 19 - 21 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი
40 თეთრი

ვახშამი ყვარლის რეზიდენციაში და პრეზიდენტ სააკაშვილის სადღეგრძელო, რომელიც შესაძლებელია 19 აპრილს ახდეს!

გვ. 3

ამ ფაქტს მხოლოდ იმიტომ ვახმაურებთ, რომ შესაძლებელია საკრებულოს რამდენიმე დეპუტატი სწორედ 19 აპრილისთვის დასაჯონ, რითაც ორ კურდღელს დაიჭერენ — პრეზიდენტსაც ასიამოვნებენ და ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისთვისაც გამოიყენებენ...

ბიზნესმენების სია, რომლებმაც ნაცმოძრაობა 13 მილიონით ქართული ოცნება კი 4,5 მილიონით დააფინანსეს

გვ. 10

შსს 19 აპრილს მანიფესტანტთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს

გვ. 2

ექსკლუზიური ინტერვიუ ემზარ კვიციანთან

გვ. 4

როდის ჩამოვა საქართველოში და მოვა თუ არა პოლიტიკაში ყოფილი რწმუნებული კოდორის ხეობაში

თეა თუთბერიძე „ვერსიას" ახალაიებთან საუბრის დეტალებს უმხელს

გვ. 3

აკაკი ბობოხიძე: „არ გამოვრიცხავ, სპეცსამსახურებმა, ნაციონალების ყოფილი ლიდერების სახელით, კომპრომატები გამოგვიქვეყნონ"

გვ. 8

ლევან ვეფხვაძე: „ეს დახურული ინფორმაციაა და დღეს პირველად ვამბობ..."

გვ. 5

Express Online — „საქართველოს ბანკის" სრულიად ახალი, მარტივი, კომფორტული, მეტად უსაფრთხო და 2-ჯერ უფრო სწრაფი ინტერნეტბანკი

გვ. 9

ნინო კომახიძე
599-95-33-16

18 აპრილს, 18 საათზე, ნაციონალებმა ცენტრალურ ოფისში სპეციალური ბრიფინგი გამართეს და 19 აპრილის აქციის წინ მიმდინარე მოვლენები შეაჯამეს. საზოგადოების ინფორმირება, ამჯერად, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გაბაშვილმა გადაწყვიტა. მან პოლიციის უფროსების მიერ სხვადასხვა რეგიონებში მათი აქტივისტების დევნაზე ისაუბრა. რამდენიმე ბობოლა პოლიციელის გვარი ჩამოთვალა, ვინც აქციაზე მონაწილეობის მსურველებს თბილისში ჩამოსვლას უშლის და ხალხი დააიმედა, ყველა გავრცელებული ინფორმაცია ჭორია, რადგან 19 აპრილს რამდენიმე საათის განმავლობაში, ძალიან მშვიდად, ოჯახებთან ერთად შევიკრიბებით და შემდეგ დავიშლებითო. არ დასტურდება ინფორმაცია იმის შესახებაც, თითქოს 19 აპრილს, დღის 4 საათზე ჩანიშნული აქცია სასწავლო პროცესს პირველ გიმნაზიასა და 51-ე სკოლაში ჩაშლის.

გიორგი გაბაშვილი: „თუ ხელისუფლებას რაღაც არ აქვს ჩაფიქრებული, 19 აპრილს, ყველაფერი მშვიდად დასრულდება“

„ეს არის ყველა დემოკრატიული ქვეყნისთვის დამახასიათებელი, აბსოლუტურად ჩვეულებრივი საპროტესტო აქცია. შეიკრიბებიან ჩვენი მომხრეები, ლიდერები, აქტივისტები. ასე რომ, მთელი ის ანტიკამპანია, რაც მთავრობის მხრიდან ამ დღეების მანძილზე წარმოებს, თითქოს რაღაც სახიფათო ელის ქვეყანას, აბსოლუტური სიცრუეა! სიმართლე ისაა, რომ ხელისუფლება ისტერიკაშია — ნახევარ საათში ერთხელ ვიღებთ ინფორმაციას ხალხის დაშინების პროცესში პოლიციის ჩართულობასთან დაკავშირებით. კონკრეტული ჩამონათვალიც გვაქვს: სამეგრელოში, ზუგდიდის პოლიციის უფროსი ხარებავა და ვინმე ყალიჩავა ხალხს აფრთხილებენ, არ გაბედოთ თბილისში ფეხის გადგმაო. სამცხე-ჯავახეთში, აქტიურობს დაცვის პოლიციის უფროსი ჯიმშერ გოგოლაური, პროცესშია ჩართული ახალციხის რაბათის დირექტორი ელგუჯა ბიჭაშვილიც. ადიგენში დაკავეს ჩვენი აქტივისტი, რომელიც აქციის ორგანიზებაში იყო ჩართული, რაჭაში ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს ონის პოლიციის უფროსი ვიტალი მეტრეველი, ამბროლაურში — პოლიციის უფროსი გიორგი გაფრინდაშვილი. ერთადერთი, საიდანაც არ გვაქვს ინფორმაცია მსგავსი ფაქტების შესახებ, დედაქალაქია. შიდა ქართლში მოქმედებს პოლიციის უფროსი მამუკა ჯაჯანაშვილი, ცნობილი ოლეგ იაძის მეგობარი, კახეთში უშუალოდ, თამაზ თამაზაშვილი აქტიურობს და პირადადაა ჩაბმული ნაციონალების აქტივისტების დევნის კამპანიაში. ქვემო ქართლში ამ კამპანიას სამხარეო პროკურორი ლაშა ლეთოდიანი აწარმოებს, გურიაში — პოლიციის ჯერ არდანიშნული უფროსი სიხარულიძე, აჭარაში — საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ჩავლეიშვილი, პოლიციის სამმართველოს უფროსი, ცნობილი თელია... იმერეთში პროცესებში ჩართულია სამხარეო პოლიციის უფროსი გამეზარდაშვილი, ქუთაისის პოლიციის უფროსი მდინარაძე და ასევე, ქუთაისის პოლიციის მაღალჩინოსანი — ბუცხრიკიძე“, — განაცხადა გიორგი გაბაშვილმა და დასძინა, სასაცილოა, მაგრამ ახალ ხელისუფლებას ჩქაროსნული მაგისტრალის 85-ე კილომეტრზე ახალი ხიდისთვის ე.წ. ტესტის ჩატარება მაინცდამაინც 19 აპრილს გაახსენდა, ამიტომ დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით გზები შესაძლოა, გადაკეტილიც იყოსო. მისი თქმით, ყოფილი ოპოზიციის „სიკეთისა“ არ იყოს, ნაციონალები შეკრებასა და ახალი ხელისუფლების დამთავრებას ერთ დღეში არ აპირებენ, აქციაზე არც კონკრეტული მოთხოვნები გაჟღერდება და არც არეულობისა და სამოქალაქო დაპირისპირების სცენარებია იატაქვეშეთში დამუშავებული — ყველაფერი მშვიდად დასრულდება, თუ ხელისუფლებას რაღაც არ აქვს ჩაფიქრებულიო. გაბაშვილს, მონოლოგის ბოლოს, დაახლოებით ისეთივე შინაარსის მოწოდება ჰქონდა, რასაც ბოლო რამდენიმე დღეა ტელევიზიები „საცხრამეტაპრილო“ რეკლამაში ატრიალებენ: „ვინც არ ხართ ფაშისტი და შავბნელი, მობრძანდით 19-ში! ვინც იზიარებს ჩვენს ღირებულებებსა და პრინციპებს, მობრძანდით! ვისაც გაწუხებთ, რომ ოპოზიციის კანონს აუქმებენ, მობრძანდით! ვისაც გაწუხებთ ის, რომ საქართველო აგრესორია და რუსეთი მსხვერპლი — მობრძანდით!“

მოწოდებების შემდეგ **გიორგი გაბაშვილმა** „ვერსიის“ რამდენიმე კითხვას უპასუხა:

— გია უდესიანის განცხადებით, აქციაზე ტერაქტია მოსალოდნელი. ვრცელდება ინფორმაცია ნაციონალების მიერ სხვადასხვა რეისებზე, 20 აპრილს დაჯავშნული ბილეთების შესახებაც...

— კარგით, რა! მიხეილ მაჭავარიანი და დავით საგანელიძე ერთად მიდიან ბრიუსელში, თინა ხიდაშელი და დავით ბაქრაძე ერთად მიდიან სტრასბურგში... ასე რომ, სულ ტყუილად ავრცელებენ ინფორმაციებს, თითქოს ვიღაც გარბის, ახლა კიდევ ვიღაც ბრძენი ტერაქტს აანონსებს!

— ანონსდება დათა ახალაიასა და სოსო თოფურიძის საქართველოში ჩამოსვლაც. ეს თქვენს გეგმებს ხომ არ ჩაშლის?

— ნაციონალური მოძრაობა არის ძლიერი პოლიტიკური გუნდი, რომლის წინააღმდეგ, შესაძლოა, მოწინააღმდეგეებმა რაღაც ხრიკები მოიფიქრონ, ვიღაცას გაურიგდნენ, რაღაც პროვოკაციები მოაწყონ, მაგრამ ამ ყველაფერს ძალიან მოკლევადიანი ეფექტი ექნება და არა რაიმე სერიოზული შედეგი!

შსს 19 აპრილს მანიფესტანტთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს

19 აპრილის აქციასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეიქმნა. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მოსალოდნელია გარკვეული პროვოკაციები, ნაციონალების თქმით კი, ამ პროვოკაციის ავტორი ხელისუფლება იქნება. მეტიც, მათი მტკიცებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ხელისუფლების წარმომადგენლები ნაციონალების აქტივისტებზე ზეწოლას ახორციელებენ, მათ აშანტაჟებენ და მოუწოდებენ, არ მივიდნენ აქციაზე. ოპოზიციის ბრალდებებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. ღარიბაშვილის უწყებაში აცხადებენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამება სიმართლეს და ხელისუფლება აქციის უსაფრთხოდ ჩატარებას უზრუნველყოფს. გთავაზობთ განცხადებას, რომელიც 19 აპრილის აქციასთან დაკავშირებით, შსს-მ გაავრცელა:

„საქართველოს მასშტაბით არც ერთ რაიონში პოლიცია არ ახდენს ზეწოლას ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებზე და არ აფერხებს 19 აპრილის აქციაზე მათ დასწრებას. ეს არის სიცრუე და აბსურდული ბრალდებები, რომელიც მიზნად ისახავს პოლიციის დისკრედიტაციასა და პოლიტიზირებას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა არაერთხელ განაცხადა და კატეგორიულად გააფრთხილა სამინისტროს თანამშრომლები, რათა მათ ხელი არ შეუშალონ 19 აპრილის აქციის მზადებას და არ ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა.

მოვუწოდებთ ყველას, მათ შორის, ოპოზიციის წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ დეზინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისგან.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დაცულ უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“.

საქართველოს ხელისუფლება იცავს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას. სწორედ ამიტომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მობილიზებულია 19 აპრილს დაგეგმილი ოპოზიციის აქციის მიმდინარეობისას წესრიგისა და აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დასაცავად. ამ მიზნით, 17 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, შედგა მოსამზადებელი შეხვედრა შსს-ს წარმომადგენლებს, თბილისის მერიის უფლებამოსილ პირსა და აქციის ორგანიზატორებს შორის.

საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც დეტალურად გაწერს შეკრებისა და მანიფესტაციის წესებს, პასუხისმგებლობას მანიფესტაციის კანონის ფარგლებში წარმართვაზე უპირველესად აკისრებს აქციის მონაწილეებს, ორგანიზატორებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ 19 აპრილს მანიფესტანტთა უსაფრთხოება იყოს დაცული. მოვუწოდებთ თბილისის მერიასა და თავად აქციის ორგანიზატორებს, იმოქმედონ კანონის ფარგლებში და, თავის მხრივ, უზრუნველყონ მანიფესტაციის მშვიდობიანად წარმართვა.

აქვე, გაგაცნობთ აქციის მონაწილეების, ორგანიზატორების, მერიისა და ძალოვანი სტრუქტურების კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

კანონის თანახმად, აქციის მონაწილეებს ეკრძალებათ:

- შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს;
- ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა;
- ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით გადაკეტვა;
- განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისათვის;
- შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება;
- ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღის ქონა;
- ისეთი საგნის ან ნივთიერების ქონა, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით;
- ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/და მომწამვლელი ნივთიერებების ქონა;
- ალკოჰოლური სასმელის ქონა.

შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორები ვალდებული არიან:

- დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ გაფრთხილებით ნაკისრი ვალდებულებანი;
- კანონის მოთხოვნათა დარღვევისას, მის აღმოსაფხვრელად მოუწოდონ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას;
- ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობები:

- შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის აუცილებლობის შემთხვევაში, მერია ვალდებულია, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება და ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული მარშრუტის განსაზღვრა;
- აქციის და მანიფესტაციის კანონით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულია, მოუწოდოს აქციის ორგანიზატორებს დარღვევის აღმოფხვრისკენ;
- ვალდებულია დაიცვას ბალანსი შეკრების ან მანიფესტაციის თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება ან მანიფესტაცია. აღნიშნულ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა;
- შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, მერია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ, თუ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია.

სამართალდამცავთა უფლება-მოვალეობები:

- პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება;
- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებული არიან, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს;
- თუ ორგანიზატორმა არ მოუწოდა შეკრებისა და მანიფესტაციების მონაწილეებს და არ მიმართა ყველა გონივრულ ქმედებას, ან შეასრულა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა დარღვევა გონივრულ ვადაში, სამართალდამცავი ორგანოები უფლებამოსილი არიან დარღვევის აღმოსაფხვრელად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გასახსნელად ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად მიმართონ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

დათა ახალაია ჩამოსვლას ჯერ არ აპირებს

თეა თუთბერიძე „ვერსიას“ ახალაიებთან საუბრის დეტალებს უმხელს

ეკა სეხნიაშვილი

თეა თუთბერიძე „ვერსიასთან“ საუბრისას ნაციონალების შიდადაპირისპირების დეტალებსა და ეჭვებზე საუბრობს და პროგნოზებსაც აკეთებს. ეკუთვნის თუ არა „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული წერილები დათა ახალაიას, რა მოხდა ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის, ვის ვისზე აქვს კომპრომატები ნაციონალებში? — „ვერსიას“ „თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ აღმასრულებელი დირექტორი თეა თუთბერიძე ესაუბრება.

— თეა, სოციალურ ქსელში წერილების ბუმია. რა ხდება რეალურად და შენი ინფორმაციით, რომელი წერილი ეკუთვნის სინამდვილეში დათა ახალაიას?

— **როცა** პირველი წერილი გავრცელდა სოციალურ ქსელში დათა ახალაიას სახელით, მაშინვე ვეცადე, გადამემოწმებინა. დავუკავშირდი იმ ადამიანებს, რომელთაც ყველაზე ზუსტად უნდა სცოდნოდათ, ეკუთვნოდა თუ არა წერილი რეალურად დათა ახალაიას. მათ არ დამიდასტურეს ამ წერილთან დათას კავშირი... რაც შეეხება ადვოკატის განცხადებას, თითქოს ეს წერილი ნადვილად დათა ახალაიას ეკუთვნის, ესეც უცნაურად მეჩვენება — ეს ადამიანი სისხლის სამართლის ადვოკატია, ცოტა უცნაურია, საკუთარ თავზე ამხელა პასუხისმგებლობას რომ იღებს და ასეთ კომენტარებს აკეთებს. ეს მისი საქმე არაა. შესაბამისად, ადვოკატის განცხადება ვერ ჩაითვლება დადასტურებად, რომ წერილი დათა ახალაიას ეკუთვნის.

დათა ახალაიას რომ ნდომებოდა, **ელემენტარულად, მონახავდა** ისეთ ადამიანებს, თუნდაც მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც დაადასტურებდნენ ამ წერილის ნამდვილობას. ოჯახის წევრებს ამაზე კომენტარი არც გაუკეთებიათ. მე დავურეკე ბატონ როლანდ ახალაიას, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან დატოვა **ნაცმოძრაობა. ეს ინფორმაცია მასთან საუ**ბრისას არ დადასტურდა. მერე გავრცელდა პირველი წერილის უარმყოფელი წერილიც, რომელიც, ვფიქრობ, უფრო უნდა ეკუთვნოდეს დათა ახალაიას. ვეჭვობ, სულ სხვა ადამიანების ინტერესებში შედიოდა 19 აპრილის აქციების წინ მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთება.

— ინტერნეტ-მედიაში არის ვარაუდი, რომ აღნიშნული წერილების გავრცელება ლაშა ნაცვლიშვილს უკავშირდება...

— ეს ყველაფერი, რაც წერილში იყო გადმოცემული, ყველაზე უკეთ ეცოდინება დათა ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს, მაგრამ ყველაფერი ხომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სპეცსამსახურებისთვისაცაა ცნობილი? თუ მსგავსი რამ რეალურად მოხდა, არაა გამორიცხული, ეს წერილი ახალაიას არც დაეწერა და სპეცსამსახურებს გამოეყენებინათ 19 აპრილის აქციის წინ. ამ ყველაფერში ჩართული და ყველაფრის უკან, შესაძლოა, ლაშა ნაცვლიშვილიც იყოს, გია ხუხაშვილიც და კიდევ ბევრი ვინმე — მათ არ სურთ 19 აპრილის აქციის საერთოდ გამართვა. სიმართლე გითხრათ, საშიშს რას ხედავენ 19 აპრილის აქციაში, ვერ ვხვდები. ცოტა ბუნდოვანი მგონია ამ აქციის მიზანი. აქამდე ნაცმოძრაობის აქტივისტებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 19 აპრილის აქციაზე შეიძლებოდა დასახელებულიყო პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობა, თუმცა მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო ინტერვიუს შემდეგ ცხადი გახდა, რომ კანდიდატის შერჩევა ტელე-პრაიმერის საშუალებით მოხდება.

— ეს ყველაფერი გასაგებია, თუმცა ფაქტია, რომ გარკვეულმა შიდაინტრიგებმა მაინც იჩინა თავი. ბაჩო ახალაიას საქმეში ბრალდების მთავარ მოწმეებად არიან გიორგი ლორთქიფანიძე, მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე შალვა ჯანაშვილი, ასევე მერაბიშვილისა და შემდგომ თავად ბაჩო ახალაიას მოადგილე ზურაბ არსოშვილი. ეს ყოფილი ჩინოსნები მერაბიშვილის კადრად სახელდება.

— მე ვამბობ, რომ ინტერნეტ-საშუალებით წერილების გავრცელება დათა ახალაიას სტილი არ გახლავთ, მაგრამ მეორე საკითხია გავრცელებული წერილის შინაარსი. სამწუხაროდ, შესაძლოა, ეს იყოს რეალობასთან ძალიან ახლოს. ბაჩო ახალაია ერთადერთი მინისტრია წინა ხელისუფლებიდან, იმ მინისტრთა კაბინეტის წევრი, რომლის პრემიერიც ვანო მერაბიშვილი გახლდათ. ბაჩო ახალაიას დაკავების შემდგომ გავიდა 6 თვე და ამ პერიოდის განმავლობაში, ვანო მერაბიშვილს ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია მის მხარდასაჭერად და არც მისი უკანონო დაპატიმრების შესახებ უსაუბრია. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, აჩენს ეჭვებს, რომლებსაც უფრო აძლიერებს ის, რომ მერაბიშვილის თანაგუნდელები, ვინც მის მარჯვენა თუ მარცხენა ხელს წარმოადგენდნენ, დღეს არიან პროკურატურის მოწმეები ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ საქმეებში. მაგალითად, მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე შალვა ჯანაშვილი, ზურაბ არსოშვილი, ეროვნული გვარდიის ყოფილი უფროსი, რომელთა ჩვენებებიც წავიკითხე. უცნაურია, რომ მერაბიშვილის მოადგილის, ჯანაშვილის ჩვენებაში სპეცრაზმელის ვარჯიში წამებადაა წარმოჩენილი; ასევე, მოვისმინეთ მისი მოადგილის, გიორგი ლორთქიფანიძის განცხადებები... ბევრი რამ ბადებს კითხვებს, რომლებსაც მერაბიშვილმა უნდა უპასუხოს.

დასასრული მე-4 გვერდზე

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

2013 წლის 19 აპრილს, 12 საათიდან მიტინგის დასრულებამდე, ქ. თბილისში გადაიკეტება: **რუსთაველის გამზირი, ვარდების მოედანი, თავისუფლების მოედანი, კოტე აფხაზის (ყოფილი ლესელიძე) ქუჩა, თაბუკაშვილისა და მიმდებარე ქუჩები.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, უზრუნველყოს პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეკრების (მანიფესტაციის) მშვიდობიანი ფორმით ჩატარება და არ დაუშვას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, აგრეთვე, ამავე კანონის მე-8 მუხლის „ღ“ და „ძ“ ქვეპუნქტები — პოლიციის ძირითადი ამოცანა და მოვალეობაა: დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციებისა და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება, აგრეთვე მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა.

ასევე, აღნიშნული აქციის მონაწილეებს შევახსენებთ, რომ მათ ეკრძალებათ:

ა) იქონიონ ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილადაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღი;

ბ) იქონიონ ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით;

გ) იქონიონ ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/და მომწამვლელი ნივთიერება;

დ) იქონიონ ალკოჰოლიანი სასმელი;

ე) განზრახ შექმნან დაბრკოლებები ტრანსპორტის გადაადგილებისთვის.

საქართველო 19 აპრილის ვნებათაღელვამ კიდევ ერთხელ ააფორიაქა. ნაციონალებმა მოახერხეს და, ვირტუალური თუ პიარტექნოლოგიების აპრობირებული მეთოდებით, საზოგადოება აახმაურეს. არავინ ფიქრობს, რომ 19 აპრილი რაიმე გარდამტეხი მოვლენა იქნება ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ, პირველი და მთავარი, რისი მიღწევაც უნდოდათ, უკვე მიიღეს — საერთაშორისო წრეებიც დაინტერესეს, მასმედიაც და შექმნეს ეიფორია იმისა, რომ ჯერ კიდევ შესწევთ ძალა, პროცესებზე გავლენა მოახდინონ. არადა, ყოფილ მმართველ პარტიაში ისეთი ქაოსია, სულ მალე, როგორც იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანს.

სოციალურ ქსელებსა და მასმედიაში ვრცელდება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია და კაცი ვერ გაარკვევს ტყუილ-მართალს. ზოგი დათა ახალაიას, მეგის ქარდავასა და სოსო თოფურიძეს ელოდება ტრაბზონიდან, ზოგი ზურაბ ადეიშვილის გაქცეული პროკურორების დაბრუნებას, ზოგი ნაციონალების გაქცევას და ზოგიც მოსალოდნელ ტერაქტსა და გაზის გაშვებას შუაგულ რუსთაველზე.

ასეა თუ ისე, არც ნაციონალები და არც ხელისუფლება დროს უქმად არ კარგავს და საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ტერორის აპრობირებულ მეთოდებს სრული ძალით ამუშავებს.

ვახშამი ყვარლის რეზიდენციაში და პრეზიდენტ სააკაშვილის სადღეგრძელო, რომელიც შესაძლებელია 19 აპრილს ახდეს!



„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, წინა კვირას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ყვარელში, საკუთარ კარმიდამოში, საკრებულოს ნაციონალურ ფრთას უმასპინძლა. საიდუმლო სერობა, რა თქმა უნდა, ვახშმითა და ქეიფით დასრულდა, მაგრამ, როგორც იქ დამსწრე ერთ-ერთი დეპუტატი გვიამბობს, იგი ყველაზე მეტად ემოციური პრეზიდენტის ერთმა სადღეგრძელომ გააოცა — მე ბედნიერი ვიქნები, ნაციონალური მოძრაობიდან გასული დეპუტატები ცხივრპირდალეწილი, საავადმყოფოში ვნახოო. წყარო ვარაუდობს, რომ სააკაშვილმა საკრებულოს წევრები ქველაძე, ქავთარაძე და ომანიძე, მეტსახელად „ხელო“ იგულისხმა... წყარო გვიამბობს, რომ ამ თემაზე იგი დიდხანს და ემოციურად საუბრობდა...

ნაციონალებში დაგროვილი შურისძიება რომ ერთ მშვენიერ დღეს თავს იჩენს, აშკარაა, მაგრამ, მაფიის კანონის თანახმად, შურისძიება ცივი კერძია და, როგორც ჩანს, სააკაშვილის შავი საქმეების შემსრულებლები სწორედ ვნებათაღელვის ჩაცხრობას ელოდებიან. ამ ფაქტში საინტერესო ის არის, რომ ამას მშვიდად უსმენდა 20 დეპუტატი და მათ შორის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი და უმრავლესობის ლიდერი კოკი იონათამიშვილი.

როგორც „ვერსიის“ წყარო ამბობს, ეს ფაქტი მხოლოდ იმიტომ გაახმაურა, რომ შესაძლებელია დასახელებული დეპუტატები სწორედ 19 აპრილისთვის დასაჯონ, რითაც ორ კურდღელს დაიჭერენ — პრეზიდენტსაც ასიამოვნებენ და ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისთვისაც გამოიყენებენ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მურტალოს მეთოდები დაუძველდა, რადგან ამ ვახშმიდან ორიოდე დღის შემდეგ ნაცმოძრაობა ყვარლის რეზიდენციაში, პრეზიდენტთან ერთად მოქეიფე კიდევ ერთმა დეპუტატმა ბენდელიანმა დატოვა.

ანი დადიანი

ექსკლუზიური ინტერვიუ ემზარ კვიციანთან

როდის ჩამოვა საქართველოში და მოვა თუ არა პოლიტიკაში ყოფილი რწმუნებული კოდორის ხეობაში

ეკა სეხნიაშვილი

საქართველოსგან შორსმყოფი, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ბრალდებული, კოდორის ყოფილი რწმუნებული და ბატალიონ „მონადირის“ ხელმძღვანელი ემზარ კვიციანი „ვერსიასთან“ საუბრისას გულისტკივილს გამოთქვამს, რომ მისი პოლიტდევნილობის საქმე ამ ხელისუფლების პირობებშიც ჭიანურდება. რა გეგმები აქვს, როდის დაბრუნდება საქართველოში და როგორ აფასებს კოდორში მომხდარ მოვლენებს ემზარ კვიციანი? ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ვერსიას“ ემზარ კვიციანი ესაუბრება, თუმცა ჩვეულ სიტყვაძუნწობასაც არ ღალატობს.

— ბატონო ემზარ, როდის აპირებთ ჩამოსვლას თბილისში და გაღიარეს თუ არა პოლიტდევნილად?

— ჯერ არა, რატომღაც დროს წელავენ. ვერ გეტყვით, რატომ.

— როგორ ფიქრობთ, ვის არ სურს თქვენი დაბრუნება და კონკრეტულად, ვისთან გაქვთ კონტაქტი, ბესელიასთან?

— ყველასთან აქვთ ჩემებს ურთიერთობა, მათ შორის ბესელიასთანაც. ყველა ამბობს, რომ მე უეჭველი მეკუთვნის პოლიტდევნილობის სტატუსი. ყოველდღე ამბობენ, კვირის ბოლოს იწყებაო განხილვა. ასე გრძელდება უკვე 4 თვეა. დავიღალე.

— კოდორის ხეობასთან დაკავშირებით თქვენი აზრი მაინტერესებს. სააკაშვილმა განაცხადა, ბიჭებს ხომ არ ჩავახოცინებდიო?

— ეტყობა „მონადირეც“ იმიტომ გააუქმა, ედარდებოდა და ენანებოდა ჩასახოცად, სუფთა ჰაერზე სამშობლოს დასაცავად და ციხეებშიც მაგიტომ ამოხადა სული.

— მონადირეთა ბატალიონი რომ არ დაეშალათ, კოდორის ხეობა დღეს ვის ხელში იქნებოდა?

— მაგაზე არ მინდა კომენტარის გაკეთება, რადგან ცოტა ბაქიაობა გამოვა. 14 წელი ვინარჩუნებდით ხეობას და იოლად არავის ჩავაბარებდით. თუ აიღებდნენ, ღირსეულად მაინც დავიცავდით და არა ასე, ლაჩრულად!

— როგორ შეაფასებთ ივანიშვილის ხელისუფლების მოქმედებებს?

— სანამ არ დავბრუნდები, ყოველგვარი შეფასებისაგან თავს შევიკავებ, რადგან ძალიან შორს ვარ და უბრალოდ, უხერხულია.

— დაბრუნების შემდგომ პოლიტიკური გეგმები თუ გაქვთ? ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენს ბატალიონს აღადგენთ.

— ვის სჭირდება ახლა ეს ბატალიონი? როცა თავს დაგვესხნენ, ქართული არმიიდან ერთეულებმა ამოიღეს ხმა და ახლა, როცა ჩაბარებულია ყველაფერი, ვინ მოგვცემს მაგის აღდგენის უფლებას?

— მით უმეტეს, თქვენ არც ირაკლი ალასანია გწყალობდათ და არც ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც გაგიუქმათ ეს ბატალიონი... თუ რამე მეშლება?

— ესენი, ყველანი, ერთი „კამანდა“ იყო. უცხოელების მიერ შექმნილი.

— ბევრი საინტერესო ინფორმაცია გაქვთ. თბილისში ამბობენ, ალასანია ჯერ კიდევ სააკაშვილის თამაშს თამაშობსო.

— ცხოვრება გვიჩვენებს სულ მალე ყველაფერს, ვინ ვინაა ქართულ პოლიტიკაში.

— ბატონო ემზარ, თქვენ მაინც რატომ გებრძოდნენ წინა ხელისუფლებაში? აი, თქვენზე ამბობდნენ, რუსეთის თამაშს თამაშობდაო.

— გაირკვა, ვინ თამაშობდა რუსეთის თამაშს?

— ოქრუაშვილს რას ეტყვით, თბილისში რომ დაბრუნდებით, ან იგივე ალასანიას?

— როცა შევხვდები, მაშინ გაიგებთ!

— ივანიშვილთან არ აპირებთ შეხვედრას. პოლიტდევნილობის გარეშეც ხომ შეიძლება სიმართლის დამტკიცება?

— თუ ამ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ არ ვარ პოლიტიკური დევნილი, მაშინ სამართლიანობა ჯერ კიდევ შორს ყოფილა ჩვენგან და მე როგორღა დავამტკიცებ მარტოკაცი? ამიტომ გადავწყვიტე ბოლომდე დალოდება..

— ძალიან ხომ არ გაგიგრძელდათ ლოდინი? საუბრებია, რომ პოლიტდევნილების ახალი ტალღა აღარ იქნება.

— ესე იგი, საქართველოში ჯერ ჩემი ადგილი არ ყოფილა, რადგან ამერიკელები და უცხოელები წყვეტენ ქართველების ბედს, საქართველოში შემოგვიშვან თუ არა.

— ბატონო ემზარ, ერთი პერიოდი, რუსეთის ფედერაციას აფარებდით თავს. დღეს საქართველოში ოპტიმისტური განწყობაა. რა შანსი გვაქვს, იგივე კოდორის, აფხაზეთის დაბრუნების? თქვენ შეგიძლიათ, კოდორის დაბრუნების გეგმაში გადამწყვეტი როლი შეასრულოთ?

— ჯერ საქართველოში არ მიშვებენ და კოდორში ვინ შემიშვებს?

— თქვენი და, ქალბატონი ნორა კვიციანი, ფაქტობრივად, თქვენს გამო იჯდა ციხეში... ცნობილია, რომ დის გამოშვების სანაცვლოდ, წინა ხელისუფლება რაღაცის გაკეთებას გთხოვდათ. რაზე იყო საუბარი?

— არაფერი უთხოვიათ. მე თვითონ შევთავაზე 2008 წელს, როგორც კი დაიწყო პროვოკაციები, ჩაგბარდებით და ჩემი და გამოუშვით-თქო. უარი მითხრეს. ჩამოდი და შენც დაჯექი შენი დის გვერდითო.

— კონკრეტულად, ვინ გებრძოდათ?

— მაშინ ნაცმოძრაობა და ოპოზიციის 90% ჩემი წინააღმდეგი იყო. არასამთავრობოებიც, გრანტებისმომლოდინეები, ყველა... გრანტებს გადააყოლა მავანმა ჩვენი ქვეყნის მთლიანობაცა და მომავალიც.

— რესპუბლიკელებს ხომ არ გულისხმობთ? გატყობთ, ივანიშვილის გარემოცვაზე ნაწყენი ხართ...

— ნაწყენი არ ვარ, მაგრამ ძალიან მომენატრა სამშობლო!

— ისე, როგორ ფიქრობთ, ახალი ხელისუფლება პრორუსულია?

— ყველა ხელისუფლება, რომელიც კი მოვიდა, პროდასავლური კურსით იწყებდა და პრორუსულით ამთავრებდა. ჩემთვის, რომ იცოდეთ, სულ ერთია — საქართველოს საქმეს არც ერთი არ გააკეთებს. ხელისუფლება უნდა იყოს პროქართული და უნდა დაამყაროს ღირსეული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ჩვენგან გაგზავნილი მოსწავლეები და სტუდენტები არ უნდა ხდებოდნენ „ვერბოვკის“ მსხვერპლნი უცხოეთში, ამიტომ აქედანვე უნდა შეარჩიონ ახალგაზრდები და მოამზადონ ვერბოვკის საწინააღმდეგოდ.

— 2006 წელს კოდორში, არეულობის დროს, ოქრუაშვილი და მერაბიშვილიც ჩამოვიდნენ. ამბობენ, მერაბიშვილთან უფრო კარგი ურთიერთობა გქონდათ, ვიდრე ოქრუაშვილთან. მიუხედავად ამისა, მერე მაინც გაგივრცელეს ინფორმაცია, თითქოს, კოდორისთვის გამოყოფილი ტრაქტორები სოხუმში გაყიდეთ და ასე ვთქვათ, თანამშრომლობდით აფხაზეთის დეფაქტო მთავრობასთან. ისიც ითქვა, თითქოს თქვენი დისშვილი, ბაჩო არღვლიანი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი იყო. ამის გამო ხომ არ დაგიპირისპირდნენ?

— პირველად მესმის ასეთი რამ. ორი ტრაქტორი მყავდა: ერთი აფხაზებს წავართვით ბრძოლის დროს და მეორე 1500 დოლარად ვიყიდე ვალოდია ჯაჭვლიანისგან. მეტი ტრაქტორი ჩვენ არ მიგვიღია და რომც მიგველო, გზა მქონდა აფეთქებული, სადაც პატარა მანქანაც ვერ გადადიოდა, რანაირად გავყიდდი?

რაც შეეხება ურთიერთობას, არც მერაბიშვილთან მქონია კარგი ურთიერთობა და არც ოქრუაშვილთან იმიტომ, რომ ორივე თავიდანვე შევიგრძენი, როგორც ეშმაკეულნი.

— უკვე ბევრი საუბრობს, რომ სამართლიანობის აღდგენა არ ხდება და ახალი ხელისუფლებისგან ნაციონალების დასჯას ითხოვენ. თქვენც იგივე მოლოდინი და სურვილი გაქვთ?

— ადამიანის მოქმედებას ვერ შეაფასებ სწორად, თუ ვერ შეძელი იმის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა. მე კი ეს ახლა, ამ ადგილიდან, სადაც ვარ, ძალიან მიჭირს! იქნებ ჩვენ გვეჩვენება და სინამდვილეში ასე სჯობს, რასაც აკეთებენ? ჩვენ ხომ ვენდეთ ივანიშვილს, მაშინ ვენდოთ ბოლომდე, სანამ ღალატს არ შევამჩნევთ. ისე, ხომ გაგიგიათ, სიკვდილზე უარესი სიკვდილის ლოდინიაო?!

— როდის აპირებთ საქართველოში ჩამოსვლას. თუ ბესელიას კომიტეტმა პოლიტდევნილად არ გაღიარათ და პროკურატურამაც ბრალი არ მოგიხსნათ, რას აპირებთ — პოლიტიკური დევნილის სტატუსს მოითხოვთ სხვა ქვეყნისგან?

— რა ვქნა, გავაგრძელებ ლოდინს. საკუთარმა ქვეყანამ თუ არ მომცა პოლიტიკური დევნილის სტატუსი, სხვას რა ნამუსით ვთხოვო?

— თქვენზე ამბობდნენ, რომ ერთხანს, სოხუმსაც აფარებდით თავს...

— ეს კითხვა ყველაზე მეტად მშლის ნერვებზე. ყველამ კარგად იცით, რომ ეს არის სრული სიცრუე და მაინც ამას მეკითხებით, რატომ?

— არ მიპასუხეთ, რომ დაბრუნდებით, პოლიტიკაში ჩართვას გეგმავთ?

— პოლიტიკისგან შორს – არა! არა! არა!

მე-3 გვერდიდან

— გამოდის, ახალაიებს „ხელს ახოცავენ“ და ამიტომ არიან ისინი ნაწყენები?

— ნაწყენი რას ნიშნავს? 6 თვე რომ ციხეში ზიხარ და შენი გუნდის გენერალური მდივანი ერთ განცხადებასაც არ აკეთებს, რას ნიშნავს?!

— ანუ არჩევნებამდეც იყო პრობლემები ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის?

— ვერ გეტყვით, რა იყო მანამდე... როცა გავრცელდა ხმები, ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირებაა, მაშინვე ვთქვი, რომ ამის შესახებ ბაჩოს ჩემთვის არასოდეს უთქვამს და მაინც გამიჩნდა ეჭვი მას შემდეგ, რაც არჩევნებამდე 11 დღით ადრე გამოქვეყნდა ციხის კადრები, რომლებმაც სამწუხაროდ, გადაწყვიტა არჩევნების ბედი. ახლაც მიმაჩნია, რომ ხელისუფლების მაღალი ეშელონიდან ვინმეს „დაბროს“ გარეშე, ეს „კადრები“ არ გამოქვეყნდებოდა და ამას ახლაც ვადასტურებ. არ გახლავართ ის ადამიანი, რომელიც ციხეს გარედან იცნობს და კარგად ვიცი, ამ სისტემაში ბუზიც ვერ შეფრინდებოდა. როგორც კი ვიდეოკადრები გამოჩნდა, მივხვდი, ეს ვიღაც ბედუკაძისა და ჟურნალისტ ირმა ინაშვილის გაკეთებული არ იყო, ბიძინა ივანიშვილს კი, რამდენიც უნდა გადაეხადა, ვერ შეძლებდა ამას, ხელშემწყობი რომ არ ჰყოლოდა, თანაც, ხელისუფლების მაღალ დონეზე. შესაბამისად, შოკისმომგვრელია ყველაფერი. ამის მერე ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები. ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც მე აღმოვჩნდი.

დათა ახალაია ჩამოსვლას ჯერ არ აპირებს

სხვამ თუ არა, მე მაინც ვიცი, რომ კინოსტუდიების მოწყობა ციხეებში და ამ ყველაფრის გადაღება-გამოტანა, ასე მარტივად ვერ მოხდებოდა. ერთ მარტივ კითხვას ვსვამ, რას აკეთებდნენ შესაბამისი სპეცსამსახურები, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია იმაზე, რომ ასეთი რამ ხდებოდა ციხეებში და რას აკეთებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო ამის **ასალაგმად? თუ არ ჰქონდათ ინფორმაცია, მაშინ როგორ იყო ძლიერი შინაგან საქმეთა სამინისტრო** და როგორ იყო მაგარი მინისტრი და „ხერხემალი“ ივანე მერაბიშვილი?!

— დათა ახალაიას ჩამოსვლაზეა საუბარი. მას, ბუნებრივია, სერიოზული ინფორმაციები და დოკუმენტაცია ექნება.

— როგორც ვიცი, დათა ახალაია, ჯერჯერობით, ნამდვილად არ აპირებს ჩამოსვლას. ეს მორიგი ჭორია. მას, სავარაუდოდ, მართლაც ძალიან ბევრი ინფორმაცია ექნება, რადგან მაღალი თანამდებობის პირი იყო და მნიშვნელოვან ინფორმაციებზე ჰქონდა წვდომა.

— სააკაშვილმა მასზე საუბარს თავი აარიდა. თქვა, რომ ის არც იყო რევოლუციის შემდგომ ნაცმოძრაობის წევრი და სულ 2-3-ჯერ მინახავსო...

— დათა ახალაია იყო ძალოვან სტრუქტურებში ძალიან მაღალ თანამდებობებზე და ბუნებრივია, ის პარტიულ რგოლებში ვეღარ დარჩებოდა. მას პირადად არც ექნებოდა ხშირი შეხება პრეზიდენტთან. ამის აუცილებლობა არც იყო, ვინაიდან ამ სამინისტროებს, სადაც ის იყო, ჰყავდა კონკრეტული მინისტრი. სააკაშვილის ასეთი შეფასება არ გამკვირვებია, უბრალოდ, მეც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტმა გვერდი აუარა ამ თემას. ამან კიდევ უფრო გამიღრმავა ეჭვები. თუ ყველაფერი რეალურია და ეს იცის ბატონმა პრეზიდენტმა, ვურჩევდი, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, საბოლოოდ ახადოს ამ ყველაფერს ფარდა. არა მხოლოდ პარტიის გაჯანსაღებისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის მომავლის განვითარებისთვის, ნამდვილად სჯობს, ვიცოდეთ, რა მოხდა რეალურად, ვინ რას აკეთებდა და ვინ მიგვიყვანა აქამდე.

— ანუ მიანიშნებთ, რომ რეალურად, ვანო მერაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილის თამაში ითამაშა?

— თუ ყველაფერი რეალურია, მაშინ ასე გამოდის. არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ, ლოგიკურია. თუ ვანო მერაბიშვილი იყო ძლიერი მინისტრი და ეს სამინისტრო იყო ხერხემალი, მაშინ მას არ უნდა გამოპარვოდა ასეთი მასალები. როგორ გამოეპარათ, როცა იმასაც კი აკონტროლებდნენ, ვინ ვისთან იწვა?

— საუბარია, რომ „ქართული ოცნების“ რამდენიმე პოლიტიკოსი ქალბატონის პირადი ცხოვრების მაკომპრომეტირებელი კადრები ჰქონდათ მეგის ქარდავასა და დათა ახალაიას.

— ვერ გეტყვით, რა ჰქონდათ და სიმართლე გითხრათ, არც მიმაჩნია პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტები მაკომპრომეტირებლად. თუ ისეთ რამეს აკეთებ, რაც, მაპატიეთ და, „გიტყდება“, მაშინ არ უნდა გააკეთო. თუ არა, ვერ წარმომიდგენია, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით რით უნდა დამაშანტაჟონ?

— შექმნილი ვითარების ფონზე, ნაციონალური მოძრაობა დაშლას იწყებს?

— არ მგონია, რადგან ერთ-ორ პირზე არ არის მიბმული ნაცმოძრაობა და იდეურად მოაზროვნე ადამიანების ერთობლიობაა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ პარტიის გაჯანსაღება და გადახალისება უნდა მოხდეს. რამდენიც უნდა მალონ, თუ ეს პრობლემა შიგნით არსებობს, თავს ვერ დამალავს. ჯერ ეს თემები უნდა გამოვიდეს განსახილველად და ყველა კითხვაზე უნდა მივიღოთ პასუხი.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ დათა ახალაიას ყოფილმა მოადგილემ, დავით ჩხატარაშვილმა, რომელიც ახლა ხუხაშვილის მარჯვენა ხელია, დააკავშირა ისინი ერთმანეთს. შესაბამისად, ხუხაშვილმა განაცხადა, ახალაიები რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენო...

— სრული სისულელეა ხუხაშვილის განცხადება. ბაჩო და დათა ახალაიები იყვნენ მნიშვნელოვანი საქმეების გამკეთებლები. რაც უნდა თქვან, ბაჩო ახალაიამ უმნიშვნელოვანესი რეფორმები გაატარა ჯერ სასჯელაღსრულებაში, სადაც კრიმინალური სამყარო ალაგმა, შემდგომ თავდაცვის სამინისტროში, როცა ომის შემდგომ განადგურებული თავდაცვის ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად, აღადგინა. უბრალოდ, ეს ყველაფერი არ გაუპიარებია, ზოგიერთი ყოფილი მინისტრისგან განსხვავებით.

— მოსალოდნელია, რომ ბაჩო ახალაიამ სასამართლო პროცესზე ისაუბროს ამ შიდა დაპირისპირებაზე?

— ვერ გეტყვით, რას აპირებს ბაჩო. მასთან საუბარი არ მქონია. ჩაიაროს ამ 19 აპრილის გაურკვეველი მიზნების აქციამ. მე ვაპირებ მისვლას, რადგან „ქართული ოცნების“ პოლიტიკას არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ქვეყნისთვის დამღუპველია. ისიც გაურკვეველია, მაშინ საკონსტიტუციო ცვლილებებს რატომ დაუჭირა მხარი ნაციონალურმა მოძრაობამ, თუმცა აქციების შემდგომ აუცილებლად დაისმება კითხვები და ყველა ადამიანი დაიწყებს ამაზე საუბარს.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ეს დახურული ინფორმაციაა და დღეს პირველად ვამბობ...“

აგვისტოს ომის საპარლამენტო კომისიის წევრი ლევან ვეფხვაძე „ვერსიას“ გამოძიების ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს

ნაციონალურ გუნდში განხეთქილება გრძელდება! გრძელდება აჟიოტაჟი აგვისტოს ომის ხელახალი გამოძიების შესახებაც. ამ ორივე თემას კი ნაციონალები „ოცნებისგან“ „შემოგდებულად“ მიიჩნევენ — კარსმომდგარი 19 აპრილის ჩაშლა სურთო. „ვერსიის“ რესპოდენტი, ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძეა, რომელიც 2008 წლის ომის მოვლენებს ამავე წელს პარლამენტში შექმნილი დროებითი კომისიის ეგიდით იძიებდა. ქრისტიან-დემოკრატების დროებით პოლიტიკური ტაიმ-აუტის მიუხედავად, ლევან ვეფხვაძე „ვერსიას“ ვრცელ ინტერვიუს აძლევს, ომის გამოძიების დღემდე გაუხმაურებელ დეტალებს უმხელს და ხელახლა დასაკითხ პირებს ასახელებს.

— დათა ახალაიას განცხადებას რაც შეეხება: ნაციონალების გემი ჩაიძირა. გადარჩენილებმა ჩაუშვეს ე.წ. ნავი და ნაპირზე გამოსვლა უნდათ. ნავში, პირობითად, 10 კაცი ეტევა, მასში ჩაჯდომის სურვილი კი 30-ს აქვს. შესაბამისად, ახლა ერთმანეთს ყრიან ამ ნავიდან. მაღალი ალბათობით, ამ შტორმს მაინც ვერ გაუძლებენ და ამის შესახებ თავადაც იციან. ახლა უკვე ორი ბაყაყის ისტორია მახსენდება, რომლებიც რძეში ჩაცვივდნენ — ერთი ჩაიხრჩო, მეორემ კი იმდენი იფართხალა, კარაქი შეადედა და გადარჩა! ნაციონალებსაც ჰგონიათ, რძეში არიან და კარაქზე შედგებიან, მე კი ასე არ ვფიქრობ!

— ეს ყველაფერი 19 აპრილის აქციაზე თუ იმოქმედებს, ან თქვენ თუ ელით მოვლენების უჩვეულოდ განვითარებას?

— ვინ არის 19 აპრილის სამიზნე აუდიტორია — ყოფილი ბიუროკრატია რეგიონებში, რომელიც ქუჩაში გამოყარეს და თბილისში დღემდე მოქმედი ბიუროკრატია, რომელსაც ეშინია, რომ ქუჩაში გამოყრიან. ასევე, ის სეგმენტი, რომელიც ჯერ კიდევ ამბობს, ბიძინა რუსიაო. ხალხს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამდე ეგონა, მიშა მთავრობას დაითხოვდა და თავად დაბრუნდებოდა. ახლა მის აქტივისტებს ეს მოლოდინი აღარ აქვთ, ამიტომ რეგიონებიდან, შესაძლოა, 200-200 კაცის ნაცვლად, 100-100 კაცი ჩამოვიდეს. განაწყენებულთა რაოდენობა მთლად ცოტაც არ არის, მაგრამ ჩათვალეთ, აქციაზე 7 000-8 000 კაცზე მეტი მაინც არ გამოვა. ვფიქრობ, 19 აპრილს არც ისე იწვიმებს, როგორც ახლა ქუხს: მოვა 8 000 კაცი, „რუსთავი 2“ ამ ხალხს „კრუპნი პლანით“ აჩვენებს, „მეცხრე არხი“ აჩვენებს ცარიელ ადგილებს, სადაც ხალხი არ დგას, ვიღაც იტყვის, აქციაზე 30 000 კაციაო, ვიღაც იტყვის, 1 500-იო და არაფერი მოხდება, რადგან ახლა ნაციონალებს აღარც იმის რესურსი აქვთ, პროცესი 19 აპრილს დაიწყოს და მერე აღარ გაჩერდეს.

— ელოდით, რომ ძმები ახალაიები ასეთ რყევებს შეიტანდნენ ნაციონალურ გუნდში?

— ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს არჩევნებამდე 4 თვით ადრე სერიოზულად დაეძაბათ ურთიერთობა, ეს ყველამ იცის. ამან რა გავლენა მოახდინა არჩევნებზე, ესეც ვიცით — ანუ პოლიცია ამ არჩევნების დროს ისეთი აქტიური არ იყო, როგორც წინაზე. ჩანს, კომპრომატების ომი წინაა. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთის წინააღმდეგ შიგნიდან კომპრომატები ბლომად წამოვა. იმ გუნდს, რომელიც თავდაცვის სამინისტროში იყო და სამხედროს ნაცვლად, პოლიტიკური პოლიციის ფუნქციას ასრულებდა, გარკვეული მასალები აქვს წამოღებული.

— ასე ამბობდნენ ირაკლი ოქრუაშვილზეც, რომელსაც, საბოლოოდ, არც არაფერი აღმოაჩნდა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ!

— როცა ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრი იყო, მას მოსმენისა და თვალთვალის ისეთი ბერკეტები არ ჰქონია, როგორსაც სამხედრო პოლიცია უკვე დათა ახალაიას დროს ფლობდა. თან ირაკლი ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრობიდან ეკონომიკის მინისტრად წავიდა ცოტა ხანს და როცა გაიგო, რომ „რუსთავი 2“ წაართვეს, ოპოზიციაში მაშინ გადავიდა. დათა ახალაიამ კი, ჩანს, მერაბიშვილზე შურისძიება გადაწყვიტა. ერთ რამეს დააკვირდით — ბაჩო ახალაიას მსგავსი მუხლით ვინც იჯდა ციხეში, მათი დიდი ნაწილი გამოუშვეს. ახალაია კი ისევ იქ რჩება. რატომ? გგონიათ, ბაჩოს არ გაუჩნდა ეჭვი, რომ მერაბიშვილი და ივანიშვილი შეთანხმებულნი არიან ციხეში მის დარჩენაზე?

— რას იღებს ახალაიას ციხეში ჯდომით მერაბიშვილი, შურს იძიებს და ეგაა?

> **— თუ ვანომ ახალაია ისე „გაწირა“ და მიშას „დაცურებაზე“ ისე ფიქრობდა, რომ ბიძინა ივანიშვილთან არაფერზე შეთანხმებულა, მაშინ ვანო არ ყოფილა პოლიტიკოსი! თუ ეს იყო შეთანხმება, მომავალში გამოჩნდება: სულ მცირე, ვანო მიიღებს ხელშეუხებლობას, მაქსიმუმ — შესაძლოა, პრეზიდენტიც გახდეს! რეალურად, რაში სჭირდება ვანოს სააკაშვილი, როცა მას აქვს პარტია, არის გენერალური მდივანი, თუმცა მისი აქტიურობა და თუნდაც ის, რომ 19 აპრილი ვანოს დღეა, სააკაშვილის აქტიურობით მაინც იფარება! ამიტომ ვანოს აწყობს, სააკაშვილი გვერდზე ჩააჩოჩოს.**

— ამ დროს, რას ნიშნავს „ოცნების“ მხრიდან აგვისტოს ომის გამოძიების თემის აგორება. სააკაშვილის წინააღმდეგ დაწყებული „დაცურების“ კამპანიაა?

— იმის გამოძიება, ვინ დაიწყო ომი, არის დანაშაული ქვეყნის წინაშე! შევარდნაძე ჩავიდა ცხინვალში 1992 წელს და იქ გამოაცხადა, თქვენ გამსახურდიამ მოგიწყოთ გენოციდი და ამისთვის ბოდიშს გიხდითო. ეს გამონათქვამი ოსური მხარისთვის დღემდე იმის მტკიცებაა, რომ ისინი დამოუკიდებლად უნდა ვაღიაროთ. ანალოგიურად, თუ თავად მიხვალ ლეგიტიმურ დასკვნამდე, ომი მიშამ დაიწყოო, მერე რუსეთთან თუ დაჯდები მოლაპარაკებაზე, ამას არ წამოგაძახებს?!

— მაგრამ „ოცნების“ რამდენიმე ლიდერმა განაცხადა, რომ ომის დამწყების ძიებას არ აპირებენ და თქვენ, როგორც ომის თემის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის წევრს, კითხვები არ დაგრჩათ?

— კი, მე ვიყავი იმ კომისიის წევრი, რომელიც სწავლობდა, რატომ დაიწყო ომი და რა მოხდა დაწყების მერე. ბევრი დახურული თემაა, რაზეც საჯაროდ ახლაც ვერ ვისაუბრებთ, თუმცა იმის ყველაზე ნათელი დადასტურება, რომ ომი ჩვენ არ დაგვიწყია, ესაა:

> **გენერალურ შტაბში, არც ომამდე და არც შემდეგ, სამწუხაროდ, სამხედრო ოპერაციის წარმართვისთვის არანაირი გეგმა არ არსებობდა ცხინვალის მიმართულებით!**

> **დღეს პირველად ვამბობ, შეიძლება, ეს დახურული ინფორმაციაა და არ უნდა ვთქვა, მაგრამ აფხაზეთის მიმართულებით ასეთი გეგმა იყო. მაშინ, როგორც კომისიის წევრს, გენშტაბისგან მქონდა ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც ცალსახად ვამბობ — ცხინვალის მიმართულებით ასეთი გეგმა არ არსებობდა! ცხინვალში საომარი მოქმედებები არ იგეგმებოდა! ევაკუაციის გეგმაც კი არ არსებობდა მაშინ, როცა რეგიონი 4 წლის განმავლობაში იბომბებოდა.**

აი, იმის გამოძიება კი, რა მოხდა ომის დაწყების შემდეგ, აუცილებელია!

— თუმცა, პაატაა დავითაიას ხელმძღვანელობით, თქვენი და ნაციონალების მიერ დაკომპლექტებულ კომისიას საზოგადოების ნდობა არ ჰქონდა...

— არა მგონია, იმაზე მკაცრი დასკვნა დადოს რომელიმე საპარლამენტო კომისიამ. ეს უკვე პროკურატურის საქმეა! ვფიქრობ, გამოძიება, ისევ საპარლამენტო კომისიის ფორმატში გაგრძელდება.

— იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც თქვენ გაქვთ, ვინ უნდა დაიკითხოს და რამდენად სწორია ხელისუფლების მიდგომა — სამხედრო პირებთან კითხვები არ არსებობს, მარტო პოლიტიკური პირები უნდა დაიკითხონო?

— დიდი შეცდომაა, კითხვები რომ არ აქვთ სამხედრო პირებთან! სახელმწიფო დაგეგმარებაში, ოპერაციის განხორციელების ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზეც შეცდომები იყო. სამხედრო პირები უნდა დაიკითხონ, მაგრამ ეს ვინმეს დაჭერას არ ნიშნავს. უნდა დაიკითხოს მაშინდელი გენშტაბის ხელმძღვანელობაც და მიხეილ სააკაშვილი, როგორც მთავარსარდალი. ვინც მაშინ დავკითხეთ, ალბათ, ყველა თავიდანაა დასაკითხი და დარწმუნებული ვარ, განსხვავებულს არაფერს იტყვიან, თუ ჩვენ რაც გვითხრეს, ტყუილი არ ყოფილა. თუ მაშინდელ კომისიას ვინმემ რამე მოატყუა, ამაზე პასუხს მე ნუ მომთხოვენ, რადგან ჩვენი დასკვნა მხოლოდ მათ ჩვენებებს ეფუძნებოდა!

> **მაშინდელი გენშტაბის უფროსი და მისი მოადგილეები უნდა დავკითხოთ, რადგან დიახ, კითხვები ახლაც არის: 2 ბრიგადა გაიჭედა ცხინვალში. ამის მიზეზად თქვეს, ცხინვალში საცეცხლე წერტილები რომ არ ჩაგვეხშო, მშვიდობიანი მოქალაქეების კოლონა ვერ გადმოვიდოდა, რადგან მეორე მხარე შემოვლით გზას მასობრივად ბომბავდაო. მაშინ დავსვით კითხვა — ხომ არ აძალებდა სამხედროებს სააკაშვილი ცხინვალის აღებას და იქ მართლა აღლუმის ჩაბარებას ხომ არ გეგმავდა, როგორც ამის შესახებ ხმები გავრცელდა?! მაშინდელი გენშტაბის უფროსი ზაზა გოგავა დაკითხვისას ყვება: მე მქონდა დავალება, სამოქალაქო კორიდორი გამეკეთებინა, მაგრამ ცხინვალში საცეცხლე წერტილებს თუ არ ჩავახშობდი, დავალებას ვერ შევასრულებდიო!**

შეგვიძლია, გოგავას კიდევ ერთხელ ვკითხოთ, რამდენად გულწრფელი იყო და საერთოდ, ყველა დაკითხულ ადამიანთან გადავამოწმოთ, იცრუეს თუ არა. თუ არავის არაფერი დაუმალავს, გარწმუნებთ, ვერანაირი გამოძიებით ახალს ვერაფერს დაადგენენ, თუმცა დავით კეზერაშვილის ჩამოყვანა და დაკითხვა, ალბათ, მაინც ძალიან გაუჭირდებათ. საერთოდ,

> **ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც 5 აგვისტოს სამხედრო და სამოქალაქო პირების თათბირია, რომლის დეტალების გახსენება, საგულისხმო იქნება. ამ თათბირს მერაბიშვილი და კეზერაშვილი გენშტაბის უფროსობასთან ერთად ესწრებოდნენ! ვფიქრობ, ამ თათბირის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციაა მოსაპოვებელი!**

ვერსიანიუსი

ევროპა თუ არა, საქართველოსა და სომხეთს რუსეთი დაეხმარება

theguardian

ასეთი სათაურით აქვეყნებს ბრიტანული „გარდიანი“ შვედი ფილანტროპისა და ანთროპოლოგის — სიგრიდ რაუსინგის სტატიას. როგორც ავტორი აღნიშნავს, საქართველოსა და სომხეთში ადამიანთა უფლებების დაცვის ჯგუფებთან შეხვედრის მიზნით იმოგზაურა. ზოგჯერ ბრიტანეთში გარდამავალ ქვეყნებში ადამიანთა უფლებების საუბრისას, გავიწყდება გარდამავალ ქვეყნებში არსებული მწარე რეალობა, — წერს სიგრიდ რაუსინგი, — არადა, ადამიანთა უფლებების დაცვაზე მსოფლიოში ერთ ენაზე საუბრობენ – ზომიერად და ინსტიტუციურად. „საქართველოში ბევრი ჯგუფი საუბრობს ციხის რეფორმაზე, სინამდვილეში, ამ საკითხმა მას შემდეგ მიიღო მასშტაბური სახე, რაც პატიმართა წამების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერი გავრცელდა, სადაც ჩანდა, როგორ უყურებდნენ ციხის ბადრაგები გულგრილად პატიმრების შეურაცხყოფას, წამების მსხვერპლნი კი ჩვეულებრივი კრიმინალები იყვნენ. ყველაფერი ეს პოლიციისა და ციხის რუტინის ნაწილი იყო. ამის შემდეგ, ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა, გადადგა სასჯელაღსრულების მინისტრი, 16-მა დირექტორმა თანამდებობა დატოვა. ზოგი ამტკიცებდა, რომ ჩანაწერები დადგმული იყო, თუმცა არავინ დავობდა, რომ ასეთი რაღაცები ხდებოდა“.

საქართველო, სომხეთი და კიდევ 14 ქვეყანა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან მოლაპარაკებებს მართავს. ევროკავშირში გაწევრიანება უზრუნველყოფს ეკონომიკურ ინტეგრაციას, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და მყარი განვითარების სანაცვლოდ. თავისუფალი ვაჭრობა ეფექტიანი მმართველობისთვის – მომგებიანი გარიგებაა.

„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოცა და სომხეთიც ჯერ არაა მყარი სახელმწიფო და აქ ეკონომიკა გარკვეულ დონეზე ოლიგარქულია, იგრძნობა მაკონტროლებელი ინსტიტუტების ნაკლებობა, რომლის ფუნქციაც თითქმის მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების ხელშია. შენარჩუნებულია ინსტიტუციური სისასტიკე და გულგრილობა ჯარში, ციხეებში, საავადმყოფოებსა და ბავშვთა სახლებში. ევროპული ინტეგრაცია საუკეთესო არჩევანია ეფექტიანი მმართველობისთვის“.

„ინტერპრესნიუსი“

რა დაუჯდა ქვეყანას პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრებისა და მეგობრების გართობა, გახდომის კურსები, მასაჟი და საჩუქრები

სააკაშვილმა ბიუჯეტიდან უფროსი ვაჟის სწავლისთვის 14 000 ლარი გადაიხადა, უმცროსი ვაჟისთვის 1 190-ლარიანი ჩოხა-ახალუხი იყიდა, თვეში 13 494-ლარიანი ხელფასი ესპანელ მზარეულს გადაუხადა, მის თარჯიმანს კი — 3 400 ლარი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ირინე იმერლიშვილმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტის ფარულ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა. დეპუტატმა გაარკვია, რომ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრებისა და მეგობრების დასვენება-გართობაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯებოდა. ირინა იმერლიშვილის განცხადებით, მოქმედი თუ ყოფილი თანამდებობის პირების ფუფუნების საგნებზე, „შოკისმომგვრელი“ თანხებია დახარჯული, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის ესპანელი მზარეულის ცხოვრებისა და ამ მზარეულის თარჯიმნით უზრუნველყოფის ხარჯები, 500 000 ლარს შეადგენს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ისიც აღნიშნა, რომ ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, შესაძლოა, პარლამენტში, სპეციალური საგამოძიებო კომისია შეიქმნას.

ირინა იმერლიშვილმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისგან შესაბამისი დოკუმენტაცია გამოითხოვა და პროკურატურის დახმარებით, ხარჯებს გრიფი — „საიდუმლო“ მოხსნა. იმერლიშვილი აცხადებს, რომ წლების განმავლობაში, საკმაოდ მაღალი ბიუჯეტის მქონე დაცვის სპეციალური სამსახურიდან არამიზნობრივად იხარჯებოდა დიდი ოდენობით თანხები, რაც პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების, ყოფილი და ახლანდელი თანამდებობის პირების, მათ შორის, ქალაქის მერის გიგი უგულავას, ასევე არაერთი გუბერნატორის, პარლამენტის წევრების ფუფუნების საგნებზე, საჩუქრების შეძენას, დასვენებასა და გართობას ხმარდებოდა: **„ბიუჯეტიდან შოკისმომგვრელი თანხები დახარჯეს. ჩვენი კოლეგები, მათ შორის, წინა მოწვევის პარლამენტის წევრები – კობა ხაბაზი, ალანა გაგლოევა, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გოგა ხაჩიძე, დავით საყვარელიძე, მარიამ საჯაია, გიორგი ღვინიაშვილი, ნუგზარ წიკლაური, სერგო რატიანი, დავით დარჩიაშვილი, ახალ წელს, პრეზიდენტთან ერთად, დუბაიში შეხვდნენ. მათ გართობაზე 240 000 ლარი დაიხარჯა. ჩემს კოლეგა ქალბატონს, პრეზიდენტმა ძვირადღირებული მობილური ტელეფონის აპარატი და სამაჯური უყიდა, რომელიც ამ დოკუმენტებით დასტურდება. გარდა ამისა, სააკაშვილმა უკრაინელ მომღერალ ივანა მელაის ოქროს სამკაული აჩუქა. ივანა მელაის მამას კი საქართველოს მოქალაქეობა სრულიად უკანონოდ მიანიჭა, რადგან თავის ქვეყანაში ინტერპოლით ეძებდნენ.**

პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა გიგი უგულავამ, ძვირადღირებულ ავსტრიულ კურორტზე, გასახდომ პროცედურებში 115 000 ლარი დახარჯეს. მეტიც, დოკუმენტებით ირკვევა, რომ 40 ერთეული ცხვარი 7 950 ლარად იყიდეს და მოსახლეობას დაურიგეს“.

პრესკონფერენციის შემდეგ, ირინა იმერლიშვილმა აღნიშნული დოკუმენტები სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯების ანალიზს კი „ვერსია“ გთავაზობთ.

პრეზიდენტის უფროსი ვაჟის, ედუარდ სააკაშვილის სწავლის გადასახადი — 14 000 ლარი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან არის გადახდილი. ამ სამსახურის მთავარი სამმართველოს ფარული ხარჯები კი 89 162 ლარსა და 37 თეთრს შეადგენს, რომელიც გაშიფრული არ არის.

გაწეული ხარჯების ჩამონათვალი

1. 936,23 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
2. 1366,61 ლ – სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
3. 1776,39 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
4. 1748,15 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
5. 924,09 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
6. 852,18 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
7. 838,18 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
8. 2208,46 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
9. 873,21 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
10. 885,96 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
11. 3226,31 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
12. 1266,93 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
13. 3664,27 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
14. 1287,36 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
15. 3014,76 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
16. 1041,3 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
17. 2805,31 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
18. 425,23 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
19. 2313,12 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
20. 1689,61 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
21. 821,21 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
22. 1799,02 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
23. 818,69 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
24. 2109,92 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
25. 985,29 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
26. 2461,99 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
27. 1261,69 ლ - სამორიგეო ოთახის დაქირავების ხარჯი;
28. 469,26 ლ - სტუმრისათვის გაწეული სასტუმროს მომსახურების ხარჯი;
29. 185,64 ლ - სტუმრისათვის გაწეული სასტუმროს მომსახურების ხარჯი;
30. 566,1 ლ - სტუმრისათვის გაწეული სასტუმროს მომსახურების ხარჯი;
31. 406,91 ლ - სტუმრისათვის გაწეული სასტუმროს მომსახურების ხარჯი;

ბათუმის „შერატონში“ მომსახურების ხარჯი — 936 ლარი და 23 თეთრი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდანაა გადახდილი, მაგრამ მითითებული არ არის, ვინ იმყოფებოდა სასტუმროში. თუმცა მომდევნო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტის სტუმრისათვის — მარიამ საჯაიასთვის, თბილისი-ბათუმის მიმართულებით, ავიაბილეთი 175 ლარად და 70 თეთრად შეუძენიათ.

ერთ-ერთ დოკუმენტში გაშიფრულია პრეზიდენტის ოჯახის წევრების მიერ, მედიკამენტებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენი ხარჯები. ჯამში — 1 570 ლარი და 70 თეთრია გახარჯული. მათ შორის, მედიკამენტების ღირებულებამ 55 ლარი და 05 თეთრი შეადგინა; სოციალურად დაუცველთათვის შეძენილ მედიკამენტებზე — 100 ლარი და 08 თეთრი გაუხარჯავთ; კვების ხარჯი — 495 ლარი და 16 თეთრია; 340 ლარია გახარჯული პრეზიდენტის უმცროსი ვაჟის, ნიკოლოზ სააკაშვილისთვის, რომელიც ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიაში სწავლობს და აღნიშნული თანხით 2012 წლის აპრილისა და მაისის გადასახადი დაუფარავთ; კვების პროდუქტებისა და სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო საქონლის შესაძენად გაწეული ხარჯი — 409 ლარი და 96 თეთრია; სათამაშოების შესაძენად 87 ლარი და 20 თეთრი, ხოლო წიგნების შესაძენად — 83 ლარი და 25 თეთრი დაუხარჯავთ.

მომდევნო დოკუმენტის მიხედვით, თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით, ავიაბილეთი სოფო ნიჟარაძისთვის შეუძენიათ, რისთვისაც 245 ლარი და 80 თეთრი დაუხარჯავთ.



გაწეული ხარჯების ჩამონათვალი

1. 709 86/ლ - საქართველოს პრეზიდენტის სტუმრისათვის სასტუმროს მომსახურების ხარჯები
2. 1358 10/ლ - საქართველოს პრეზიდენტის სტუმრისათვის ავიაბილეთების ღირებულება
3. 3214 ლ - —— " ——
4. 591 ლ - საქართველოს პრეზიდენტის სტუმრისათვის ბათუმის მომსახურების ხარჯები
5. 1125 ლ - საქართველოს პრეზიდენტისა და მისი სტუმრების ავიაბილეთების ღირებულება თბილისი-ფოთი მიმართულებით
6. 1275 ლ - —— " —— ფოთი-თბილისის მიმართულებით
7. 1125 ლ - —— " —— თბილისი-ფოთის მიმართულებით
8. 1125 ლ - —— " —— ფოთი-თბილისის მიმართულებით

ჯამი 10522 96 (ათი ათას ხუთასოცდაორი) ლარი 96 თეთრი.



საწარმოო ორგანიზაცია
„ქეთარი
ს/ს „ალარის ფეიერვერკის ორგანიზ. №10
ლის 3
3 Gorgasali str. Georgia.
% 72 00 01
UGEBGE22615
204379555
ისი 007
30" 03 2011წ
ლ, ქ. თბილისი

	...ბა	თანხა ლარი
	375ლარი 2. თაფლის მასაჟი 1 კაცზე-50 ლარი 3. საპონი- -7*2=14 ლარი 4. შამპუნი-10*2=20 5.ჩუსტი-7*3=21 6-პირსახოცი-7ც*2=14 7. ზეწარი-14*2=28 8. 3 ჩაიდანი ჩაი-მურაბით-3*15-=45 9 სასმელი წყალი-6*2=12 10. მინერალური წყალი-6*2=12 ჯამი: 591	591
	სულ:	591



პროფორმა ინვოისი #12661

ტურისტები

	გვარი, სახელი	პასპორტი	დაბადების თარიღი	ასაკი
MR	MIKHEIL SAAKASHVILI			
MR	TEIMURAZ JANASHIA			
MR	KVICIANI			
MR	MUSHKUDIANI			
MR	KIKNADZE			
MR	NIKOLOZ ALASANIA			
MRS	LIKA EVGENIDZE			
MRS	SOFO NIJARADZE			
MRS	GABRIELA HABSBURG			
MR	GOTSIRIDZE			
MR	RATI TABATADZE			
MR	GIORGI RUBASHVILI			
MR	DAVIT ALAVERDASHVILI			
MR	MAMUKA KOMETIANI			
MR	BESARION GURGENIDZE			

მგზავრობა

თარიღი	რეისის ნომერი	გამგზავრება	ჩასვლა
06.03.2011	MESTIA 001 (DE HAVILLAND)	Tbilisi 11:00	MESTIA 12:00



1. 134194 ლარი –
2. 3400 ლარი –
3. 1294 ლარი –

ჯამი: 18 188 ლარი (თვრამეტი ათას ას ოთხმოცდარვა ლარი)

ხარჯების ანგარიშგების:

[redacted]

15.10.2010 წ.



L/G: 204560518
ᲯᲘᲠᲝᲕᲐ 01 01
ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ 01 1190.00 A
ᲯᲐᲛᲘ: 1190.00
ᲜᲐᲦᲓᲘ 1190.00
01 ᲘᲣᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲦᲓᲘᲡ!
000268 12-04-2012 13:29
0Y000022757 FM000022868
[redacted]
ail.com
4 აპრილი 2012 წელი

ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ : ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პროდუქციის სახეობა	რაოდენობა	ერთ.ფასი(ლარი) (დღგ-ს ჩათვლით	თანხა სულ (ლარი) (დღგ-ს ჩათვლით)
სვანური ჩოხა	1	250,00	250,00
ახალუხი	1	80,00	80,00
შარვალი	1	60,00	60,00
მხედრული ჩექმა	1	270,00	270,00
ქამარი	1	160,00	160,00
ხანჯალი	1	170,00	170,00
ქილა	10	20,00	200,00
			0,00
			0,00
სულ:			1190,00

საერთო თანხა (დღგ-ს ჩათვლით) : 1190,00 ლარი



L/G: 204560518
ᲯᲘᲠᲝᲕᲐ 01 01
ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ 01 700.00 A
ᲯᲐᲛᲘ: 700.00
ᲜᲐᲦᲓᲘ 700.00
01 ᲘᲣᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲦᲓᲘᲡ!
000269 12-04-2012 13:30
0Y000022757 FM000022868
[redacted]
il.com
4 აპრილი 2012 წელი

ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ : ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პროდუქციის სახეობა	რაოდენობა	ერთ.ფასი(ლარი) (დღგ-ს ჩათვლით	თანხა სულ (ლარი) (დღგ-ს ჩათვლით)
ხელნაკეთი სუვენირული თოჯინა	2	350,00	700,00
			0,00
			0,00
			0,00
			0,00
			0,00
			0,00
			0,00
			0,00
სულ:			700,00

საერთო თანხა (დღგ-ს ჩათვლით) : 700,00 ლარი

2011 წლის 6 აპრილს იუშჩენკო საქართველოში არ ყოფილა

ამის შესახებ „უკრაინსკაია პრავდას“ იუშჩენკოს პრესმდივანმა, ირინა ვანიკოვამ განუცხადა. მისივე თქმით, ამის მიუხედავად, უკრაინის ექსპრეზიდენტი მზადაა, საქართველოს ბიუჯეტს აუნაზღაუროს ის 400 დოლარი, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თითქოსდა მისი მასპინძლობისთვის დახარჯა: **„6 აპრილს, ექსპრეზიდენტ იუშჩენკოს სამუშაო გრაფიკი ასეთი იყო – პარტია „ჩვენი უკრაინას“ პოლიტსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა ჩაატარა, რომლის თავმჯდომარეც თავად იყო. შესაბამისად, ამ დღეს ვიქტორ იუშჩენკო კიევში, საკუთარ ოფისში მუშაობდა“.**

იუშჩენკოს პრესმდივანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 2011 წლის 6 აპრილს ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში არ ყოფილა და მის გვართან დაკავშირებულ „ინსინუაციებს უარყოფს“: **„ვიმედოვნებთ, 400 დოლარი, რომელიც, მზად ვართ, გადავცეთ საქართველოს ჰუმანიტარული დახმარების სახით, დაეხმარება ქართველ პარლამენტარებს ქვეყანაში კორუფციის აღმოფხვრაში და თავს არ შეირცხვენს ჩაისა და საპნის ხარისხის გაანგარიშებით. ჩვენ მზად ვართ, მივცეთ ერთი ბიდონი თაფლი, მურაბა, საპონი და შამპუნი“.**

მისივე თქმით, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში **„საპონთან, 7 ჭიქა ჩაისა და ერთჯერად ჩუსტებთან დაკავშირებული დისკუსია ქართული პარლამენტარიზმისა და ქართული დემოკრატიის მძიმე ინტელექტუალურ კრიზისზე მეტყველებს“.**

საკაკაშვილის ბასკი მზარეული ბათუმში რესტორნის მფლობელია

„ინტერპრესნიუსი“. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების გასაჯაროებას ესპანური საინფორმაციო სააგენტო ეხმაურება. მისი ინფორმაციით, ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტს ესპანელი მზარეულის მომსახურება ბიუჯეტიდან 500 ათასი დოლარი დაუჯდა: **„მხოლოდ სააკაშვილის ესპანური წარმოშობის მზარეულის შენახვა თვეში 15 ათასი დოლარი ჯდებოდა და ორი წლის განმავლობაში ქართველ ხალხს მზარეულის შენახვა 500 ათასი ლარი დაუჯდა“.**

ბასკური წარმოშობის მზარეული, — წერს EFE, — სერხიო კალდერონი, ამ წლის დასაწყისში გაათავისუფლეს. არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის გამარჯვების შემდეგ, ახალმა მთავრობამ ხარჯების შემცირება გადაწყვიტა.

EFE-ს ინფორმაციით, როგორც სერხიო კალდერონის „ფეისბუქის“ გვერდზეა მითითებული, ბასკი მზარეული ბათუმში რესტორნის მფლობელიცაა.

საქართველოს ახალი საპარლამენტო უმრავლესობამ მკაცრად დაგმო პრეზიდენტის შეუსაბამო ხარჯები, — წერს EFE და დასძენს, რომ 2010 წელს სააკაშვილი და თბილისის მერი წავიდნენ ავსტრიის ერთ-ერთ ძვირადღირებულ კურორტზე, სადაც გახდომისთვის საჭირო პროცედურები ჩაიტარეს და ამისთვის 115 ათასი ლარი გადაიხადეს. რაც ასევე ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

DerStandard: „გართობისთვის გახარჯული მილიონებისთვის პრეზიდენტს სამშობლოში აკრიტიკებენ“

საქართველოს პრეზიდენტს, სააკაშვილს ფუფუნებაში ცხოვრებისთვის აკრიტიკებენ, — ამ სათაურით ეხმაურება ავსტრიული DerStandard საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ ბიუჯეტიდან გახარჯულ ხარჯებს. სააკაშვილი მილიონობით დოლარს ხარჯავს სახელმწიფო ხაზინიდან, — წერს ავსტრიული გამოცემა.

ავსტრიული გამოცემა ასევე ციტირებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ირინა იმერლიშვილის სიტყვებს, რომელმაც განაცხადა, რომ ბიუჯეტიდან ესპანელი მზარეულისთვის ყოველთვიურად 15 ათასი დოლარი გამოიყოფოდა, ავსტრიაში გახდომის კურსის ჩატარებისთვის კი, 70 ათასი დოლარი დაიხარჯა. სტატიის დასკვნით ნაწილში კი, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის დასრულებაზეა აქცენტი გაკეთებული: **„2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ გმირი, პრეზიდენტის პოსტს, კონსტიტუციის თანახმად, შემოდგომით დატოვებს“.**

„ინტერპრესნიუსი“

ამ დოკუმენტებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაქირავებული მზარეულის, ესპანეთის მოქალაქე სერჯიო ქალდერონლატასა და მისი თარჯიმნის — ს. რამიშვილის ანაზღაურება. მაგალითად, მზარეულის ერთი თვის ხელფასი 13 494 ლარია, მზარეულის თარჯიმანის ხელფასი — 3 400 ლარი, ხოლო ესპანელი მზარეულისთვის დაქირავებული ბინის ერთი თვის გადასახადი — 1 294 ლარი. 2012 წლის მხოლოდ ერთ თვეში, მზარეულისა და თარჯიმნის ხარჯები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტს 18 188 ლარი დაუჯდა! მეტიც, ესპანელი მზარეულისა და თარჯიმნის თურქეთში მივლინების ხარჯი 4 728 ლარი და 90 თეთრია.

2012 წლის აპრილში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან 1 190 ლარია გახარჯული. მაღაზია-სალონ „სამოსელ პირველში“, პრეზიდენტის უმცროს ვაჟს, ნიკოლოზ სააკაშვილს ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი უყიდეს. ხარჯების ჩამონათვალის მიხედვით, სვანური ჩოხა — 250 ლარი, ახალუხი — 80 ლარი, შარვალი — 60 ლარი, მხედრული ჩექმა — 270 ლარი, ქამარი — 160 ლარი, ხანჯალი — 170 ლარი, 10 ცალი ქილა — 200 ლარი დაუჯდათ. ამავე მაღაზიაში, ნიკოლოზ სააკაშვილს ორი ცალი ხელნაკეთი თოჯინა, სუვენირი უყიდეს და 700 ლარი გადაიხადეს, ერთი თოჯინა სუვენირის ფასი კი 350 ლარია.

2011 წლის მარტში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან ბათუმში, სასტუმრო „შერატონსა“ და „ინტურისტში“ მთლიანობაში, 39 926 ლარი და 10 თეთრი გაიხარჯა, მათ შორის, პრეზიდენტის სტუმარმა ქალბატონმა, ივანა მელაიმ, სასტუმრო „ინტურისტში“ 487 ლარი და 44 თეთრი დახარჯა. სასტუმროს მომსახურების გარდა, რომელშიც სამჯერადი კვება ისედაც შედის, იმავე პერიოდში, შპს „მენეჯმენტ ჯგუფს“ პრეზიდენტისთვის დამატებით, კვებითი მომსახურებაც შეუკვეთეს, რისთვისაც ჯამში 1 195 ლარი დახარჯეს.

ერთ-ერთ დოკუმენტში, 2011 წლის აპრილში გაწეული ხარჯების ჩამონათვალი იპყრობს ყურადღებას. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის სტუმრებისთვის სასტუმროს მომსახურების ხარჯებმა 709 ლარი და 86 თეთრი შეადგინა, საქართველოს პრეზიდენტის სტუმრების ავიაბილეთების ღირებულება კი ჯერ 1 358 ლარი და 10 თეთრი, შემდეგ — 3 214 ლარი დაჯდა.

პრეზიდენტისა და მისი სტუმრების, მათ შორის, თეიმურაზ ჯანაშიას, კვიციანის, მუშკუდიანის, კიკნაძის, ნიკოლოზ ალასანიას, ლიკა ევგენიძის, სოფო ნიჟარაძის, გაბრიელა ჰაბსბურგის, გოცირიძის, რატი ტაბატაძის, გიორგი რუბაშვილის, დავით ალავერდაშვილის, მამუკა ქომეთიანისა და ბესარიონ გურგენიძის ავიაბილეთების ღირებულება კი თბილისი-მესტიის მიმართულებით — 1 125 ლარი, მესტია-თბილისის მიმართულებით — 1 275 ლარი, თბილისი-მესტიის მიმართულებით — 1 125 ლარი, ხოლო მესტია-თბილისის მიმართულებით — 1 125 ლარი დაჯდა.

გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სტუმრებისთვის, მათ შორის, ვიქტორ იუშჩენკოსა და კიდევ 6 კაცისთვის, ნარიყალაში აბანოს მომსახურებაც შეუკვეთეს. 7 კაცის 2,5-საათიანი მომსახურება 375 ლარი დაუჯდათ. მომსახურებაში შედიოდა თაფლის მასაჟი — 50 ლარი, საპონი — 14 ლარი, შამპუნი — 20 ლარი, ჩუსტი — 21 ლარი, პირსახოცი — 14 ლარი, ზეწარი — 28 ლარი, 3 ჩაიდანი ჩაი-მურაბით — 45 ლარი, სასმელი წყალი — 12 ლარი და მინერალური წყალი — 12 ლარი, აბანოს ხარჯმა ჯამში, 591 ლარი შეადგინა. მთლიანობაში, 2011 წლის აპრილში — 10 522 ლარი და 96 თეთრი დაიხარჯა.

ამავე დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, ივანა მელაის საუზმეში 601 ლარი და 58 თეთრი გადაიახადეს, ხოლო კიევი-თბილისი-კიევის მიმართულებით, ივანა მელაისთვის ავიაბილეთში 1 358 ლარი და 10 თეთრი გადაიხადეს.

„არ გამოვრიცხავ, სპეცსამსახურებმა, ნაციონალების ყოფილი ლიდერების სახელით, მაკომპრომეტირებელი მასალები გამოგვიქვეყნონ“

რას საყვედურობს პრეზიდენტს და რა ეჭვი უჩნდება ყოფილი თანაგუნდელების მიმართ აკაკი ბობოხიძეს

ირუსუდან შელია
557-100-768

ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ნაციონალურ მოძრაობაში განხეთქილებას გამორიცხავს. ამბობს, რომ პარტიის თითოეულ წევრს ერთმანეთის მიმართ გარკვეული ვალდებულებები გააჩნია. არ უჭირს იმის აღიარებაც, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ნაციონალური მოძრაობა უკანონო ქმედებებს ახორციელებდა, ამიტომ „ქართულ ოცნებას“ მათი შეცდომების გათვალისწინებას ურჩევს. იგეგმება თუ არა ვანო მერაბიშვილის პარტიიდან გარიცხვა და რატომ გაწირა ბაჩო ახალაია ნაციონალურმა მოძრაობამ? „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე პასუხობს.

— ნაციონალურ მოძრაობაში განსაკუთრებული არაფერი ხდება და მერწმუნეთ, ყოფილი ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებებიც პარტიაში განხეთქილებას ვერ შეიტანს. ბუნებრივია, ცხრა წლის განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ ოპოზიციაში გადასვლა რთულად შესაგუებელია, მაგრამ ვფიქრობ, ამ გამოცდასაც გავუძლებთ.

— როგორც დათა ახალაიასა და შემდეგ, მარიკა ვერულაშვილის განცხადებებიდან ირკვევა, ნაცმოძრაობის ყოფილ ლიდერებს ერთ ადამიანთან — ვანო მერაბიშვილთან ჰქონიათ პრობლემა.

— დათა ახალაია და მარიკა ვერულაშვილი, თავის დროზე, ნაციონალური მოძრაობის საკმაოდ მაღალი რანგის ლიდერები იყვნენ, ამიტომ ისინი პარტიის რიგითი წევრების, მათ შორის ჩემ წინაშე ვალდებულები იყვნენ, მედიაში ბრალდებების გაჟღერებამდე პარტიული შიდადისკუსია გაემართათ. ისინი პირიქით მოიქცნენ და ალბათ, შეგნებულადაც, ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე დაასხეს წყალი. ამ შემთხვევაში, ნაკლებად მაინტერესებს, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ურთიერთობის გასარკვევად, მესამე ძალის ჩარევა ყოველთვის დაუშვებელია.

— ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ პარტიაში შიდა დაპირისპირების ან შიგნით არსებული დაჯგუფებების შესახებ არაფერი გსმენიათ?

— არ არსებობს პარტია, რომლის შიგნითაც ყველაფერი იდეალურადაა და გარკვეული უთანხმოება არ არსებობს, თუმცა ნაციონალურ მოძრაობაში კონფლიქტი კრიტიკულ ზღვარს არასოდეს გასცდენია. არ გამოვრიცხავ, სპეცსამსახურებმა ბესო სურმავას შემთხვევა გაიმეორონ და ნაციონალების ყოფილი ლიდერების სახელით მაკომპრომეტირებელი მასალები გამოაქვეყნონ.

— კი, მაგრამ გავიწყდებათ, რომ მსგავს მეთოდებს ნაციონალური მოძრაობა გვთავაზობდა და ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი ბესო სურმავაც სწორედ თქვენი ხელისუფლების პირობებში გაიტაცეს?

— დიახ, მაშინ ბესო სურმავას საშუალებით უკანონო მოსმენებისა და მოქმედებების „გაპრავება“ სცადეს, მაგრამ სპეცსამსახურები ყველა ხელისუფლებას ჰყავს და ძალოვან სტრუქტურებში 80% სწორედ ის ადამიანია დასაქმებული, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების დროსაც მუშაობდნენ. ჩანს, დღესაც იგივე გზას აგრძელებენ. ყოველ შემთხვევაში, მარიკა ვერულაშვილის განცხადება, ვანო მერაბიშვილს უფრო მეტი უსიამოვნო სიურპრიზი ელისო, ეჭვს იწვევს. მას ადრე სპეცმასალებზე ხელი არ მიუწვდებოდა, ახლა კი ჩანს, გარკვეულ ინფორმაციებს წინასწარ იღებს. ნებისმიერ შემთხვევაში, პირადი კეთილდღეობა ღირსების შელახვად ნამდვილად არ ღირს. ადრე თუ გვიან, ეს ადამიანები საკუთარ თავთან მარტო დარჩებიან და როცა სარკეში ჩაიხედავენ, თავი არ მოეწონებათ. სამწუხაროდ, „ქართული ოცნებაც“ ჩვენს შეცდომებს იმეორებს.

— ბოლო დროს, ნაცმოძრაობაში მონანიების ტენდენცია შეინიშნება, მაგრამ გულწრფელობას ვინ დაგიჯერებთ, როცა პარტია უკანონო ქმედებებზე ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ ამბობდა უარს და ამას თქვენც არ აპროტესტებდით?

> **— მეც, როგორც ყველა დანარჩენი, ერთი ცოდვილი ადამიანი ვარ, ამიტომ ვინანიებ, რომ ბესო სურმავას შემთხვევაში ხმა არ ამოვიღე, თუმცა ყოველთვის მიმაჩნდა, რომ პარტიასა და ძალოვან სტრუქტურებს ერთმანეთთან კავშირი არ უნდა ჰქონდეთ. კარგი იქნება, თუ ამ გამოცდილებას „ქართული ოცნება“ გაიზიარებს. ნაცმოძრაობაში გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პრეტენზიები მეც მაქვს, მაგრამ ჩემი პრინციპებია — ან პარტიიდან უნდა გახვიდე და თქვა ამას რატომ აკეთებ ან პარტიულ დისციპლინას დაემორჩილო და გაჩუმდე. უკეთესი არ იქნებოდა, თუნდაც მარიკა ვერულაშვილს ჩვენთვის დაესაბუთებინა, კონკრეტულად, რატომ შეექმნა ვანო მერაბიშვილთან პრობლემები? იქნებ პრობლემების ავტორი აღმოგვეფხვრა და ვანო მერაბიშვილი პარტიიდანაც გაგვეშვა?!**

დასასრული მე-9 გვერდზე

ნიადაგისა და სურსათის ექსპერტიზის ცენტრს შენობას ართმევენ

გუბაზ მეგრელიძე

არჩევნების პერიოდში, „ქართული ოცნება“ მოსახლეობას შეჰპირდა, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მილიარდი ლარის ჩადებას, საქმეს კი სხვაგვარი სახე მიეცა. ჯერ აგრარულ უნივერსიტეტს ლიცენზია ჩამოართვეს და მკვეთრი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის გამო კვლავ აღუდგინეს. ამჟამად, საქმე მიდგა შპს „ა. დ. პ. თბილისი 2006 ნიადაგისა და სურსათის ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის“ შენობაზე, რომელიც საკმაოდ ხელსაყრელ ადგილას, აღმაშენებლის მე-12 კილომეტრზე, აშშ-ს საელჩოსთან მდებარეობს. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების ნეგატიური ტრადიცია გრძელდება...

ვინ გადაიხდის საბიუჯეტო და სახელფასო დავალიანებებს?!

სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრის, მიხეილ სვიმონიშვილის ბრძანებით (27. 01. 2006. 2-9), ლიკვიდირებულ იქნა სამინისტროს აგრო-ქიმიური სამსახურისა და ნიადაგის განაყოფიერების თბილისის ცენტრი, რომლის ბაზაზეც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით (13. 08. 2006), შეიქმნა ზემოდასახელებული „ა. დ. პ. თბილისი 2006 ნიადაგისა და სურსათის ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი“, რომელიც ემსახურებოდა საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებისა და მისი რეგულირების საქმეს.

2008 წლის ომის დროს, შენობაში შეიჭრნენ დროებით ადგილმონაცვლე ოჯახები ცხინვალისა და ახალგორის რაიონებიდან. რამდენიმე ოჯახი დღესაც იქ ცხოვრობს. სახელმწიფო ქონებისადმი მათმა დაუდევარმა და უდიერმა მოპყრობამ, გაანადგურა სამეურნეო საქმიანობისთვის აუცილებელი ინვენტარი. უსახსრობის გამო კი, ცენტრმა ვერ შეძლო ზარალის აღდგენა, რის გამოც ფუნქციონირება შეაჩერა. ამის გამო, ეკონომიკის მაშინდელ მინისტრ ეკა შარაშიძეს მაშინვე უნდოდა შენობის აუქციონზე 2 მილიონ დოლარად გაყიდვა, მაგრამ მყიდველი არ დაინტერესებულა. ამის მერე, თბილისის რეგიონულმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) თავისი ბრძანებით (10. 11. 2009. 14/04-4817) განადგურებულ ქონებას ყადაღა დაადო, რის შემდგომ თბილისის სააღსრულებლო ბიურომ, 2010 წელს ცენტრის ხელმძღვანელობას, დაყადაღებული ქონების ღია აუქციონზე გატანა აცნობა, თუმცა გაურკვეველი მიზეზებით, სამი წლის განმავლობაში აუქციონზე არ გაუტანიათ. ცენტრის უფუნქციობის გამო კი, საბიუჯეტო დავალიანებები იზრდება, რაც დაახლოებით, 115 ათას ლარს შეადგენს.

ცენტრის ადმინისტრაციამ გამოსავლის ძიებაში მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას (2. 08. 2012. 7) და პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს (13. 08. 2012. 8), რომ დახმარებოდნენ ცენტრის რეაბილიტაციაში და ეშუამდგომლათ მსოფლიო ბანკთან, მაგრამ უშედეგოდ. მათ პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს გაჭირვებაში მყოფი კოლექტივი. სამაგიეროდ, გვახსოვს არჩევნების პერიოდში ვანოს „მზრუნველობა“ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სინამდვილეში, ასე უწყობდა ხელს მის განადგურებას.

ყურადღება არც ახალმა ხელისუფლებამ გამოიჩინა. რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ცენტრმა წერილი მისწერა სოფლის მეურნეობის ახალ მინისტრ დავით კირვალიძეს (31. 11. 2012. 9), სადაც ითხოვდნენ ცენტრის რეაბილიტაციას. კოლექტივის სანუგეშოდ კი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, შალვა ფიფიამ თავისი წერილით (26. 11. 2012) ცინიკურად უპასუხა: **„ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საკითხი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იზიარებს თქვენს გულისტკივილს და მიესალმება ქმედითი ნაბიჯების გადადგმას დარგის განვითარების მიზნით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გამოჩენილი ინტერესისა, საზოგადოების ქონებაზე ყადაღის მოხსნისა და მისი რეაბილიტირების საკითხის გადაჭრა სცილდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებს“.**

სამწუხაროდ, ასე გულგრილად და უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სამინისტრო ამ მნიშვნელოვან საკითხს. სამაგიეროდ, ჭირისუფლის როლი იტვირთა და კოლექტივს „სამძიმარი“ გამოუცხადა. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში ხელშეწყობის ნაცვლად, სამინისტროს მიერ მესაფლავეობის გაწევა ნამდვილად შეუფერებელი და ანტიეროვნული საქციელია. მინისტრის მოადგილე ფიფიას თავი არ შეუწუხებია არც მსოფლიო ბანკთან რეკომენდაციის გაწევითა და არც მთავრობის დადგენილებით სადაზღვევო პოლისის გამოყოფით, ან სხვა რეალური დახმარებით.

ცენტრისთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უარის თქმის შემდგომ, ცენტრმა წერილი მისწერა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრს (12. 11. 2012. 10), რომ აუქციონის წესით განეხორციელებინათ ცენტრის პრივატიზაცია. სამინისტროს თანამშრომელმა ქეთი გენებაშვილმა ცენტრის ადმინისტრაციას მყიდველის მოძებნა ურჩია, რომელიც ქონებას აუქციონზე შეისყიდდა. მართლაც, დაინტერესებული პირი გამოჩნდა. იგი ერთ მილიონ ლარს იხდიდა, მაგრამ სამინისტრომ ერთ მილიონ დოლარად შეაფასა... გამოსავლის ძიებაში ცენტრმა დახმარების თხოვნით, წერილი გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს (6. 03. 2013). მართალია, ეს წერილი რეაგირებისთვის გაეგზავნა ფინანსთა, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, მაგრამ უშედეგოდ...

ამავე დროს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კურატორმა მაკა სამხარაძემ, ადმინისტრაციას აცნობა, რომ თავის დროზე, შენობა შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა გადასცემოდა. ადვილი დასათმობი არ აღმოჩნდა 2052 კვმ შენობის ფართი და 8287 კვმ მიწა, რომელიც აშშ-ს საელჩოსთანაა ახლოს. ისმის კითხვა, რატომ დასჭირდა შსს-ს ეს ტერიტორია?!

ოფიციალურ პირთაგან არავის ანაღვლებს, რომ თანამშრომლები თავად იქცნენ ლტოლვილებად, ვინაიდან დევნილთა შეჭრით გამოწვეული ზარალის გამო სახელმწიფო დავალიანების გადახდა ვეღარ შესძლეს, თუმცა ცენტრი 2008 წლამდე ყველა გადასახადს იხდიდა. არავის მოსვლია აზრად იმის გაფიქრება, თუ რა დარჩება ორგანიზაციისგან ქონების წართმევის შემდეგ, რომელსაც სხვა შენობა არ გააჩნია? და ვინ დაფარავს საბიუჯეტო და სახელფასო დავალიანებებს? არავის უფიქრია ამ ცენტრის ფუნქციონირების შესახებ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისთვის.

ვფიქრობთ, მსგავსი ანტისახელმწიფოებრივი ჩანაფიქრი დღევანდელ ხელისუფლებას არ ამოძრავებს, მაგრამ ამ ცენტრის სპეციალურად ლიკვიდაციას ხელი არ უნდა შეუწყოს. არ უნდა გააჩინოს საეჭვო კითხვები... ხომ არ იჩენს თავს ცალკეულ ჩინოვნიკთა კერძო ინტერესები, ან კრიმინალურ დაჯგუფებათა დანაშაულებრივი ქმედება? ალბათ, ამ კითხვებზე სათანადო დამაჯერებელ პასუხს სახელმწიფო სტრუქტურებიდან აუცილებლად მივიღებთ.

Express Online – „საქართველოს ბანკის“ სრულიად ახალი, მარტივი, კომფორტული, მეტად უსაფრთხო და 2-ჯერ უფრო სწრაფი ინტერნეტბანკი

„საქართველოს ბანკი“ მომხმარებელს სრულიად ახალ, 2-ჯერ სწრაფ, კიდევ უფრო დაცულ ინტერნეტბანკს სთავაზობს, სადაც ყველაფერი ერთ გვერდზეა განთავსებული და სადაც ფუნქციები საკუთარი სურვილის, საჭიროებისა თუ გემოვნების შესაბამისად შეგიძლიათ თავად განათავსოთ. ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ 17 აპრილს, სათავო ოფისში, „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ჟურნალისტებს თავად აუწყა და მეტი დამაჯერებლობისა თუ თვალსაჩინოებისთვის, ახალი ინტერნეტბანკით სხვადასხვა ოპერაციაც შეასრულა.

ირაკლი გილაურის განმარტებით, ახალი ინტერნეტბანკი Express Online გამორჩეულია დიზაინით, რომელსაც მომხმარებელი ირგებს საკუთარი საჭიროების მიხედვით, გამოყენების სიმარტივით, სრულიად ახალი, უნიკალური ფუნქციებით, სისწრაფით და საერთაშორისო სტანდარტის საუკეთესო დაცულობით. Express Online სთავაზობს მომხმარებელს ყველაფერს, რაც უნდა შეეძლოს თანამედროვე ინტერნეტბანკს, უფრო მარტივად და კომფორტულად.

ინტერნეტბანკის სიმარტივე, უპირველესად, იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთგვერდიანი აპლიკაციაა და რომელიმე ფუნქციის მოსაძებნად, აღარ მოგიწევთ სხვადასხვა გვერდზე გადასვლა ისევე, როგორც არ იქნება აუცილებელი ოპერაციების ჩატარებისას სხვადასხვა ფანჯარაში მუშაობა.

მომხიბვლელია ისიც, რომ გვერდი „ინდივიდუალურია“ ანუ საჭიროების მიხედვით, საკუთარი სურვილისამებრ, შეგიძლიათ ინტერნეტბანკის ფუნქციები თავად განალაგოთ და შედეგად მიიღოთ სწორედ ისეთი ინტერნეტბანკი, რომელიც ყველაზე მეტად მოერგება თქვენ მოთხოვნებს.

Express Online-ში მუშაობა იმითაცაა კომფორტული, რომ ინტერნეტბანკი ძალიან სწრაფად იტვირთება. სისწრაფეს ისიც განაპირობებს, რომ გადახდის ღილაკზე მხოლოდ ერთხელ შეხებით, შესაძლებელია, ერთდროულად რამდენიმე გადასახადის გადახდა თუ გადარიცხვის შესრულება. მობილურის ბალანსის შევსებისას კი, კომფორტულია ის, რომ არ გჭირდებათ პროვაიდერის მითითება.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის განმარტებით, Express Online გამოირჩევა დაცვის ყველაზე უსაფრთხო სისტემით. მათ შორის, დაცვის 120-ბიტიანი სერტიფიკატით.

თუ სრულიად ახალი ინტერნეტბანკით დაინტერესდით, არც მასში შესვლა გაგიჭირდებათ. ამისთვის შესაძლებელია მომხმარებლის იგივე სახელი და პაროლი გამოიყენოთ, რომლითაც ibank.ge-ზე და მობილბანკში შესვლისას სარგებლობთ. თუ არც ერთ ამ პროგრამას არ იყენებთ, ეწვიეთ ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრს, სადაც მომხმარებლის სახელსა და პაროლს შეგირჩევენ და ამის შემდეგ, Express Online-ში შესვლას ნებისმიერი ინტერნეტბრაუზერიდან მოახერხებთ.

Express Online-ით ასევე შესაძლებელია „საქართველოს ბანკის“ ახალი შეთავაზებით სარგებლობა — მობილურის, დენის, გაზის, წყლის, დასუფთავების, ინტერნეტის, საკაბელოს და სახლის ტელეფონის ბალანსის შევსება Express ქულებით. ექსპრეს ქულების დაგროვება, „საქართველოს ბანკის“ Express Card-ის მფლობელებს შეუძლიათ, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ბარათით შესრულებულ ყველა ოპერაციაზე. Express Online-ით გადაამოწმებთ დაგროვილი ექსპრეს ქულების რაოდენობას და მათ მობილურის ბალანსში ან კომუნალური მომსახურების საფასურში გადაცვლით.

„საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი გილაურმა**, ისიც აგვიხსნა, რომ „საქართველოს ბანკის“ აქამდე პოპულარული „აიბანკი“ განაგრძობს ფუნქციონირებას. **„ორი ბანკი გვექნება. არსებული ბანკი, საკმაოდ კარგი პლატფორმაა, მაგრამ გვინდოდა, მომხმარებლისთვის ბევრად გამარტივებული მომსახურება შეგვთავაზებინა და სწორედ ამიტომ შეიქმნა „ექსპრეს ონლაინი“. სრულიად ახალი ინტერნეტბანკის მისამართია — www.eonline.ge. გაგიმხელთ იმასაც, რომ ისევ და ისევ, მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, გვაქვს აქცია — პირველ ივლისამდე „ექსპრესქარდის“ მიღება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლება. ეს არის მომხმარებლის შანსი, ჩაერთოს უფასო სერვისების სისტემაში. გამოიყენეთ ჩვენი ბარათი, Expresspay, ფილიალები და იცხოვრეთ„უფასოდ“,** — ამ განცხადების შემდეგ, ირაკლი გილაურმა იმის დემონსტრირება მოახდინა, როგორ შეიძლება „ექპრესქარდზე“ დაგროვილი „ექსპრეს ქულებით“, მაგალითად, მობილურის ბალანსის შევსება.

ახალი ინტერნეტბანკის პრეზენტაციის შემდეგ, ირაკლი გილაურმა იმ პრეტენზიებზეც ისაუბრა, რომლებიც ბოლო დროს ბანკის მისამართით მომენტალური გადახდის ტერმინალების ბიზნესის წარმომადგენლებმა გამოთქვეს. **„მე მაინტერესებს, რას ფიქრობს ჩვენი მილიონი მომხმარებელი და არა ის – რას ფიქრობს ორი კომპანია. ჩვენი მიზანია, მომხმარებელს საუკეთესო მომსახურება შევთავაზოთ, რაც გულისხმობს იმას, რომ Expresspay-ით სარგებლობის შემთხვევაში, საკომისიო გადასახადი 0%-ია. ვაკეთებთ ყველაფერს ჩვენი მომხმარებლისთვის და თუ შეგვიძლია, მათ გარკვეული მომსახურება შევთავაზოთ უფასოდ, აუცილებლად შევთავაზებთ“,** — განაცხადა ირაკლი გილაურმა და დასძინა, რომ „საქართველოს ბანკი“ სწრაფი გადახდის ბიზნესში კონკურენციის წესების დაცვით მოქმედებს და მომხმარებლის მიზიდვას საუკეთესო შეთავაზებებით ცდილობს.

ნინო ლურსმანაშვილი

„არ გამოვრიცხავ, სპეცსამსახურებმა, ნაციონალების ყოფილი ლიდერების სახელით, მაკომპრომეტირებელი მასალები გამოგვიქვეყნონ“

მე-8 გვერდიდან

— დათა ახალაია ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ საქართველოში კომპრომატების ჩამოტანას აპირებს. თუ პარტიის გენერალური მდივნის ბრალეულობა დოკუმენტურად დამტკიცდა, პარტიიდან მისი გარიცხვის საკითხი დღის წესრიგში დადგება?

— ეს ყველაფერი მხოლოდ პირად მოსაზრებებსა და ინტერესებს ემსახურება. სამწუხაროდ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ბედი ისეთ ადამიანებს ჩავაბარეთ, რომლებიც ამას არ იმსახურებდნენ. ირაკლი ოქრუაშვილის მაგალითიც კმარა. როგორც კი თანამდებობას დაკარგავ, თანაგუნდელების ლანძღვას რომ იწყებ, ეს მინიმუმ, ღალატია. რა ვალდებულება გაუჩნდა დათა ახალაიას „ქართული ოცნების“ მიმართ, არ მესმის.

— დათა ახალაია არც მალავს, რომ პროტესტი მისი ძმის ციხეში ყოფნის გამო გაუჩნდა. ნაცმოძრაობამ ბაჩო ახალაია გაწირა?

— პირიქით, ბაჩო ახალაიას სასამართლო სხდომებს ნაცმოძრაობის რამდენიმე წარმომადგენელი ყოველთვის ესწრება. ეს მაშინ, როცა რიგითი წევრების პროცესებს ყურადღებას არ ვაქცევთ. რომელ გაწირვაზეა საუბარი. საქმე მხოლოდ შეუთანხმებლობასთან გვაქვს.

— სააკაშვილმა განაცხადა, დათა ახალაიას, 2003 წლის შემდეგ არ შევხვედრილვარ და ის ნაცმოძრაობის აქტივისტიც კი არ ყოფილაო. დათა ახალაია 9 წლის განმავლობაში მაღალ თანამდებობებს იკავებდა და პრეზიდენტის განცხადება გამართლებულია?

— ერთია, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, მეორე — პარტიული ერთგულება. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს ლაპარაკის უფლება არ აქვთ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. სხვათა შორის, ასეთ დათა ახალაიას არ ვიცნობდი. მასთან ხშირი ურთიერთობა მქონდა და ყოველთვის ლაღი და ხალასი იყო. ჩანს, გარემო პირობები ადამიანებს ცვლის.

— თეა თუთბერიძე აცხადებს, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებებს ვანო მერაბიშვილის ხალხი აძლევს. ამბობენ იმასაც, რომ ბაჩო ახალაიამ საქართველოში ჩამოსვლამდე გარკვეული გარანტიები მიიღო.

— რა გარანტიები უნდა მიგვეცა ბაჩო ახალაიასთვის, როცა მან თავად გადაწყვიტა მის წინაშე არსებულ კითხვებზე პასუხი გაეცა? ნაცმოძრაობას უყურადღებოდ არავინ დაუტოვებია, თუმცა რამდენად საკმარისია ეს დამოკიდებულება ციხეში მყოფი ადამიანისთვის, ვერ გეტყვით.

— ამასობაში ირკვევა, რომ სახელმწიფო დაცვის ბიუჯეტიდან, პრეზიდენტი კოლოსალურ თანხებს გართობაზე, პირადი ინტერესებისთვის და საჩუქრებისთვის ხარჯავდა. თქვენთვის ესეც ნორმალურია?

— მიმაჩნია, რომ გარკვეული ხარჯების გაღება საჭიროც კი იყო. კერძოდ, იუშჩენკოს ვიზიტთან დაკავშირებით. მსგავსი ნაბიჯის გადადგმა ნებისმიერ ხელისუფლებას მოუწევს. ხარჯების ნაწილი კი ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მახსოვს, მსგავსი გადაწყვეტილებების გამო რიგით წარმომადგენლებს საკმაოდ მკაცრად ვექცეოდით... გამგებლებისა და წვრილი ჩინოვნიკების ქმედებებს, ვაკონტროლებდით, ლიდერებსაც უნდა გვყოფნოდა მოთმინება და გარკვეულ სიტუაციებში თავიც უნდა გვეკონტროლებინა.

— თუ ასეა, ქვეყნის პირველი პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?

— მორალური პასუხისმგებლობა, ავტომატურად, იურიდიულ პასუხისმგებლობას არ ნიშნავს. ვფიქრობ, ჩვენი მორალური პასუხისმგებლობის საკითხი პირველ ოქტომბერს დადგა, როცა ხალხმა თითოეულ შეცდომაზე პასუხი გვაგებინა — დავმარცხდით და ამაზე დიდი მორალური პასუხისმგებლობა არ არსებობს. რაც შეეხება იურიდიული ნაწილს, ეს ჩემი გასარჩევი არ არის.

— ამ ფონზე, მოსალოდნელია 19 აპრილის აქციაზე ცოტა ხალხი მოვიდეს? სხვათა შორის, ამბობენ, მერაბიშვილი პარტიიდან სააკაშვილის გარიცხვას გეგმავსო.

— ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ვანო მერაბიშვილი 19 აპრილს განსაკუთრებულს არაფერს გეგმავს. აქციაზე მხოლოდ იმ ადამიანებს ვიწვევთ, ვისთვისაც ევროპული არჩევანი უალტერნატივოა. რაც შეეხება პროვოკაციებს, ჩვენ ის ძალა ვართ, რომელმაც დანგრეული საქართველო რაღაცას დაამსგავსა, ამიტომ სახელმწიფოს დარტყმას არასოდეს მივაყენებთ. მხოლოდ კანონის შესაბამისად ვიმოქმედებთ. ხელისუფლებამაც, კეთილი ინებოს და, მიტინგზე სრული უსაფრთხოება უზრუნველყოს.

ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე ხიდების ტესტირება იწყება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 85-ე კმ-ზე, მდ. ლიახვზე არსებულ ხიდებზე სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით, საანგარიშო ზღვრულ დატვირთვაზე ტესტირების სამუშაოები განხორციელდება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაოები ხიდებზე მონაცვლეობით იწარმოებს.

აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით, 2013 წლის 18 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით, ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყდება მარცხენა ხიდზე, ხოლო 27 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით — მარჯვენა ხიდზე. აღნიშნულ პერიოდში მოძრაობა განხორციელდება ერთერთი ხიდის გავლით ორმხრივი მოძრაობის რეჟიმში.

სამუშაოების დასრულებისთანავე, ორივე ხიდზე მოძრაობა სრულად აღდგება.

„ინტერპრესნიუსი“

ბიზნესმენების სია, რომლებმაც ნაცმოძრაობა 13 მილიონით ქართული ოცნება კი 4,5 მილიონით დააფინანსეს

ეკა სეხნიაშვილი

ვინ აფინანსებდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს. ვინ არიან ის კერძო პირები თუ ბიზნესმენები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებზე ნაციონალურ მოძრაობას ფულს ურიცხავდნენ, რა ბიზნეს-დივიდენდებს ფლობენ ისინი და რამდენი ჩაურიცხეს სააკაშვილის გუნდს საარჩევნოდ პარტიულ ყულაბაში? ვინ რიცხავდა თანხას „ქართული ოცნების“ საარჩევნო ფონდში და ვინ რამდენი ჩაურიცხა ივანიშვილის „ოცნებას“ პარტიულ ანგარიშებზე?! ორგანიზაცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, პროექტის — „გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიტიკური ფინანსები საქართველოში“ — ფარგლებში, ახალი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2012 წელს“ გამჭვირვალეს ხდის და ჩვენს მიერ დასმულ კითხვებსაც პასუხობს.

ანგარიშში გაანალიზებულია იმ ცხრა პოლიტიკური გაერთიანების წლიური ფინანსური დეკლარაციები, რომლებმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის ფარგლებში ხმების 1%-ზე მეტი მოაგროვეს. დოკუმენტის თანახმად, 2012 წელს (აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით) საარჩევნო კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ექვსმა პარტიამ, საერთო ჯამში, 4 მილიონ 607 ათასამდე ლარის შემოსავალი მიიღო; ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ — 13 მილიონ 434 ათასი ლარი; ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ — 961 ათასი ლარი; საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ კი — 337 ათასი ლარი.

პოლიტიკური პარტიების ხარჯები

2012 წელს (აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით) ,,ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ექვსმა პარტიამ, საერთო ჯამში, 6 მილიონ 200 ათასი ლარის ხარჯი გასწია; ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ — 3 მილიონ 500 ათასი ლარი დახარჯა; ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ — 750 ათასი ლარი; საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ კი — 250 ათასი ლარი. პარტიებს ხარჯების ტიპოლოგიის მიხედვით განაწილება დივერსიფიცირებული აქვთ. მათი ხარჯების ძირითადი წილი ოფისისა და კომუნიკაციის ხარჯებზე, რეკლამის ხარჯსა და შრომის ანაზღაურებაზე მოდიოდა. პოლიტიკური პარტიები შემოსავლის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო დაფინანსებისა და შემოწირულობების სახით იღებდნენ. 2012 წელს პოლიტიკური პარტიების შემომწირველები მხოლოდ ფიზიკური პირები იყვნენ, რადგანაც იურიდიული პირებისგან შემოწირულობების მიღება კანონით აიკრძალა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელთ არსებულ მონაცემთა ანალიზით დადგინდა, რომ ნაციონალური მოძრაობის 397, „ქართული ოცნებისა“ 33 და სხვა პოლიტიკური გაერთიანებების 10-მდე შემომწირველს გარკვეული კავშირი აქვს ბიზნესთან.

„ვერსიამ“ ვრცელი სიიდან საზოგადოებისთვის ცნობადი ბიზნესმენები და კერძო პირები შეარჩია. მაგალითად, ნაცმოძრაობის დამფინანსებელთა სიაშია სამშენებლო კომპანია „მოდერნ-ჰაუზი“ (წარმომადგენელი პეტრე მგალობლიშვილი), რომლის ორმა წარმომადგენელმა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 117 000 ლარი შესწირა; **„ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას“ პარტნიორმა ლადო გურგენიძემ და „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანიების პარტნიორმა თემურ კოხოძემ ყოფილ მმართველ გუნდს 60-60 ათასი ლარი შესწირეს.** სხვათა შორის, თემურ კოხოძე „თეგეტა მოტორსის“ მფლობელი, უმრავლესობის ყოფილი წევრი და ნაციონალებიდან ბაღდათის რაიონში მაჟორიტარი გახლდათ, რომლის ფირმაც ინტენსიურად იგებდა ტენდერებს თავდაცვის სამინისტროში. („ვერსია“ ამ ტენდერების შესწავლასა და გამოქვეყნებასაც გეგმავს).

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 60 ათასი შესწირა „გუდვილის“ გენერალურმა დირექტორმა ეკატერინე ჩხაბერიძემ. ანგარიშში პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა სიებიცა და მათი ბიზნესთან კავშირიც გაშიფრულია. **ნაციონალური მოძრაობის შემომწირველთა სიაშია ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც არიან გიორგი რამიშვილი („ზარალა“), რომელსაც 60 000 ლარი აქვს პარტიისთვის შეწირული, იმავე რაოდენობის თანხა გაიღო ლევან კაჭარავამ („ტილიკა“), კახაბერ დამენია (ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ცოტა ხნის წინ ხეთაგურსა და ნიკა გვარამიასთან ერთად, რიგ ფინანსურ მაქინაციებში ამხელდა. ასევე** 60 000 ლარი ჩაურიცხავს **გრიგოლ ლომიძეს („იბერულა“), გიორგი კანდელაკს (სპორტსმენთა კავშირი),** ლევან ფხაკაძეს (**„**ვისოლ ჯგუფის“ საქველმოქმედო ფონდი), თეიმურაზ უგულავას („ჯეობეთს“), **მიხეილ სვიმონიშვილის მფლობელობაში მყოფ „მარნეულის სასურსათო ქარხანას“,** (მამუკა ბოსტოღანაშვილი 4,000 — შპს მიკროსტუდია ჯგუფი; შპს მარნეულის სასურსათო ქარხანა 202376945; 234232960 დირექტორი), **კომპანია „ირაო დეველოპმენთს“,** ასევე **კომპანია „კულას“. აქვე შეხვდებით ყოფილი გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის ძმის, იაგო ჩოჩელის მიერ ჩარიცხულ თანხებს „ინტერპლასტიდან“. ასევე ცეზარ ჩოჩელის ბიზნეს-პარტნიორსა და უმრავლესობის ყოფილ წევრს დევი ოვაშვილს** (60,000 შპს ინტერპლასტი — პარტნიორი)**. აქვე წააწყდებით დავით კირკიტაძის გვარს** (5,000-შპს იბერ მით ჯორჯია), **გიორგი ცხაკაიას (ქალაქის ყოფილი ვიცე-მერი), გიგა ნასარიძეს (არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“), დეპუტატ გოჩა თევდორაძეს...**

ნაცმოძრაობის შემომწირველებს შორისაა ერთ დროს **ადეიშვილთან დაახლოებული და მურთაზ ზოდელავას მარჯვენა ხელი გიორგი ყავლაშვილი, რომელმაც პარტიას 50 000 ლარი შესწირა და რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც არჩევნების შემდგომ ადეიშვილის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა. ამავე რაოდენობის შეწირულობა აქვს გაკეთებული ვლადიმერ (კახა) ბაკურაძეს, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, რომელიც კომპანიების — „მედისონის“ „კლერიონის“, „პოკერ.გეს“ დამფუძნებელია. მათ, როგორც ამბობენ, შარშან თბილისში პირველადი ჯანდაცვის რამდენიმე ობიექტი შეიძინეს. ნაციონალური მოძრაობისთვის 55 555 ლარი აქვს შეწირული ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, კახა ბენდუქიძეს.** (55 555 ლარი — შპს ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი „ტაბულა“ — პარტნიორი)**. სოლიდური შემოწირულობა აქვს გაკეთებული „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ სასტუმროებისა და კურორტების მმართველი კომპანიის“ წარმომადგენლებს, მამუკა წაქაძესა (40 000 ლარი) და ვასილ ძოწენიძეს (10 000 ლარი). 21 000 ლარი აქვს პარტიისთვის შეწირული ყოფილ პარლამენტარს თამაზ გველუკაშვილს, 43 000 ლარი კომპანიის „სუპერგაზი იტალია“ წარმომადგენელს თენგიზ შოშიაშვილს. ლევანი მინდორაშვილი 16,000 — შპს ლომისი+; შპს რჩეული;** ბიზნესიდან: გელა ასლანიშვილი — 4,000 ლარი. **შპს „საბა** 2002“-ს დირექტორი/პარტნიორი. მამუკა დოლიძე 10 000 ლარი — შპს ,,ბელუქსი პლუსის“ დამფუძნებელი. **საკმაოდ „გაუნათებია“ ნაციონალური მოძრაობის ფონდი ზურაბ გაბინაშვილს, შპს „ახალი ნათებიდან“ — 40,000 ლარი (ირმა გაბინაშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი; შპს ახალი ნათება).** შპს „კალა ინვესტიდანაა“ ჩარიცხული შალვა გიგაიას მიერ 10 000 ლარი — შპს კალა ინვესტი; საფინანსო-საინვესტიციო ფირმა ჭყონია-ინვესტი; გიორგი მიქელაძე — 35,000 ლარი, შპს გრატო პასაჟი; ბიზნესმენ გიორგი კოპალეიშვილს 20 000 ლარი აქვს გაღებული შპს „ოუშენიდან“, **ალექსანდრე გუგუნავას — 35 000 ლარი შპს „ჯენერალ ქონსთრაქშენ კომპანიიდან“. ეს კომპანია რამაზ ნიკოლეიშვილის ახლო გარემოცვასთან გაიგივებულ, ნაციონალებიდან ლანჩხუთის რაიონის ყოფილ მაჟორიტარ გია გოგუაძესთან** ასოცირდება. **ნაცების ბიუჯეტი 60 000 ლარით გაუმდიდრებია ბიზნესმენ ბონდო გოლეთიანს, რომელიც შპს „ტრანს ენერჯიდან“ ფიქსირდება შემომწირველებში, თუმცა ზოგადად, მისი გვარი გოლეთიანების სავაჭრო სახლს უკავშირდება.** ნაციონალური მოძრაობისთვის შეწირულობა გაუკეთებიათ კომპანია „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენლებს — ნიკო გიგოლაშვილსა (6 982 ლარი) და ლაშა დავითურს (8 000 ლარი). ეს ის კომპანიაა, რომელიც თბილისის მერიის ტენდერებს იგებდა და რომლის საქმიანობასაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სწავლობს.

„ქართული ოცნების“ შემომწირველი ფიზიკური პირების კავშირი იურიდიულ პირებთან: დავით დარჩია — 4000 ლარი; გელა კობერიძე — 1 000 ლარი, შპს ჯი-დი-ეს თი-ვი, შპს მეცხრე არხი ინფო; ბიჭია დემეტრაშვილი — 3 513. შპს თები (აღნიშნულ კომპანიას დაფინანსება გაწეული აქვს ნაციონალური მოძრაობისთვისაც); გიორგი იმედაძე — 50 ლარი. შპს გაენათი; ფრიდონ ბურჯალიანი — 100 ლარი. შპს „სარჩო“; პეტრე ცაგარეიშვილი — 50 ლარი. შპს „კვარცტრანსერვისი“; შპს ჯი & დი; ბელა დოლიძე — 10 ლარი. შპს კაუკასუს ტოურ; ნოდარ ჯავახიშვილი — 17 000 ლარი. შპს ოცნების სამყარო; შპს „ასტრა პარკი“; სოფიო ნახუცრიშვილი; რევაზ ვაშაყმაძე — 50 ლარი. შპს „სოფლის ღვინო“ მერაბ თავაძე — 1 805 ლარი. ახალგაზრდული თეატრალური ფესტივალი „არდიფესტ“. დავით ბერიძე — 25 ლარი. შპს „ალიანს სერვისი“; ვალერი გელაშვილი — 60 000 ლარი (ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი), შპს ინინგ+; შპს ლიტ ჯეო ინვესტი; თეიმურაზ წილოსანი — 2 342 შპს „თები“; ბესიკ ნიჟარაძე — 40 000 ბენი ოცდამეერთე; დავით ონოფრიშვილი — 15,000 ლარი. ონოფრიშვილთა საგვარეულო კავშირი; შპს ენისელის ღვინოები; გაიოზ მონიავა — 1 500; სოფიო ჭანტურია — 42 ლარი. შპს სტუდია ანატომია; კახა ოსაძე — შპს ფცა 2010. გიორგი პატარიძე — 2 000; გივი წიქარიშვილი — 30 ლარი. შპს ჯი.აი.ემ.ჯი; ელისო ჩაფიძე — 1 000 ლარი; ნინო გოგისვანიძე — 10 ლარი, შპს ლიფტების კომპანია; რამაზ ბერძენიშვილი — 3 096 ლარი. შპს კრედო; ალექსანდრე ვადაჭკორია — 1 500 შპს ეფემჯი სოფტ; ბიძინა თავბერიძე — 820 ლარი. შპს ლაზიკა-ბორჯი. მანანა კობახიძე — 10 563 ლარი. საზოგადოებრივი დამცველი; დავით ტალახაძე; ნინო ყვავილაშვილი — 50 ლარი. შპს გაჩერება კონკა; შპს ლურჯი სახლი; ნიკოლოზ ბახტაძე — 60 000 ლარი. შპს ქართული ტექნოლოგიები — ფარმაცია; ია კაკრიაშვილი; ნიკოლოზ დეკანოსიძე — 100 ლარი. შპს ფავორიტე ედვერთისმენთ; კახა შველიძე — 50 000 ლარი. საქართველოს ხელოვანთა კავშირი.

ვერსიანიუსი

პოლიციამ „ქურდული სამყაროს“ წევრები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა „ქურდული სამყაროს“ წევრები, 1971 წელს დაბადებული კახა შ. და 1974 წელს დაბადებული აკაკი ბ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ორივე მათგანი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევია და „ქურდული სამყაროს“ წევრობას აღიარებს. გამოძიების ინფორმაციით, ისინი „ქურდული“ წესების დაცვით მოწყობილი გარჩევებისას, დაშინებისა და მუქარის გზით, მოქალაქეებს სხვადასხვა ოდენობის თანხას სძალავდნენ.

სამართალდამცველებმა კახა შ. და აკაკი ბ. ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) მიმდინარეობს, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

„ინტერპრესნიუსი“

„ბანკის ვალი გვაქვს, შვილები გვყავს სარჩენი, იანვრამდე მაინც მოგვცენ ვაჭრობის უფლება“

მერაბ ბერიძე

დელისის მეტროსთან, აგრარული ბაზრის მოვაჭრეები ტერიტორიის გასხვისებას აპროტესტებენ. მათ აქცია მერიასთან გამართეს და სამუშაო ვადის გახანგრძლივება წლის ბოლომდე მოითხოვეს. მოვაჭრეების თქმით, ათი დღის წინ ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს. არადა, ბანკის ვალი აქვთ და ოჯახები ჰყავთ სარჩენი. მოვაჭრეებს თბილისის მერიიდან უპასუხეს და დახმარებას დაპირდნენ.

რას ითხოვენ დელისზე, აგრარული ბაზრის მოვაჭრეები და რას პირდებიან მათ უგულავას უწყებაში

ერთ-ერთი მოვაჭრის, მაყვალა მენაბდის განცხადებით, მერიამ ამ ტერიტორიაზე დასაქმებული ადამიანების მძიმე სოციალური ყოფა უნდა გაითვალისწინოს და ადამიანურად მოექცეს: **„გაუგებარია, ერთი თვის განმავლობაში როგორ უნდა გავისტუმროთ ბანკის გადასახადები; ეს ვალი ოჯახების სარჩენად გვაქვს აღებული. პატარების, მოხუცების მოსავლელად. ჩვენი მოთხოვნაა, იანვრამდე მაინც დაგვიტოვონ ეს ბაზარი და ვაჭრობის უფლება მოგვცენ“.**

მოვაჭრეებს თანადგომას უცხადებს უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი**. მისი განცხადებით, მერიას გადაწყვეტილი აქვს, საკუთარი პარტნიორების მეშვეობით გაყიდოს ბაზრის ტერიტორია და ამიტომ ადამიანებს სამუშაო ადგილების დატოვებას აიძულებს. მისივე ინფორმაციით, ამ ადგილას გაურკვეველი დანიშნულების შენობის აგებას აპირებენ: „თბილისის მერია და პირადად, გიგი უგულავა კვლავ ცდილობს ბიზნესის სხვადასხვა სფეროების მონოპოლიზებას. აღნიშნული უკანონობა მრავალი მიმართულებით გამოიკვეთა. ჯანდაცვით დაწყებული, სატრანსპორტო სფეროთი და ვაჭრობის მიმართულებით დასრულებული. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ ებრძვიან ასე გამალებით ბაზრობებს, სადაც ადამიანები ინდივიდუალურად ვაჭრობენ და ოჯახებს ელემენტარული საარსებო წყაროთი უზრუნველყოფენ. ახლა მიადგნენ დელისის მიმდებარედ, საკმაოდ მომცრო ზომის ბაზარს, სადაც ოთხმოცამდე კაცი ვაჭრობს და მათი შემოსავალი სწორედ ამ საქმიანობაზეა დამოკიდებული. აქ ორი ინტერესი იკვეთება. პირველ რიგში, ჩანს მსხვილი სავაჭრო ობიექტების ხელშეწყობა, ამგვარი უკანონო და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით და კონკურენტებს იძულების წესით აშორებენ მერიის წარმომადგენლები; მეორე მხრივ, აქ გამწვანება იყო. ნაწილი შემორჩენილია და ტერიტორია სამშენებლო-კორუფციულ ინტერესს წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით, უკვე მესამე აქცია ჩავატარეთ. მოვაჭრეებს ადგილის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ და სხვა ადგილს არ სთავაზობდნენ. ბოლო აქციის შემდეგ დაპირდნენ, რომ ალტერნატიულ სავაჭრო ადგილს გამოუყოფენ. ვნახოთ, ეს დანაპირები შესრულდება თუ არა, თუმცა მერიის წარმომადგენლების დაპირებების ფასს თუ გავითვალისწინებთ, ნაკლებად სავარაუდოა, სრულფასოვნად მოხდეს მათი დაკმაყოფილება.

— საუკეთესო გამოსავალი ადგილზე უზრუნველყოფაა ნორმალური პირობებით თუ სხვა ადგილის გამოყოფა?

— ამ შემთხვევაში, მათთვის უკეთესია, ადგილზე დარჩენა ან მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობის უფლების მიცემა. ისინი ადაპტირებული არიან ამ სივრცესთან. ბაზრობა მნიშვნელოვანია არა მარტო მოვაჭრეებისთვის, არამედ მომხმარებლისთვის. რაც უფრო მეტია გამყიდველი, მით დაბალია ფასი და მაღალია ხარისხი. მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს შექმნა სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტებისთვის. იქნება ეს ქუჩის ორგანიზებული ვაჭრობა, ბაზრობა, მაღაზია თუ სხვ. ისინი სხვადასხვა სეგმენტს ემსახურებიან და მთლიანობაში, კონკურენციის მაღალ დონეს უზრუნველყოფენ. საჭიროა, დროულად ამოქმედდეს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა. ხელისუფლების მოქმედებები იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ადამიანებს, ერთი მხრივ, სამუშაო ადგილები არ დაეკარგოთ და მეორე მხრივ, მაღალმა კონკურენციამ განაპირობოს დაბალი ფასისა და ხარისხიანი პროდუქციის არსებობა.

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **ზვიად კერვალიშვილი** აცხადებს, რომ ქალაქის მთავრობა მზად არის, დაეხმაროს მოვაჭრეებს:

„იქვე, მიმდებარე ტერიტორიაზე, ქავთარაძის ბაზრის ხელმძღვანელობასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ვუშუამდგომლებთ მოვაჭრეებს, რათა შევიდნენ და ბაზრის ტერიტორიაზე გააგრძელონ საქმიანობა. რაც შეეხება დელისის მიმდებარედ პატარა ბაზრის დაკეტვის საკითხს, აქაც შეგვიძლია ვიშუამდგომლოთ და მინიმუმ, ერთი თვით მოხდეს ამ ნაბიჯის გადავადება“.

მოვაჭრეები ითხოვენ, ამ ტერიტორიაზე იანვრამდე ვაჭრობის ნება დართონ. დედაქალაქის მერია მხოლოდ ერთ თვეზეა ყაბულს. ქავთარაძის ბაზრობაზე მათი შეყვანა პანაცეა არ არის — ბანკის პროცენტებს მოვაჭრეების ნაცვლად, არავინ გადაიხდის.

თბილისელებს აპრილში 20-ლარიანი ენერგოვაუჩერი აღარ დაერიცხათ!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

რაზომ არ შეასრულა მერიამ დაპირება და როდიდან მიიღებენ სოციალურად დაუცველები კუთვნილ 150 ლარს

ჯერ კიდევ შარშან, თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, თბილისში რეგისტრირებული თითოეული აბონენტი მერიისგან 100- ლარიან კომუნალურ ვაუჩერს მიიღებს, სოციალურად დაუცველი ოჯახები კი, რომელთაც 70 000-მდე სარეიტინგო ქულა ჰქონდათ, 150-ლარიანი ვაუჩერით ისარგებლებდნენ. 100-ლარიანი კომუნალური ვაუჩერი იანვრიდან მაისის ჩათვლით, ეტაპობრივად უნდა ჩარიცხულიყო: 5 თვის განმავლობაში, თითოეულ ოჯახს, სააბონენტო ანგარიშზე 20 ლარი დაერიცხებოდა, საიდანაც 8 ლარითა და 45 თეთრით ელექტროენერგიის გადასახადი დაიფარებოდა, 8,40 ლარი დასუფთავების გადასახადს დაფარავდა, ხოლო დარჩენილი 3,15 ლარი — წყლის გადასახადს. რაც შეეხება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ჯერ ითქვა, რომ მათ დაპირებული 150 ლარი 2013 წლის დასაწყისში უნდა დარიგებოდათ, შემდეგ კი მერიაში განაცხადეს, ამ თანხას აპრილში მივცემთო, მაგრამ აპრილშიც არ გასცეს თანხა, კომუნალური ქვითრებიდან მერიის დაპირებული 20-ლარიანი შეღავათიც გაქრა და, შესაბამისად, მოქალაქეებს 20-ლარიანი ვაუჩერი აღარ დაერიცხათ.

„ვერსია“ დაინტერესდა, სად გაქრა 20-ლარიანი შეღავათი. თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განგვიცხადეს, რომ სოციალურად დაუცველებს 150 ლარი დახმარება მაისიდან დაერიცხებათ — მაისში ბანკიდან 50 ლარის გატანა შეეძლებათ, 50 ლარი აგვისტოში დაერიცხებათ, ხოლო დარჩენილ 50-ს, დეკემბერში აიღებენ. რაც შეეხება 100-ლარიან ენერგოვაუჩერს, თანხა მოსახლეობას ჩაერიცხა იანვარ-თებერვალ- მარტში, ხოლო დარჩენილი 40 ლარი ნოემბერ-დეკემბერში გადაეცემათ. საინტერესო ისაა, რომ მერიაში ვერ აკონკრეტებენ ამ გადაწყვეტილების მიზეზს.

იმის გასარკვევად, რატომ არ შეასრულა თბილისის მერიამ დანაპირები, „ვერსია“ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს, ზაზა გაბუნიასაც დაუკავშირდა:

— პროექტის დასაწყისში თქვეს, რომ პირველი 5 თვე მოსახლეობას ვაუჩერით გათვალისწინებული თანხა, თვეში 20 ლარი, უწყვეტად უნდა დარიცხვოდა. მოგვიანებით, მერიამ პოზიცია შეცვალა და პარტიული ინტერესების შესაფერისი გადაწყვეტილება მიიღო — ერთი მხრივ, მოსახლეობას აჩვენეს ამ დახმარების მნიშვნელობა, მეორე მხრივ, ნაცმოძრაობა ამ დახმარების პოლიტიკური და პარტიული მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობს.

— ნაცმოძრაობამ ეს დახმარება პარტიული მიზნებისთვის როგორ უნდა გამოიყენოს?

— 2013 წლის ოქტომბერში არჩევნებია. ამ ვაუჩერით მოსახლეობას უგზავნიან მესიჯს, თუ მხარს დაგვიჭერთ და არჩევნებს მოგვაგებინებთ, ამ შეღავათებს გავაგრძელებთ მომდევნო 2 თვის განმავლობაშიო. ეს ანკეტი, რომელიც სააკაშვილმა თბილისელებს გიგი უგულავასა და, ზოგადად, თბილისის მერიის ხელით გადაუგდო, ძალიან შეურაცხმყოფელია. შესაბამისად, გამოჩნდა, რა იყო ამ ვაუჩერების დარიგების მიზანი.

— მერია სოციალურად დაუცველებს რატომღა არ ურიგებს დაპირებულ 150-ლარიან ვაუჩერებს?

— აქაც იგივე თამაშს თამაშობენ და ჟონგლიორობენ, რათა ასეთი ტიპის სოციალური შეღავათები პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენონ. ეს კიდევ ერთი მაგალითია, რომ თბილისის მერია მთელ რესურსს პარტიული ამოცანებისთვის იყენებს, მოსახლეობას კი დანაპირებს არ უსრულებენ! ნაციონალური მოძრაობა ისევე იქცევა, როგორც აქამდე იქცეოდა და რამაც ეს პარტია პირველ ოქტომბერს, დამარცხებამდე მიიყვანა.

— არის საშიშროება, რომ ეს ფული ნოემბერ-დეკემბერშიც არ ჩაირიცხოს?

— ეს სავარაუდოა... მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

საქართველოში ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება

ირინა კვანჭახაძე

საქართველოში ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რიცხვი ელვის სისწრაფით იზრდება. თანაც ისე, რომ დღევანდელ რეალობაში, გალოთებული ქალისა და გალოთებული მოზარდის დანახვაც აღარავის უკვირს. ალკოჰოლიზმი ის პრობლემაა, რომლის გადაჭრაზეც ზრუნვა ახალ ხელისუფლებას მოუწევს. პრემიერ ივანიშვილს, პრობლემა უკვე გააზრებულ-გაცნობიერებული რომ აქვს, არც ისე დიდი ხნის წინ, რედაქტორებთან შეხვედრაზეც გამოჩნდა — სწორედ ამ დღეს, ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას ანტიალკოჰოლური კამპანიის დაწყება აუწყა და განაცხადა, რომ ალკოჰოლური სასმელის სკოლებთან, სასწავლებლებთან გაყიდვა, მით უმეტეს, არასრულწლოვნებზე, მკაცრად გაკონტროლდება. ძნელია დარწმუნებით თქვა, ქართული ალკოჰოლიზმი ზოგადად, ტრადიციის — ღვინისმოყვარეობის მახინჯი სახეცვლილებაა თუ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შედეგი; ან იქნებ, ორივეა მიზეზი, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს, საქართველოში ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი 78,5%-ს შეადგენდა და ამ მხრივ უკეთესობისკენ დღემდე არაფერი შეცვლილა. რატომ ეტანებიან ჩვენი თანამემამულეები ალკოჰოლს? რატომ გახშირდა საქართველოში ლოთი ქალების რიცხვი? რატომ აღარავის უკვირს სისტემატურად მთვრალი მოზარდის დანახვა ქუჩაში და რატომაა ალკოჰოლიზმის კერა მცხეთა-მთიანეთის რეგიონი? „ვერსია“ შეეცადა, ამ კითხვებზე პასუხი ეპოვა, მით უფრო, რომ ალკოჰოლიზმი ყველაზე დიდ დარტყმას ქართულ გენოფონდს აყენებს.

2010 წელს, არაგადამდებ დაავადებათა რისკფაქტორების კვლევის მიხედვით, საქართველოში ალკოჰოლის მოხმარება საკმაოდ მაღალია და 78,5%-ს შეადგენს. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი მსმელი გვხვდება კახეთში (51,7%), ყველაზე ცოტა კი — სამცხე ჯავახეთსა (28%) და აჭარაში (32%).

ალკოჰოლიზმი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით გამოიხატება და იწვევს ორგანიზმში მიმდინარე ისეთ ბიოქიმიურ ცვლილებებს, რაც ხელს უშლის ალკოჰოლის სათანადო გადამუშავებას. ალკოჰოლიზმი, ეტაპობრივად აზიანებს ადამიანის ორგანოებს და იწვევს ფსიქიკურ და ფიზიკურ გართულებას. დაავადების ჩამოყალიბებას განაპირობებს როგორც გენეტიკურ-ბიოლოგიური ფაქტორი, ასევე მძიმე სოციალური პირობები.

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელის, ფსიქოლოგ თამუნა ბოკუჩავას შეფასებით, ალკოჰოლიზმი ნარკომანიაზე მძიმე დაავადებაა:

> **„პოტენციური ლოთები არიან ადამიანები, რომლებიც იზრდებიან მკაცრი, მუდმივი კონტროლის პირობებში, ვერ გამოხატავენ ემოციებს და უჭირთ კომუნიკაცია. ამ ფსიქოლოგიური სტრესისგან ადამიანებს ალკოჰოლი ათავისუფლებს და ეს დაავადება ხშირ შემთხვევაში, იწყება ლუდის სმით. ალკოჰოლზე დამოკიდებული ადამიანები არასოდეს აღიარებენ პრობლემას და ჰგონიათ, რომ ყოველთვის შეუძლიათ დალევის სურვილის მართვა, არადა ეს საკმაოდ მძიმე, პროგრესირებადი დაავადებაა, რომლის დროსაც დალევა საერთოდ აკრძალულია. ალკოჰოლიზმი, ნარკომანიაზე მძიმეა და მნიშვნელოვნად აზიანებს თავის ტვინს. ფსიქოლოგის მთავარი ამოცანაა ალკოჰოლიზმი გახადოს მართვადი და კონტროლირებადი“.**

საქართველოში, ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება. განსაკუთრებით, ყურადსაღები კი ისაა, რომ ზოგადად, ეს დაავადება საგრძნობლად ახალგაზრდავდება — ლოთ არასრულწლოვნებსაც შეხვდებით. ნარკოლოგიური ინსტიტუტის, კლინიკური დეპარტამენტის უფროსის, დავით ვადაჭკორიას თქმით, მისი ყველაზე პატარა პაციენტი 14 წლის იყო.

ალკოჰოლიზმის მასშტაბები იმდენად მზარდია, რომ დღევანდელი მდგომარეობით, არაფრით ჩამოუვარდება ნარკომანიას. რეალურად, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას ბევრი საერთო აქვს: ორივე ქრონიკული დაავადებაა და ალკოჰოლი, თამბაქოსთან ერთად უნდა განვიხილოთ, როგორც რეალური ნარკოტიკი. ალკოჰოლის მომხმარებელი ოჯახსა და სოციუმში უფრო მეტად აგრესიული და პრობლემურია, ვიდრე ნარკოტიკის მომხმარებელი.

ახალგაზრდებში, კლუბური ღამის ცხოვრება წარმოუდგენელია ალკოჰოლისა და სიგარეტის გარეშე. თუ კარგად დავაკვირდებით, ასეთი თავშეყრის ადგილებში ქალები მამაკაცებს გაუტოლდნენ როგორც ალკოჰოლის სმაში, ასევე მოწეული სიგარეტის რაოდენობაში. **„სწორედ ცხოვრების ასეთი არაჯანსაღი წესი, ასევე, ოჯახში ძალადობა იწვევს ქალების დამოკიდებულებას ალკოჰოლზე და მომართვიანობა ამ პრობლემით გახშირებულია, თუმცა საბედნიეროდ, კაცების რიცხვს არ აჭარბებს“,** — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დავით ვადაჭკორია.

იმას, რომ მსგავსი პრობლემა ქალებშიც ძალიან მწვავედ დგას, ჩვენი რესპოდენტის, ნინოს (მისი თხოვნით, სახელი შეცვლილია) მონათხრობიც ადასტურებს: **„ვერ წარმოიდგენთ, რა ამაზრზენია ნასვამი ქალის ცქერა. დიდხანს ვერ ვიჯერებდი, რომ ჩემი და, რომელიც მოზარდი გოგონას დედა და კარგი დიასახლისი იყო, შეიძლება გალოთებულიყო. ჩემი დისშვილი ყოველდღე ნასვამ და ნაცემ დედას უყურებს — სამწუხაროდ, ჩემს დას ქმარი ფიზიკურადაც უსწორდება. დავდივართ ფსიქოლოგთან, თუმცა უშედეგოდ. არყის ბოთლი ისევ ჩანთაში აქვს...“**

ძალადობისა და ბავშვობაში მიღებული ფსიქოლოგიური სტრესის გარდა, დღევანდელ ქართულ რეალობაში ბევრი მიზეზია, რამაც შეიძლება ალკოჰოლის მოხმარებისკენ უბიძგოს ადამიანს. დამოკიდებულთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ცდილობენ, გაექცნენ დამთრგუნველ რეალობას — უმუშევრობას, სიდუხჭირეს, ერთფეროვან ცხოვრებას... ყველა ეს ფაქტორი განსაკუთრებით აწუხებთ რეგიონებში და ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ ალკოჰოლიზმის „ეპიცენტრი“, ძირითადად, რაიონებშია.

> **დავით ვადაჭკორიას განცხადებით, ალკოჰოლის მიღების კონკრეტული, რეკომენდებული დოზა არ არსებობს. თუ ადამიანი კვირაში რამდენჯერმე იღებს ალკოჰოლს და მიდის თრობის კონდიციამდე, ძალიან მალე ყალიბდება „ალკოჰოლიკად“. როგორ უნდა ვებრძოლოთ პრობლემას და რა არის შექმნილი არასახარბიელო ვითარებიდან გამოსავალი? ერთი მხრივ, ალკოჰოლური სასმელის გაყიდვა-მოხმარების კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, ალბათ, გარკვეულ შედეგს გამოიღებს. მაგრამ რა მოიმოქმედონ მათ, ვისაც ეს დაავადება უკვე სტანჯავს? „ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ყველა რესურსი მიდის სახელმწიფოსა და ფინანსებამდე. მსოფლიო და ევროპული ქვეყნების პრაქტიკაში, წარმოუდგენელია, ალკოჰოლიზმით განკურნებისთვის საჭირო თანხა პაციენტმა თავისი ჯიბიდან გაიღოს, საქართველოში კი, ალკოჰოლიზმთან საბრძოლველად საწყისი მკურნალობის ფასი 900 ლარია. ვისურვებ, მკურნალობა ხელმისაწვდომი გახდეს პაციენტებისთვის“.**

„ვერსია“ „ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკურ მდივანს, მანანა ნაჭყებიასაც დაუკავშირდა, რომელიც ალკოჰოლიზმსა და ამ პრობლემის სახელმწიფო დონეზე გადაჭრის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ თვეების წინ საუბრობდა.

მანანა ნაჭყებია, ალკოჰოლიზმს ისეთივე სოციალურ ბოროტებად აღიქვამს, როგორც ნარკომანიას და ალკოჰოლიზმის კერად მცხეთა-მთიანეთს ასახელებს, სადაც ყველაზე მძიმე სოციალური პირობებია: „ახალი მემარჯვენეები“, სახელმწიფოს მიმართავენ ინიციატივით, შეიქმნას ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ფონდი, სადაც ალკოჰოლის აქციზის გადასახადიდან 1 თეთრი გადაირიცხება, თანხა კი ალკოჰოლიზმით დაავადებულთა მკურნალობას მოხმარდება. პარალელურად, „ახლების“ პოლიტიკური მდივანი პრემიერ-მინისტრს მოუწოდებს, ყურადღება გაამახვილოს ისეთ კუსტარულ ნარკოტიკებზე, როგორიცაა „კრაკადილი“ და „ჯეფი“. ამ ფონზე, აფთიაქებში აუცილებლად უნდა გამკაცრდეს კონტროლი იმ ინგრედიენტზე, რომლითაც მზადდება კუსტარული ნარკოტიკი, რადგან „ჩვენი გენოფონდი, შესაძლოა, სწორედ ამ კუსტარული ნარკოტიკის მსხვერპლი გახდეს“.

ვერსიანიუსი

საქართველოში წითელასა და ღორის გრიპს ხელოვნურად არ ავრცელებენ

ბოლო მონაცემებით, საქართველოში წითელას სულ 1433 შემთხვევაა გამოვლენილი. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მათგან თითქმის 1043-მდე შემთხვევა თბილისში დაფიქსირდა.

წითელას ინფექციის შემთხვევები ყველა ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება, თუმცა უმეტესობა — 523, 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის. შემდეგი გავრცელების ჯგუფი 30 წელს ზემოთ ასაკის პირები არიან, სადაც დაავადების 327 შემთხვევაა გამოვლენილი.

წითელას შემთხვევების მატება თებერვლის ბოლოდან შეინიშნება და დაავადების შედეგად ორი პაციენტი გარდაიცვალა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის, პაატა იმნაძის თქმით, წითელა მაისის ბოლომდე შემოგვიტევს და დაავადებულებთან კონტაქტში მყოფი, 6 თვიდან 30 წლამდე ასაკის პირების, ასევე 1-7 წლამდე პატარების უფასო სავალდებულო ვაქცინაცია კვლავ მიმდინარეობს. წითელას ცხელება, მე-4-5 დღეს კი გამონაყარი ახასიათებს. ორიოდე დღის წინ, პრეზიდენტის ყოფილმა ამერიკელმა მრჩეველმა ჯეფრი სილვერმანმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, თბილისში, აეროპორტის გვერდით, სააკაშვილის მიერ 2007 წელს შექმნილ ლაბორატორიაში ჯილეხის, ციმბირის წყლულის, წითელას, შავი ჭირისა და H1N1-ის ბაქტერიებს ამზადებენ და არაა გამორიცხული, ამ ვირუსებს ხელოვნურად ავრცელებდნენ. მისივე თქმით, ასეთივე ლაბორატორიებია ზუგდიდში, ქობულეთსა და ქუთაისში.

საიდუმლო ლაბორატორიების არსებობა უარყო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ და ამ განცხადებას აბსურდული უწოდა: **„მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჯეფრი სილვერმანს ძალიან ბევრი თავისუფალი დრო და კარგი წარმოსახვა აქვს“.** დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის, პაატა იმნაძის განმარტებით, ვირუსების ხელოვნურად გავრცელების შესაძლებლობა გამორიცხულია, მსგავსი ლაბორატორია კი, საქართველოში არ ფუნქციონირებს: **„ეს სისულელეა. ქვეყანაში ასეთ საკითხებზე მუშაობს დაავადებათა ეროვნული ცენტრი და ყველა ლაბორატორია საერთაშორისო კონტროლქვეშაა“.**

„ვერსიანიუსი“

„სააკაშვილმა, პირველ რიგში, პასუხი უნდა აგოს ომის წარმოებაზე“

წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერი ვაჟა წიკლაური „ვერსიას“ უმხელს, ვისი მითითებით დანიშნეს წეროვანის გამგებლად „არაოცნებელი“ კადრი და რატომ უნდა გამოიძიონ აგვისტოს ომის მიზეზები

დავით დევიძე

2008 წლის აგვისტოს ომის მიზეზების ხელახალმა გამოძიებამ ნაცმოძრაობა უკიდურესად გააღიზიანა, მართალი პარტია არასოდეს ღიზიანდება — თუ მართალი ხარ, გამოიძიონ, ვინ რას დაგაკლებს. სააკაშვილი და მისი გუნდი კი ისე იქცევა, ერთი ანდაზა მახსენდება — „ქურდს ქუდი ეწვის“. ეტყობა, მართლაც აქვთ სანერვიულო, თორემ ამხელა ამბავს არ ატეხდნენ. რატომ ნერვიულობენ ასე ძალიან ნაციონალები? ამას წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერის, ვაჟა წიკლაურის ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ნაციონალური მოძრაობა აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ გამოსაძიებელი აღარაფერია და ამ ომთან დაკავშირებით, ყველაფერი ისედაც ნათელია. არადა, სინამდვილეში, მართლაც არსებობს უამრავი კითხვა, რომელზეც დღემდე არ არის გაცემული პასუხები. თუნდაც ის პუბლიკაციები, რომლებიც ამ თემასთან დაკავშირებით თქვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა, საფუძვლიანი გამოძიების გარეშე არ უნდა დარჩეს, ამიტომ სპეციალური კომისიის შექმნა დროულიცაა და სამართლიანიც.

— სააკაშვილი განსაკუთრებით ღიზიანდება, როცა ამბობენ, რომ ომი დაიწყო საქართველომ. თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?

— ომი დაიწყო რუსეთმა და აქ ორი აზრი არ არსებობს. რუსეთში დაიგეგმა ის, რაც საქართველოში დატრიალდა 2008 წლის აგვისტოში, მაგრამ ეს ფაქტი სრულებით არ მეტყველებს ნაციონალური ხელისუფლების სასარგებლოდ — ომი დაიწყო რუსეთმა, მაგრამ ბრძოლა დავიწყეთ ჩვენ.

— ცოტა გაურკვეველია, რას გულისხმობთ?

— 2008 წლის თებერვლიდან, მოსკოვმა, ჩრდილო კავკასიამ და ცხინვალმა ერთდროულად ატეხა განგაში, რომ საქართველო ემზადებოდა სამხრეთ ოსეთში შესაჭრელად. რუსებმა დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა რეგიონიდან. მაშინ საქართველოში ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქციეს, რადგან ე.წ. ექსპერტებმა ათასგვარი სულელური დასკვნა დადეს, თუ რატომ აკეთებდა რუსეთი ამას. ვერც სპეცსამსახურებმა და ვერც ამ ვითომექსპერტებმა ვერ გათვალეს, რისთვის გაყავდათ სამაჩაბლოდან მოსახლეობა. შემდეგ საჭირო იყო ქართული მხარის საომრად გააქტიურება, ანუ სააკაშვილის დარწმუნება, თუ ქართული მხარე საომარ მოქმედებებს დაიწყებს, რუსეთი ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებს და არც ერთი მხარის გვერდით არ დადგებაო. ოღონდ, რუსებმა მოითხოვეს ერთი პირობის შესრულება: ცხინვალში შესულ ქართულ ქვედანაყოფებს ხელი არ უნდა ეხლოთ რუსული სამშვიდობო ნაწილისთვის. გახარებული სააკაშვილი, რომელსაც ეს რუსული „უტკა“ მოსკოვიდან საკუთარმა ბიძამ, თემურ ალასანიამ ჩამოუტანა, ცხადია, პირობებს დათანხმდა. ამის შემდეგ, კრემლის ბრძანებით, კოკოითის სპეცრაზმი ქართული სოფლების სიახლოვეს აწყობს პროვოკაციებს, რომელსაც სააკაშვილი ვითომ ადეკვატურად პასუხობს და კონსტიტუციური წყობილების აღსადგენად, ჯარი შეჰყავს ცხინვალში. მსგავსი პროვოკაციები ყოველთვის არსებობდა ცხინვალის მხრიდან, მაგრამ მანამდე, აზრად არავის მოსვლია, მსგავსი უკიდურესობისთვის მიემართა. სააკაშვილი იყო რუსული გეგმის ნაწილი და ის მისია შეასრულა, რაც დააკისრეს. როგორ ფიქრობთ, ეს არ მოითხოვს გამოძიებას?

— თქვენი ნათქვამი ლოგიკურია, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ სააკაშვილმა დავალება ამერიკიდან მიიღო.

— გამორიცხულია, ამერიკიდან ოფიციალურად მიეღო დავალება, ის წამოეგო რუსულ სატყუარას და იფიქრა, თავი მოეწონებინა ვაშინგტონისთვის: ნახეთ, ბევრი ძალისხმევის გარეშე გადავწყვიტე ეს პრობლემაო. ამაშია მისი მთავარი დანაშაული და, შესაბამისად, ესაა მთავარი მიზეზი, რის გამოც ცეცხლივით ეშინია გამოძიების დაწყებისა. თუ ყველაფერში სუფთაა, რატომღა ეშინია, გამოვიდეს და თქვას — რაც გინდათ, გამოიძიეთო.

— კიდევ რის ეშინია სააკაშვილს?

— პირველ რიგში, მან პასუხი უნდა აგოს ომის წარმოებაზე. ომმა აჩვენა, რომ საბრძოლო მოქმედებების თვალსაზრისით, მთლიანად მოშლილი იყო ქართული არმია, დიდი რაოდენობით იყო უხარისხო იარაღი და ბიჭებმა, რომლებიც გმირულად დაეცნენ, იბრძოლეს მხოლოდ თავისი ვაჟკაცური სულიდან გამომდინარე, თორემ არ არსებობდა ვერტიკალი, რომელიც ამ ბრძოლების კოორდინაციას გამოიწვევდა. პირველ რიგში, ბრძოლის ველი დატოვა მთავარსარდლის გარშემო შემოკრებილმა უმაღლესმა ოფიცრობამ და არ გამოიყვანა მშვიდობიანი მოსახლეობა, რადგან სჭირდებოდათ, მეტი მსხვერპლი ყოფილიყო, შემდეგ კი უცხოელების წინაშე ექვითინათ. მოკლედ, ძალიან ბევრი კითხვაა, რაზეც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ პასუხი უნდა გასცეს.

— პასუხის გაცემის ნაცვლად, 19 აპრილით იმუქრებიან. გავრცელდა ინფორმაცია, რომ რაღაც პროვოკაციებსაც გეგმავენ, რათა ხელახლა გააქტიურდნენ.

— სააკაშვილი ისეთი მხდალია, პროვოკაციის თავი არ აქვს და ასეთ რამეს გუნდში არ წყვეტს. გამოვრიცხავ, 19 აპრილს სერიოზული პროვოკაცია განხორციელდეს. იყაყანებენ ცოტას და დაიშლებიან.

— საპარლამენტო უმრავლესობას იმედი აქვს, რომ ნაციონალები ხალხს ვერ გამოიყვანენ.

— ეს უკვე მცდარი იმედია: ნაციონალებს, ასე თუ ისე, დღემდე შეუძლიათ ხალხის მობილიზება. ბევრს საუბრობენ ნაციონალებისა და მათი ლიდერების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, მაგრამ ამ დანაშაულისთვის არავინ დაუჭერიათ ბაჩო ახალაიას გარდა, რაშიც ზონდერებმა დღევანდელი ხელისუფლების სისუსტე დაინახეს და წარსულის დაბრუნების იმედი მიეცათ. ამიტომ, 19-ში ეს დაიმედებული ხალხი გამოვა.

ხელისუფლება გარკვეულ შეცდომებს უშვებს საკადრო პოლიტიკაშიც, თუნდაც წეროვანის მაგალითი ავიღოთ, სადაც ახლახან დანიშნეს გამგებელი და საინტერესოა, როგორ მოხდა ეს. კომისიას, რომელსაც გამგებელი უნდა აერჩია, თავმჯდომარეობდა მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის ახლო პირი ზვიად ბალაშვილი, რომელიც ვითომ „ოცნებაში“ წავიდა, კომისიაში იყვნენ ასევე წინა მთავრობის დროს „ლტოლვილთა კომპენსაციებისა და უზრუნველყოფის კომისიის“ თავმჯდომარე გია ჩიტიშვილი და წეროვანის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი ეთერ ქართველიშვილი. მთელი წეროვანი დაგიდასტურებთ, რომ გამგებლად აირჩიეს კაცი, რომელიც „ოცნებაში“ არასოდეს ყოფილა, მაგრამ აწყობდათ, რადგანაც მთელი რიგი დოკუმენტაციის განადგურება იყო საჭირო. ეს კაცი ზურაბ გათენაშვილია, რომლის არჩევამდეც კომისია აიყვანეს ზედაზნის ლუდის ქარხანაში და აქ გასცეს დირექტივა, რომ გათენაშვილი აერჩიათ.

გამოდის, ამ რეგიონში, ფაქტობრივად, სიტუაციას კვლავ ნაცმოძრაობა აკონტროლებს და, შესაბამისად, „ოცნებას“ ძალიან დიდი პრობლემა აქვს საკადრო პოლიტიკის მხრივ. 19 აპრილს კი, სააკაშვილს აქვს ერთადერთი მიზანი: მსოფლიოს დაანახოს, თითქოს მას საქართველოში მხარს უჭერენ და ხალხი ქუჩაში გამოდის „ოცნების“ წინააღმდეგ. მხოლოდ ამის შემდეგ გადავა ის პროვოკაციებზე.

კობა დავითაშვილი აგვისტოს ომის საგამოძიებო პროცესის ჰააგის ტრიბუნალისთვის გადაცემას მოითხოვს

დეპუტატი კობა დავითაშვილი ხელისუფლებას მიმართავს, 2008 წლის აგვისტოს ომის თაობაზე ქვეყნის შიგნით დაწყებული გამოძიება შეწყდეს და პროცესი ჰააგის ტრიბუნალმა გააგრძელოს.

დავითაშვილი საჭიროდ მიიჩნევს, ამოქმედდეს „რომის სტატუტი“, მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობას კი, მიხეილ სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ გუნდს აკისრებს: **„მივმართავ მთავარ პროკურორს, შეწყდეს 2008 წლის აგვისტოს საკითხზე დაწყებული გამოძიება, ამოქმედდეს „რომის სტატუტი“ და ჰააგის ტრიბუნალს ეცნობოს, რომ ქვეყნის შიგნით გამოძიების ჩატარება რამდენიმე მიზეზის გამო შეუძლებელია. ერთი მიზეზი ისაა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეუძლებელია და მეორე — პოლიტიკური ოპოზიცია გამოძიების ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს, ევროპაში კი საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ძალები უჭერენ მხარს, თუნდაც „ევროპის სახალხო პარტია“, ამიტომ ყველა საფუძველი არსებობს, ქვეყნის შიგნით გამოძიება შეწყდეს და ეს პროცესი ჰააგის ტრიბუნალის მიერ გაგრძელდეს. ოღონდ სრული პასუხისმგებლობა ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას ეკისრება“.**

კობა დავითაშვილმა კოლეგებს ისიც შეახსენა, რომ საგამოძიებო პროცესი 2008 წელს, იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა დაიწყო: **„გვაქვს საერთაშორისო ვალდებულება და „რომის სტატუტი“ ადგენს, რომ თუკი ადამიანის უფლებების შელახვის თაობაზე რაიმე საჩივარი ან განცხადება არსებობს, ეს ქვეყანამ თავად გამოიძიოს, ხოლო თუკი ქვეყნის შიგნით ამის გამოძიება შეუძლებელია, მას ჰააგის ტრიბუნალი იძიებს. ამის შემდეგ ჰააგის ტრიბუნალი თვითონ დაკითხავს მოწმეებს, ჩაატარებს გამოძიებას, წამოაყენებს მოთხოვნას გამოცხადების თაობაზე და იქ არგამოცხადება უარყოფით შედეგებს მოიტანს“.**

დეპუტატი 19 აპრილს დაგეგმილ აქციასაც შეეხო და ოპოზიციონერ კოლეგებს მიმართა: **„ვისმენთ განცხადებებს, „ოთხი წელი ვერ მოვითმენთ“, „ხალხი ქუჩაში გამოვა და ხელისუფლებას შეცვლის“... გულწრფელად გგულშემატკივრობთ და ძალიან მინდა, ხელი წაგიცდეთ, კონსტიტუციის ფარგლებს გასცდეთ. ძალიან ბევრს, მათ შორის მეც, ხელი ექავება იმ მომენტზე, როცა კონსტიტუციის ფარგლებს გასცდებით. ჰოდა, თქვენი 19 აპრილის აქციით ყურებზე ხახვსაც ვერ დაგვაჭრით და ფეხებსაც ვერ მოგვჭამთ“.**

„ინტერპრესნიუსი“

„19 აპრილი არის ვანოს დღე“

ექსპერტი მამუკა არეშიძე ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრების მხრიდან განცხადებებს მისი გალიდერების წინააღმდეგ მიმართულად აფასებს. მისი თქმით, 19 აპრილს უნდა მოხდეს ახალი ლიდერის დანიშვნა, რადგან სააკაშვილი წამსვლელია და ამ ჯგუფს სჭირდება ლიდერი.

ლიდერობის მსურველი ნაციონალებში ძალიან ბევრია, სწორედ ამიტომ კეთდება მსგავსი ტიპის განცხადებები: **„19 აპრილი არის ვანოს დღე, რომ პარტიის შემდგომი საბრძოლო გეგმები გააცნოს და განსაზღვროს, ვინ არის პარტიის ლიდერი“.**

მამუკა არეშიძის განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობაში არა ორ, არამედ სამ ჯგუფს შორისაა დაპირისპირება, მესამე ჯგუფი „თავისუფლების ინსტიტუტია“.

ექსპერტის შეფასებით, დათა ახალაიას წერილის ნამდვილობაში მას შემდეგ დარწმუნდა, რაც სააკაშვილმა განაცხადა, დათა ახალაია სულ ორ-სამჯერ მყავს ნანახიო: **„დათა ახალაიამ სწორედ 19 აპრილის წინ, გამიზნულად გააკეთა ეს განცხადება და ალბათ, იფიქრა, სადაც ვიწროა იქ გაწყდესო“,** – განაცხადა არეშიძემ და დასძინა, რომ მარიკა ვერულაშვილის განცხადება, თითქოს პარტია ვანო მერაბიშვილის გამო დატოვა, ასევე უკავშირდება 19 აპრილის აქციას.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

სპეციალური რეპორტაჟი მთავარი პროკურატურის მისაღებიდან

„წინა მთავრობამ დამტანჯა და ახლა ესენი მიღებენ ბოლოს!“

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო ლოზუნგი სამართლიანობის აღდგენა იყო. ამ ფონზე, ახალ ხელისუფლებას იმაზე მეტი საქმის გამოძიება-შესწავლა მოუწევს, ვიდრე წარმოიდგენდა. მთავარ პროკურატურასთან მომჩივანი ხალხის ნაკადი არასდროს იკლებს — ადამიანები აპროტესტებენ, რომ ახალი ხელისუფლება დროს წელავს და მათ საქმეებს არ იძიებს.
მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში დილიდან ხალხმრავლობა დაგვხვდა.
რიგში პროკურატურის მუშაობით უკმაყოფილონი იყვნენ.

— ვერაფერს გეტყვით, ბატონო, — ეუბნება ახალგაზრდა მამაკაცს ოპერატორი გოგონა.

— ვინმემ ამიხსნას, სად დავრეკო, რომ მიპასუხონ, როდის გამოიძიებენ ჩემ საქმეს. რა ნომერიც მომეცით, იმ ნომერზე თვეობით არავინ პასუხობს. რად მინდა ასეთი ნომერი?!

— შეიძლება, გასულია გამომძიებელი და მაგიტომ არ გპასუხობთ. კაბინეტში ხომ არ დაჯდება, ათასი საქმე აქვს. მარტო თქვენი საქმე ხომ არაა გამოსაძიებელი?

— სულ გასული როგორ არის?! ისეთი ადამიანის ნომერი მომეცით, ვინც მიპასუხებს, დავიტანჯე კაცი! მანქანის საბარგული სავსე მაქვს დოკუმენტებით. ყველაფერი წესრიგში მაქვს და რაღაა გამოსაძიებელი? წინა მთავრობამ დამტანჯა და ახლა თქვენ მიღებთ ბოლოს! კაცმა თავისი კუთვნილი მიწა გაყიდა და ამისთვის ციხეში ალპობთ, ეს სამართალია?!

— ნახევარი საქართველო ეგეთ დღეშია, ბატონო. ტელეფონზე რომ გვიპასუხონ, მაგასაც არ კადრულობენ. ერთი საქმე მაინც მაჩვენა ამათი გამოძიებული.

— ეგენი, ბატონო, ჯერ ჩინოვნიკების დაჭერით არიან დაკავებულები, ჩვენ ადამიანები არ ვართ?!

დარბაზში ხნიერი მამაკაცი შემოვიდა. მკითხა, აქ ჟურნალისტის ნახვა სად შეიძლება, გარდაბანში ჩემი სახლი ჩადო მეზობელმა ბანკში, ახლა მასახლებენ და სამართალი ვერ მიპოვიაო.

— ადვოკატი დავიქირავე, მეუბნება, ვერაფერს გიშველი, თანხმობა მიგიციაო. თუ თანხმობა მივეცი, საჩივლელად როგორღა დავდივარ?!

— აბა, თანხმობის გარეშე როგორ ჩადებდა მეზობელი თქვენ სახლს ბანკში?

— მოტყუებით კი არ ჩადო, დმანისში მთელი უბნის სახლების კოდებია არეული საჯარო რეესტრში და იმის კოდი ჩემს სახლზე ზის. თავის ბინა რომ ჩადო ბანკში, ჩემი კოდით მოხვდა. ნოტარიუსში, ბანკსა და სახლმმართველობაში მოწმეები მივიყვანე, ყველაფერი გავასწორე, მაგრამ მაინც არ დამადგა საშველი. მე-4 თვეა, ვერაფერი გავარკვიე.

— საიდან გაიგეთ, რომ სახლი ბანკში იყო ჩადებული?

— შვილისთვის უნდა გადამეფორმებინა. საჯარო რეესტრში მითხრეს, ყადაღა ადევსო. ასეთი განუკითხაობა არ მინახავს, მინდა, ხალხმა და უფროსობამაც გაიგოს, რა ხდება დმანისში.

პროკურატურის მისაღებში აზერბაიჯანელები შემოვიდნენ. ტელეფონზეც ვერავის დაუკავშირდნენ. ოპერატორმა უთხრა, განცხადება ქართულად დაწერეთ, რუსულად დაწერილს ვერ მივიღებთო.

— ქართული არ ვიცი და რა ვქნა, — შეწუხდა მამაკაცი და უკმეხი პასუხიც მიიღო — მერე მე რა გიყოთ, ბატონო!

ტელეფონზე რამდენჯერმე სცადა დაკავშირება გამომძიებელთან, მაგრამ უშედეგოდ. ბახლურ ოსმანოვი გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისას გამგებელს ფულის მითვისებისთვის უჩიოდა.

— წლების წინ ფერმა ვიყიდე. ახლა მოვიდა ვიღაც და მეუბნება, ეს ფერმა ჩემს სახელზე, რეესტრშია გაფორმებულიო. რა გავაკეთო? 1,2 ჰა მიწა 1278 ლარადაა გაყიდული. სოფელ ვახტანგისას გამგებელმა, ელმარ კარიმოვზე ელექტრონულ აუქციონზე გაყიდა — მარინა ირემაშვილი 22 წელია სოფლის გამგებელია და მასზე ასეთი საქმეები ბევრია.

— ახლა ვის უჩივით, ირემაშვილს?

— კი. ფული მაქვს გადახდილი ამ მიწაში წლების წინ და ახლა ხელში არაფერი შემრჩა. 2006 წელს მარინას 5200 ლარი მივეცი. 20 წლით მქონდა არენდით აღებული ფერმა.

— ამდენი თანხა ხელზე როგორ მიეცით გამგებელს?

— კაცი კაცს ვეღარ უნდა ენდოს?! მე ალალი, მუშა ვარ. ამდენი ხანია, პროკურატურაში დავდივარ და სამართალი ვერ მიპოვია.

ტელეფონებთან უკმაყოფილო ადამიანების რიგი არ წყდება. ყველას ერთი პრობლემა აქვს — გამომძიებლებს თვეობით ვერ უკავშირდებიან. საშუალო ასაკის, ვარდისფერპომადიანი ქალი უკმაყოფილებას ვერ მალავს:

— სააკაშვილმა ომი დაიწყო თუ არა, იმას არკვევენ. არადა, ჩემნაირების მილიონი საჩივარია შესული. ნეტა, როდის უნდა დაიწყოს ამ საქმეების გამოძიება?! რაში მაინტერესებს, ომი სააკაშვილმა დაიწყო თუ არა, მე ჩემი პრობლემა მაქვს და სიმართლე მინდა ვიპოვო. პირადი ანგარიშსწორებისთვის მოვიდა ეს დალოცვილი, ქალი დავბერდი, არავისთვის ხმა არ მიმიცია. ივანიშვილს მივეცი ხმა და უკვე ვნანობ. ჩემი მეუღლე მფრინავი იყო და რუსეთში აქვს განათლება მიღებული. ამ საბაბით დააკავეს, ჯარიმა, 5000 ლარი გადაგვახდევინეს და ახლა პრობაციონერია. შარი მოუდეს, აფხაზეთის ომში არ იყავიო, არადა კაცი დაჭრილი იყო და მედლებიც აქვს მიღებული. ნერვიულობის ნიადაგზე, 6 წელია შაქარი დაემართა. თვეებია აქ დავდივარ, ვითხოვ, პრობაცია მაინც მოუხსნან და მაგასაც არ აკეთებენ — 6 სექტემბერსაა დაბარებული კბილაშვილთან. მანამდე სააკაშვილს დასდევდნენ, ომი ვინ დაიწყო. ჩვენთვის არავინ არის, უარესობისკენ მივდივართ. ჩემი ქმარი ახალაიას დროს დაიჭირეს, ეგ არ ეღირსოს გარეთ გამოსვლას... მერე ყური მოვკარი, ვისაც რუსეთში ჰქონდა დამთავრებული ავიაციის ინსტიტუტი, ყველანი აგენტები არიანო და დაიჭირეს.

საუბარში მოხუცი მამაკაცი ერთვება — ეჰ, ესენი, რომ სამართლიანობას აღადგენენ და დემოკრატიას დაამყარებენ... მაგას ჩვენ კი არა, ჩვენი შვილთაშვილებიც ვერ მოესწრებიან.

— ეგრეა, ბატონო, ეგრე. ჩემი ქმარი, ასე უსამართლოდ დაიჭირეს. ვეტერანის 22-ლარიან დახმარებას რატომ იღებდიო, უთხრეს და თაღლითობის მუხლი წაუყენეს. სახელმწიფო ქონება მიითვისეო, აბრალებენ. ჩილინდარაშვილთან არის ჩვენი საქმე. ვრეკავ, არ პასუხობს. ერთი კაცი მაინც მანახონ გასამართლებული. დაიჭერენ, გამოართმევენ ფულს, გამოუშვებენ. იგივე არ ხდება, რაც სააკაშვილის დროს ხდებოდა, რა შეიცვალა?!

— ჯერ სადაა. უფრო და უფრო გაუარესდება ვითარება, — იმედი სულ გადაუწურა მამაკაცმა.

— ესენიც გასაჟუჟები არიან. ჩემ მეუღლეს ცხოვრებაში ერთი შავი ლაქა არ ჰქონდა, თვეობით ატარეს პროკურატურაში და ბოლოს, ზეწოლით მიაცემინეს ჩვენება. ადვოკატიც არ აგვაყვანინეს, ისე გაასამართლეს. სასამართლოს სამი კაცი ესწრებოდა

— პროკურორი, მოსამართლე და თავიანთი ადვოკატი. რის გამო გაუფუჭეს საბუთები?! ტელეფონს ესენი არ პასუხობენ, არ გვხვდებიან... ასეთი განუკითხაობა არ გამიგია, მგონი, უარესობისკენ წავედით. დასდევენ ერთმანეთს, იქ ის ველოსიპედით დაიმტვრა, აქ ამას მანქანა დაეჯახა...

— დემოკრატია მალე დამყარდება, — ირონია იგრძნობოდა მამაკაცის ტონში.

— ივანიშვილი პირადი ანგარიშსწორებისთვის მოვიდა. ამაში ვრწმუნდები. საწყალი რობაქიძე და სხვები, რისთვის გააუბედურეს და ჩახოცეს, — დანანებით თქვა ვარდისფერპომადიანმა.

— ჩემი საქმე ერთი „მეშოკი“ ქაღალდებია. 4 სხვადასხვა საქმის გამოძიებას ვითხოვ უკვე წლებია და არ მაღირსეს სამართალი, — თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკება მოხუცი მამაკაცი.

— რაზე ჩივით? — ჩაეკითხა ქალბატონი.

— 11 წელია, სამართალს ვეძებ. ოფისი და ბინა წამართვეს. ჩაის ტექნოლოგია გამოვიგონე და საავტორო უფლებას არ მაძლევენ. საწარმო ჯერ დაანგრიეს, მერე გაყიდეს. უკვე დავიღალე, ნერვები გამიფუჭდა — ერთმანეთს უგზავნიან საბუთებს და საქმის დასრულება არ მაღირსეს.

— რას გაღირსებენ, ბატონო, მთელი დღე სხედან და ყავის სმის მეტს არაფერს აკეთებენ. გლდანში ვცხოვრობ. გუშინ მაღაზიიდან ცხენისა და ვირის ხორცი ამოიღეს, ისე შემძულდა, დღეიდან ხორცს როგორ შევჭამ. არადა მაღაზიაში დიდის ამბით ეწერა და ბეჭედი ჰქონდა დარტყმული — შემოწმებულიაო, — თემა შეცვალა უკმაყოფილო ქალბატონმა. იქ მყოფებმა, ჯერ სიმწრით ჩაიცინეს, შემდეგ კიდევ ერთხელ სცადეს დაკავშირებოდნენ გამომძიებლებს. ყველა ცდა, კვლავ უშედეგო აღმოჩნდა.

— საშველი არ არის, — ჩაილაპარაკა საშუალო ასაკის, წითელ პიჯაკში გამოწყობილმა ქალბატონმა.

დარბაზში აფორიაქებული ქალი შემოვიდა: ყველა მოგზავნილი და აგენტია — არავინ პასუხობს ტელეფონს, — ისე ხმამაღლა თქვა, უცებ მოექცა ყურადღების ცენტრში.

— გააგიჟებს ეს მთავრობა ხალხს. ეს ქალი მეცოდება ძალიან — ქმარი მოუკლეს. დადის აქ ყოველდღე და მკვლელობა გამოიძიეთო, ითხოვს. ავადაა, უკვე ყველა აგენტი ჰგონია, — მიხსნის უკბილო მამაკაცი.

— ვერ გავიგე, ივანიშვილი და სააკაშვილი ერთმანეთის ლანძღვა-გინებით არიან დაკავებულები. საღამოს ჩართავ ტელევიზორს და ერთად არიან. ვის ხელში ვართ, ვაიმე! ორივე მხარე გასაყრელია ამ ქვეყნიდან, — ემოციას ვერ მალავს ვარდისფერპომადიანი.

მისაღებში უსინათლო ქალი და კაცი შემოვიდნენ. ცოლ-ქმარი აღმოჩნდა. რიგში ჩადგნენ და გულის ტკივილი, სხვებს მათაც გაანდეს: სამართალი ვერ გვიპოვია. მეზობელმა სარდაფი გაგვიტეხა, მიისაკუთრა და გაყიდა. უკვე ორი წელია დავდივართ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. პოლიციას ვიძახებთ, იმათ ეუბნება, პრეტენზია არ მაქვსო, წავლენ და მეუბნება — სარდაფი ჩემიაო. გვინდოდა, გაგვეკეთებინა და გაგვექირავებინა, მაგრამ წაგვართვა. საბუთი არ აქვს და მაინც იძახის, ჩემიაო.

— ეჰ, დღეს არავინ აღარავის ზოგავს, ისე გამხეცდა ხალხი. ვის რა წაართვან და ვის რა მოატყუონ, იმაზეა ყველა გამეცადინებული, — ჩაილაპარაკა მოხუცმა ქალბატონმა, რომელიც რიგში დგომასა და უიმედობას აშკარად დაეღალა.

თვალი გადავავლე მთავარი პროკურატურის მიმღებთან შეკრებილ ხალხს. ისინი ერთმანეთს უკვე ისე იცნობენ, ისტორიებიც იციან. „რა ვქნათ, ყოველდღე დავდივართ აქ, გაჭირვებულები ვართ და ერთი რამ გვაერთიანებს — ახალი ხელისუფლების პირობებშიც, სამართალს ვერ ვპოულობთ“, — შემომჩივლა კაცმა, რომელსაც იმ დღეს, რიგი ალბათ არ მოუწევდა და მაინც, ჯიუტად იდგა, სამუშაო დღის დასრულებამდე. ხვალ ისევ მივა და ისევ ჩადგება რიგში, ასე, სამართლის ძებნაში, რამდენი დღე გავა, არავინ იცის ისევე, როგორც ის, როდის ექნებათ ადამიანებს განცდა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგა და ხელისუფლება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობასა და ბედზე, გულწრფელად ზრუნავს.

ვერსიანიუსი

სასჯელაღსრულების №1 დაწესებულების თანამშრომელი სისტემიდან დაითხოვეს

მსჯავრდებულების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის, სასჯელაღსრულების №1 დაწესებულების თანამშრომელი ნუკრი კოპალიანი სისტემიდან დაითხოვეს, სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოკვლევის საფუძველზე.

სამინისტროს საგანგებო განცხადებაში ვკითხულობთ: **„ჩატარებული სამსახურეობრივი შემოწმებით დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი ნუკრი კოპალიანი 2011-2012 წლების პერიოდში №15 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ახდენდა მათზე ძალადობას და არღვევდა მსჯავრდებულთა უფლებებს. აღნიშნული დადასტურდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების ორი და №1 დაწესებულების ერთი მსჯავრდებულის ახსნა-განმარტებით“.**

უწყების ინფორმაციით, დასკვნა, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. დასკვნის ასლი კი შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა მთავარ პროკურატურას.

„ინტერპრესნიუსი“

„ეკალა“ გავყიდე, 10 ლარი ვიშოვე და ბავშვს ფეხსაცმელი იმით ვუყიდე“

ნინო ონიანი
„გურიანიუსი“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში, შაინიძეების 5-სულიანი ოჯახი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

რთულია, სიტყვებით გადმოვცეთ ის გასაჭირი, რაც იმ ოჯახში ტრიალებს, მაგრამ შევეცდებით, მკითხველს ოდნავ მაინც შევუქმნათ წარმოდგენა იმ სიდუხჭირეზე, რომელიც შაინიძეების ოჯახში დაგვხვდა.

აგურით ნაშენი კედლები და ორი პატარა ოთახი, სახურავი თითქმის ყველა კუთხეში დახეთქილია და წვიმის დროს, როგორც ოჯახის დიასახლისმა გვითხრა, წყალი ჩამოდის; ორი საწოლი, შეშის ღუმელი და ტანსაცმლის კარადა — ესაა ოჯახის ავლადიდება; შეულესავი კედლები, საიდანაც ქარი უბერავს.

ამ ყველაფრის მეპატრონე ქალბატონი ნაზიბროლა ჯაიანეა, რომელსაც ორი მცირეწლოვანი და ორიც სკოლის ასაკის შვილი ყავს. ოჯახის უფროსი ლევან შაინიძე 100 ლარის ღირებულების მავთულის ქურდობისთვის, გეგუთის ციხეში სასჯელს იხდის. მას 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, შეწყალების შედეგად, ერთი წელი მოაკლდა და 1 წელი და 6 თვე დარჩა მოსახდელი.

თვალცრემლიანი დედა თავის გასაჭირზე გვესაუბრება: „ჩემი მეუღლე, მეზობელთან ერთად, მუშაობდა შემოღობვით სამუშაოებზე. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ხელფასი არ მისცეს და სამაგიეროდ, 100 ლარის ღირებულების მავთული წამოიღო — მომცემენ ხელფასს და დავაბრუნებო, ამბობდა. მეზობელთან უკმაყოფილება მოგვივიდა. დაგვემუქრა, რომ ჩემს მეუღლეს ამის გამო უჩივლებდა. ასეც მოხდა — საჩივრის საფუძველზე, ასი ლარის გულისთვის, 4 წელი და 6 თვე მიუსაჯეს.

მას შემდეგ, მთელი ოჯახის ტვირთი კისერზე დამაწვა, დამხმარე არავინ გამაჩნია — ერთი ძმა და მაზლი მყავს, რომლებიც ავადმყოფობენ და ვერაფრით მეხმარებიან.

მარტო დავრჩი 4 შვილით. მაქვს სოციალური დახმარება — 126 ლარი, მაგრამ რას მეყოფა? 4 შვილს ძალიან ბევრი უნდა, ბავშვები სწავლის პროცესს ჩამორჩნენ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არ აქვთ, სკოლაში რომ იარონ. ამასწინ, ტყეში ეკალა მოვკრიფე, გავყიდე, 10 ლარი ვიშოვე და ბავშვს ფეხსაცმელი იმით ვუყიდე. ჩასაცმელს ვინ ჩივის, ბავშვები თითქმის მშივრები მყავს. არ მინდა, მეც იმ ბათუმელი ქალბატონივით, შვილები შიმშილით დამეხოცოს! უპატრონო ვარ. მინდა, მივმართო სოზარ სუბარს, ეკა ბესელიას, თეა წულუკიანს — გადახედონ ჩემი მეუღლის საქმეს და გაათავისუფლონ, მომხედონ, სანამ ბავშვები შიმშილით დამეხოცება.

მხოლოდ ის იყო ჩვენი მარჩენალი. არ ვითხოვ არანაირ ერთჯერად დახმარებას — მაინც არაფერს მიშველის. მინდა, ჩემი ქმარი გამოუშვან და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ თავის გატანას. პატარა ბავშვების შემხედვარე, სასოფლო-სამეურნეო საქმესაც ვერ ვაკეთებ. რა ვქნა, რა გზას ვეწიო? ლანჩხუთის გამგეობას მივმართე თხოვნით, რომ შუამდგომლობა გამიწიონ და ზემდგომ ორგანოებს დამაკავშირონ. თუ ამ პრობლემას არ მომიგვარებენ და ოჯახის ერთადერთ მარჩენალს ციხიდან არ გამოუშვებენ, ჩავალ პარლამენტთან, დავდგები ჩემი შვილებით და ვიშიმშილებ, ისედაც მშივრები ვართ“.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის, ვახტანგ ზენაიშვილის თქმით, გამგეობას მართლაც მიმართა ნაზიბროლა ჯაიანემ და მათი მხრიდან აუცილებლად მოხდება აღნიშნულ პრობლემაზე რეაგირება: „შუამდგომლობით მივმართავთ შესაბამის ორგანოებს, რათა კიდევ ერთხელ გადაიხედოს ლევან შაინიძის საქმე. რაც შეეხება ქალბატონ ნაზიბროლასა და მის შვილებს, აუცილებლად გაეწევათ ერთჯერადი დახმარება“.

სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობა შეიქმნება

სამმა საპარლამენტო კომიტეტმა გაერთიანებულ სხდომაზე პარლამენტის წევრების — ერეკლე ტრიპოლსკისა და გია ჟორჟოლიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ“ განიხილა.

კანონპროექტის მიხედვით, შეიქმნება სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობა, რომელიც არის ტერიტორიულ საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული სოფელი, რომელსაც ექნება კანონის შესაბამისად შექმნილი ორგანოები, ადმინისტრაციული საზღვრები, საკუთარი ქონება და შემოსავლები. სოფლებს მიენიჭება უფლება, ფლობდეს ქონებას, დადოს გარიგება, მიიღოს შემოსავლები, სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

საზოგადოებრივი თვითმმართველი ერთეული უფლებაუნარიანობას შეიძენს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის მომენტიდან. საზოგადოებრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანოებად განისაზღვრება საერთო კრება, საერთო კრების წარმომადგენელთა საბჭო და საერთო კრების თავმჯდომარე. საზოგადოებრივ თვითმმართველ ერთეულს ექნება დამოუკიდებელი შემოსავლები და ხარჯთაღრიცხვა.

კანონპროექტის მიზანია, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარება და ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. საპარლამენტო კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი პროექტის ძირითად პრინციპებს და კანონპროექტის ინიციატორებთან შეთანხმდნენ, რომ პროექტში გაითვალისწინებენ საკომიტეტო განხილვის დროს გამოთქმულ შენიშვნებს.

„გურიანიუსი“

ძლიერმა ქარმა დასავლეთ საქართველოში საცხოვრებელი სახლები დააზიანა

ტყიბულის რაიონში ძლიერმა ქარმა საცხოვრებელი ბინები დააზიანა, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი სადენები. ელექტროენერგია გაეთიშა სოფელ მუხურის, საწირის, სოჩხეთის, ხრესილის მოსახლეობას, დაზიანებულია სახურავები.

სტიქიის შედეგად მოთხრილია ხეები, რამაც ელექტროსადენები დააზიანა. ამ დროისთვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში შექმნილია სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია, რომელიც ადგენს ტყიბულის მუნიციპალიტეტში ზარალს.

სპეციალური ჯგუფი შეიქმნა ზუგდიდშიც, სადაც ასევე ითვლიან ზარალს. სამეგრელოშიც, ძლიერმა ქარმა რამდენიმე შენობა და საცხოვრებელი სახლი დააზიანა, დაზიანებულია იმ შენობების სახურავებიც, სადაც დევნილები არიან ჩასახლებულნი. ზუგდიდის სოფელ ტყაიაში კი, ძლიერმა ქარმა საბავშვო ბაღს სახურავი მთლიანად გადახადა.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

PACE მართლმსაჯულების სისტემის რეფორმას მიესალმება

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) საქართველოს საკითხებზე მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლები — მაიკლ ასტრუპ იენსენი და ბორის სილევიჩი მიესალმებიან საქართველოში გატარებული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმას.

მათ საქართველოში 4-დღიანი ვიზიტის შემდეგ განაცხადეს, რომ ეს რეფორმები ბევრად გააუმჯობესებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას: **„ეს წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამავდროულად, აღვნიშნავთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის განხორციელება ჯერაც რჩება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის განხეთქილების საგნად. მოვუწოდებთ ორივე პარტიას, იპოვონ გამოსავალი და შეთანხმდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმების გარდამავალი დებულების საკითხზე. ეს მხოლოდ და მხოლოდ, გააძლიერებს დამოუკიდებელი სასამართლოს სისტემას“.**

რაც შეეხება რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის გარშემო წარმოქმნილ დაპირისპირებას, მაიკლ ასტრუპ იენსენმა და ბორის სილევიჩმა აღნიშნეს, რომ ეს, ძირითადად, გაუგებრობითა და მცდარი შეხედულებით იყო გამოწვეული. მათი განცხადებით, ქარტია ის ინსტრუმენტია, რომელიც ეროვნულ კავშირს აძლიერებს და საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ ბევრ ასპექტში აღემატება ქარტიის მოთხოვნებს. ამავდროულად, ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, მოიძიონ ევროსაბჭოს დახმარება ორგანიზაციულ საკითხებში, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის გაერთიანებაში, ინფორმაციისა და საინფორმაციო კამპანიის წარმოებაში, რომელიც მიმართული იქნება ყველა დაინტერესებული პირისკენ, რათა უზრუნველყოს ამ გაუგებრობის თავიდან აცილება და უახლოეს მომავალში ქარტიის ხელმოწერა და რატიფიცირება, რამდენადაც ეს კვლავ რჩება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხად.

თანამომხსენებლებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, სანამ კანონპროექტი პარლამენტში გადაიგზავნება, მოიძიონ ევროსაბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის გამოცდილება. ისინი ინფორმირებულნი იყვნენ ადგილობრივ მაღალჩინოსნებზე ზეწოლის თაობაზეც: **„ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლა დემოკრატიული პროცესია, თუმცა მიუღებელია, თუ ეს იძულების შედეგია“.** თანამომხსენებლები მიესალმებიან პრემიერ-მინისტრის ინიციატივას, რომელმაც განაცხადა, რომ სპეციალურ კომისიას შექმნის, რომელიც ამ საკითხს გამოიძიებს და ეს პრევენციული სიგნალი იქნება ყველა პარტიის აქტივისტებისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
19 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲕᲔᲠᲫᲘ — დღეს მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ იმას, რას ლაპარაკობთ, არამედ მიღებულ ინფორმაციას. რაც უფრო ყურადღებით იქნებით, მით მეტ საინტერესო და სასარგებლო ამბავს გაიგებთ.

ᲙᲣᲠᲝ — დღევანდელი დღე ხალხში გაატარეთ, ნუ ჩაიკეტებით სახლში, გარშემომყოფებთან ურთიერთობა მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგებათ.

ᲪᲣᲙᲔᲠᲘ — მოგიწევთ შეგუება, რომ ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ადამიანი ხართ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს გარშემომყოფებმა ზედმეტი ყურადღებით გაგანებივრეს.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს იმაზე მეტ წარმატებას მიაღწევთ, ვიდრე ელოდით. სასიამოვნოა იმის გაცნობიერება, რომ თქვენი შრომა სათანადოდ ფასდება.

ᲚᲝᲛᲘ — ნუ მისცემთ სხვებს საშუალებას, თქვენს მოსაზრებაზე გავლენა იქონიონ, თუმცა არც ზედმეტი სიჯიუტე იქნება პროდუქტიული. ეცადეთ, ზომიერების გრძნობა არც ერთ საკითხში არ დაკარგოთ.

ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ — ფრთხილად იყავით და მოზღვავებული ენერგია საჭირო მიმართულებით მიმართეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრ სისულელეს ჩაიდენთ.

ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ — დღეს საკმაოდ რთული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ პირად ცხოვრებაში. მართალია, რადიკალური ცვლილებებისთვის ჯერ მზად ნამდვილად არ ხართ, მაგრამ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ წასვლა მაინც გარდუვალია.

ᲚᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — დღეს გაგიჭირდებათ საკუთარ გრძნობებში გარკვევა, ასეთი გაორება კი სასიკეთო ნამდვილად არ იქნება. რაც მალე დაწყობთ სამომავლო გეგმებს, მით დადებითად აისახება ეს ცხოვრებაზე.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ეცადეთ პესიმისტური განწყობა მოიშოროთ. საღამო კი მეგობრებთან მშვიდ გარემოში გაატარეთ, ეს განტვირთვის საშუალებას მოგცემთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — აჯობებს, დღეს ზედმეტი თავდაჯერებულობისგან გათავისუფლდეთ და გარშემომყოფებთან უშუალო იყოთ, ეს უდავოდ დაგეხმარებათ კარიერაში.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — დღეს რომანტიკული ურთიერთობის განწყობაზე ხართ, მაგრამ ნუ დავიწყებთ, რომ სამსახურშიც უამრავი პროექტი გაქვთ განსახორციელებელი.

ᲗᲔᲕᲖᲗᲐ — დღეს დასვენება დაგჭირდებათ ყველასა და ყველაფრისგან, ამიტომ სჯობს განმარტოვდეთ, რათა თქვენი უხასიათობით საყვარელ ადამიანებს გული არ ატკინოთ.



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲒᲘᲬᲘᲠᲝᲗ. ᲞᲐᲜᲢᲐᲜᲐᲡᲐᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ №16Ა
ᲢᲔᲚ.: (5)99 22 98 33
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: a.purtseladze@gmail.com

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
20 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲕᲔᲠᲫᲘ — დღეს მხოლოდ სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედეთ და ინიციატივების გამოჩენისგან თავი შეიკავეთ. იყავით ოპტიმისტი და თავის წარმოჩენის უკეთეს დროს დაელოდეთ.

ᲙᲣᲠᲝ — არ არის გამორიცხული, რომ დღეს სიმტკიცის გამოჩენა დაგჭირდეთ. ნაკლები ყურადღება მიაქციეთ სხვების საყვედურს და მიზნისკენ მიმავალ გზას არ გადაუხვიოთ.

ᲪᲣᲙᲔᲠᲘ — ტეუილი, შური, ჭორები... დღეს ამ ყველაფერს თავიდან ვერ აიცილებთ, ამიტომ ეცადეთ, ინტრიგებში არ გაეხვიოთ და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — კარგი დღეა პროფესიული საქმეების მოსაგვარებლად. თამამად გაუზიარეთ თქვენი სამომავლო გეგმები უფროსობას, მართალია, არ ელოდით, მაგრამ მათგან სრულ მხარდაჭერას მიიღებთ.

ᲚᲝᲛᲘ — გარშემომყოფები ამაოდ ცდილობენ თქვენს მოტეუებას, რადგან მათი განზრახვა დიდი ხანია იცით. ეს გორგუნავთ, მაგრამ ოჯახისა თუ მეგობრების წრეში გატარებული საღამო, ამ უსიამოვნებას მალევე დაგავიწყებთ.

ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ — ნუ მისცემთ ემოციებს საშუალებას, რომ გმართოთ. რაც მეტად პრაგმატული იქნებით, მეტ წარმატებას მიაღწევთ, როგორც პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაში.

ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ — ნაკლებად პროგნოზირებადი დღეა, მოულოდნელი მოვლენა აგვფორიაქებთ და მიღწეულის დაკარგვის შეგეშინდებათ, თუმცა ეს ყველაფერი დროებითია და უსიამოვნო ეიფორიაც მალე გაიკლის.

ᲚᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — დაგროვილი საქმეები გვერდზე გადადეთ და თავს დასვენების საშუალება მიეცით. თქვენი ცოდნა და გამოცდილება მომავალი პროექტების განსახორციელებლად გამოიყენეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — შეეცადეთ, დღეს ყურადღება არ მოადუნოთ, რადგან ყველანაირი ინფორმაცია თქვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — დღეს შემოქმედებითად აქტიური დღე გაქვთ. პრაგმატულად იაზროვნეთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — თუკი სურვილის ასრულებისკენ მიმავალ გზაზე გაჩერება მოგიხდებათ ან ტემპის შენელება, ნუ ინერვიულებთ. ეს მხოლოდ დროებითია.

ᲗᲔᲕᲖᲗᲐ — დღეს მოვლენები არაპროგნოზირებადი იქნება და ამიტომ მოგიწევთ საკუთარი გეგმების განსახორციელებლად შესაფერის დროს დაელოდოთ.



ადვილი

9	8	1	5	2	7	6	4	3
3	4	7	1	9	6	2	8	5
6	2	5	8	3	4	1	9	7
7	5	9	6	1	2	8	3	4
2	3	4	9	8	5	7	1	6
1	6	8	7	4	3	9	5	2
8	7	3	4	6	1	5	2	9
5	1	2	3	7	9	4	6	8
4	9	6	2	5	8	3	7	1

საშუალო

3	8	9	7	6	5	1	2	4
7	4	5	3	2	1	9	8	6
2	1	6	9	8	4	7	5	3
9	7	4	5	1	6	8	3	2
5	3	2	8	9	7	4	6	1
8	6	1	4	3	2	5	9	7
6	5	7	2	4	9	3	1	8
1	9	3	6	7	8	2	4	5
4	2	8	1	5	3	6	7	9

რთული

3	2	9	1	7	6	4	8	5
1	8	6	9	5	4	3	7	2
4	7	5	8	2	3	6	1	9
2	1	4	7	9	8	5	3	6
5	6	8	4	3	2	7	9	1
9	3	7	6	1	5	8	2	4
7	4	3	2	6	1	9	5	8
8	5	1	3	4	9	2	6	7
6	9	2	5	8	7	1	4	3

ეჭვიანი

7	2	9	4	5	3	1	8	6
8	1	4	7	6	2	9	3	5
6	5	3	1	8	9	7	4	2
5	3	2	9	1	8	6	7	4
4	9	7	6	3	5	2	1	8
1	8	6	2	7	4	5	9	3
3	6	1	8	2	7	4	5	9
9	7	8	5	4	6	3	2	1
2	4	5	3	9	1	8	6	7


ეჭვიანი
ყელსაბამი
ბეჭვის ქალაქი
ფრანგი ქიმიკოსი
ბრაზილიელ მანდარინ
ბრაზილიელ ფეხბურთელ
ბუჩქი
ბანანის ბარაქა
ბანანის ბარაქა
ბანანის ბარაქა

ჰოროსკოპი
21 აპრილი

ვერძი — დღეს მცირე, მაგრამ ღირსეულ გამარჯვებას მოიპოვებთ და გარშემომყოფებიც სათანადოდ დაგაფასებენ.

კურო — დღეს ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რომელიც მაინცდამაინც არ გეხალისებათ, მაგრამ ნუ იწუწუნებთ, ამით ვერაფერს შეცვლით.

ტყუპები — თუ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ხართ, წარმატების მიღწევაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. არავინ ჩაახედოთ თქვენს საქმეებში და ცნობისმოყვარეები თავიდან მოიშორეთ.

კირჩხიბი — დღეს საუკეთესო ფორმაში იქნებით. ყველაფერი გამოგივათ და წარმატებასაც უპრობლემოდ მიაღწევთ. გარშემომყოფები თქვენს გამხიარულებაზე იზრუნებენ.

ლომი — ოჯახური საქმეები სამსახურზე წინ დააყენეთ, ამით არაფერი დაშავდება და შეეცადეთ, ყველაფერი დღესვე მოაწესრიგოთ.

ქალწული — ნეიტრალური დღე გელით. ნუ დაიჯერებთ ყველაფერს, რასაც დღეს გეტყვიან, გადაამოწმეთ ნებისმიერი ინფორმაცია, ეს მხოლოდ თქვენთვის იქნება უკეთესი.

სასწორი — მოთმინებით აღიჭურვეთ: დღეს ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც თქვენგან ყურადღებასა და ენერგიას მოითხოვს. ნუ გაამწვავებთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან.

ღრიანკალი — დღეს საშუალება მოგეცემათ, სრულად წარმოაჩინოთ ნიჭი და შესაძლებლობები, თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ კარიერულ წინსვლას მეგობრული ურთიერთობები არ უნდა შეწიროთ.

მშვილდოსანი — დღეს ნაკლებად გაქვთ სამუშაო განწყობა, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თქვენს საქმეს სხვა ვერავინ გააკეთებს. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ და მალე თქვენი შრომაც სათანადოდ დაფასდება.

თხის რქა — დღეს ეცადეთ, შანსი არ გაუშვათ ხელიდან და ყველაფრისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღოთ, თუმცა გარშემომყოფებთან ურთიერთობის დარეგულირებაც მოგიწევთ.

მერწყული — დღეს ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ გაილაშქრებთ. ამაში ცუდი არაფერია, თუკი საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ. ფინანსური საკითხებიც თქვენს სასარგებლოდ მოგვარდება.

თევზები — გირჩევთ, დღეს არ გაეკაროთ იმ ადამიანებს, რომელთაც უარს არასოდეს ეუბნებოდით დახმარებაზე და მათ საქმესაც აკეთებდით. შეეცადეთ, მხოლოდ მსუბუქი საქმეებით შემოიფარგლოთ და სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედოთ.

იდეალური პიცა დაამზადეს

შოტლანდიელმა ბიზნესმენმა დონი მაკლინმა და დიეტოლოგმა მაიკლ ლინმა გლაზგოს უნივერსიტეტიდან პიცა დაამზადეს, რომელიც ყოველდღიურად მისაღები აუცილებელი ნივთიერებების 30%-ს შეიცავს და იდეალურია საუზმედ, სადილად და ვახშმადაც კი. მარილის ნაცვლად, ავტორებმა პიცაში წყალმცენარეები გამოიყენეს. „ცე“-ვიტამინის რაოდენობის გასაზრდელად, ტომატს წიწაკა დაუმატეს, გარდა ამისა, პიცა საჭირო რაოდენობის მაგნიუმს, კალიუმს, ფოლიუმის მჟავასა და „ა“-ვიტამინს შეიცავს. სიახლე ბრიტანეთის სუპერმარკეტებში გაყინული სახით გაიყიდება, რადგან მხოლოდ ასე შეუნარჩუნდება საკვები ღირებულება.

სასტუმრო მომსახურე პერსონალის გარეშე



სულ მოკლე ხანში, იტალიაში, ახალი სასტუმროები გაიხსნება, სადაც მომსახურე პერსონალი არ ეყოლებათ და ყველაფერი ავტომატიზებული იქნება. ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში უკვე გაჩნდა სასტუმროები, სადაც არ არის რეცეფშენი — ნომრის დაჯავშნისას, სტუმარი იღებს სპეციალურ კოდს, რომელსაც დაბინავებისას აქტიურებს, სასტუმროს დატოვების შემდეგ კი კოდი უქმდება. ავტომატიზებული ოტელები პერსონალის ხელფასის ეკონომიის საშუალებას იძლევა და ამიტომ, ასეთ სასტუმროებში ნომრების ფასიც საკმაოდ დაბალია.

ლუდი სპილოს ესკრემენტებისგან

ქარვისფერი სასმელის მწარმოებელმა ლუდის მოყვარული იაპონელების გაშაყირება გადაწყვიტა და ერთ-ერთ ინგრედიენტად ყავის მარცვლები გამოიყენა, რომელმაც სპილოების საჭმლის მომნელებელი სისტემა გამოიარა, მაგრამ ამას ნამდვილად არ შეუმცირებია მოთხოვნა, პირიქით კლიენტებში დიდი ინტერესიც კი გამოიწვია, თუმცა ლუდსახარში არ აპირებს ესკრემენტებისგან შექმნილი შოკოლადისფერი სასმელის კონვეირულ წარმოებას.

გოგონას ყველაზე გრძელი ენა აქვს

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში ცხოვრობს 21 წლის გოგონა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე გრძელი ენა აქვს და საკუთარი რეკორდით ჩენელ ტაპერი ძალიან ამაყობს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ბოროტი ხუმრობის ადრესატი ხდება. კაცების უმრავლესობას ჩემს დანახვაზე თავში ცუდი აზრები უტრიალებს, მაგრამ ეს დიდად არ მაღელვებს, რადგან უნიკალური ადამიანი ვარ, — აცხადებს ამერიკელი გოგონა და დასძენს, რომ შეუძლია, იოგურტი კოვზის გარეშე მიირთვას.

ღორები აგარაკზე ცხოვრობენ

ჩინეთის ერთ-ერთ სოფელში, ადგილობრივებმა ღორებისთვის საცხოვრებელი კომპლექსი ააგეს, რომელიც 600 პატარა სახლისგან შედგება. ჩინური მედიის ცნობით, აქაური მოსახლეობა ღორებზე განსაკუთრებით ზრუნავს, რადგან კარგ პირობებში გაზრდილი ცხოველები ჯანმრთელები არიან და მათი ხორციც გაცილებით გემრიელია. ღორებისთვის განკუთვნილი თითოეული „აგარაკი“ ავეჯითა და სათამაშოებითაა მოწყობილი, თანამედროვე საღორეში ვიდეოკამერაცაა დამონტაჟებული, რათა პატრონმა საკუთარ ცხოველებს ონლაინ-რეჟიმში ადევნოს თვალი. ყველა საღორის ექსტერიერი შესაბამისად არის მოხატული. დილით, ღორები აგარაკს ტოვებენ და ტყეში დასეირნობენ, საღამოს კი სახლს უბრუნდებიან.

სუდოკუ

ადვილი

2			1					
		6		9		5		4
	4			7			3	
							1	3
7		4				2		9
6	9							
	8			6			9	
5		9		8		1		
					5			8

სტანდარტი

9	5			4			2	
						5	9	
		7			8			3
1	6	9						
		5	3	1	9	4		
						9	8	1
6			1			2		
	7	2						
	8			2			6	9

რთული

5					4	8		
3	8		1				6	
			9	7				
	7		5				2	
6	3						5	9
	5				6		8	
				8	1			
	2				7		1	8
		8	2					6

ექსპერტი

	3		7				1	
1							7	6
				5		3		9
		5	2			1		
3		1	8		6	9		4
		8			5	6		
9		3		6				
6	4							1
	1				7		6	





ყველაზე აუტანელი ვარსკვლავები

ჟურნალმა Star Magazine ჰოლივუდის ყველაზე აუტანელი ვარსკვლავების რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველი ადგილი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, გვინეტ პელტროუმ დაიკავა. გამოცემის განცხადებით, პუბლიკას სულაც არ მოსწონს მსახიობის მისწრაფება, ფული ჯანსაღი კვების, სილამაზისა და დღეგრძელობის შენარჩუნების პროპაგანდით იშოვოს. პელტროუს წიგნს It's All Good არაოფიციალური სახელიც კი უწოდეს — „როგორ დახოცო შიმშილით მთელი ოჯახი“. დაითვალეს, რომ გვინეტის რეკომენდაციების მიხედვით, ყოველდღიური მენიუ ადამიანს 300 დოლარი დაუჯდება, რაც უდავოდ ამერიკელი დიასახლისების გულისწყრომას იწვევს. აუტანელი ვარსკვლავების სიის ლიდერთა სამეულში მოხვდნენ კრისტენ სტიუარტი და ჯენიფერ ლოპესი. კრისტენი ამერიკელებს რობერტ პატინსონთან რომანით აღიზიანებს, მომღერალ და მსახიობ ლოპესს კი გადაჭარბებულ ეგოისტად მიიჩნევენ. მათ გარდა, გამაღიზიანებელი ვარსკვლავების სიის პირველ ოცეულში შევიდნენ მადონა — რომელსაც ასაკის შესაფერისი მორიდებულობა აკლია, ჯასტინ ბიბერი — ძალიან ხშირად ეხვევა სკანდალებში და ენ ჰეტუეი — მიუხედავად წლევანდელი „ოსკარისა“, მას „უნიჭო მსახიობად“ მიიჩნევენ. რეიტინგში მოხვდნენ დედა-შვილი — კიმ კარდაშიანი და კრის ჯენერი. მიზეზი მარტივია: მათ უკვე ყველას მოაბეზრეს თავი და ასევე ეშტონ კატჩერი — ამერიკელები მას დემი მურის ღალატს არ პატიობენ. იმის გამო, რომ ჯენიფერ ენისტონს ბრედ პიტი წაართვა, ანჯელინა ჯოლიმაც „დაიმსახურა“ შესაფერისი ადგილი რეიტინგში. გამოცემის მკითხველს არც პრობლემური ლინდსი ლოჰანი დავიწყებია და არც შია ლაბაფი „ტრანსფორმერებიდან“. ბოლო, მეოცე ადგილზე კი რიანას შეყვარებული კრის ბრაუნი გაამწესეს.







ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.